



UNITED
NATIONS
GEORGIA



გაეროს მდგრადი განვითარების თანამშრომლობის ხელშეკრულება

2021-2025

თბილისი 2020



მხარეთა ვალდებულების დეკლარაცია


საქართველოს მთავრობა და გაერთიანებული ერების ორგანიზაცია იღებენ ვალდებულებას, ერთობლივად იმუშაონ ეროვნული განვითარების პრიორიტეტების, მდგრადი განვითარების მიზნებისა და სხვა საერთაშორისო დონეზე შეთანხმებული კონვენციებით ნაკისრი ვალდებულებების მისაღწევად.

წარსულში წარმატებული თანამშრომლობის გათვალისწინებით, „გაეროს მდგრადი განვითარების თანამშრომლობის ხელშეკრულება 2021-2025 წწ.“ არის საქართველოს მთავრობისა და გაეროს ერთობლივი მუშაობის საფუძვლადმდებარე შეთანხმება.

დოკუმენტით გათვალისწინებული მოსალოდნელი შედეგების მიღწევით საქართველო გახდება უფრო წარმატებული და მდგრადი ქვეყანა, ძლიერი დემოკრატიული ინსტიტუტებითა და თანაბარი შესაძლებლობებით ყველასათვის, მდგრადი განვითარების მიზნების ყოვლისმომცველი პრინციპის - „არავინ დარჩეს განვითარების პროცესებს მიღმა“ - შესაბამისად.


ამ ხელმოწერით, პარტნიორები ადასტურებენ თანამშრომლობის წინამდებარე ხელშეკრულებას და ერთობლივ პასუხისმგებლობას მისი შედეგების მისაღწევად.

საქართველოს მთავრობა



გიორგი გამსახურია
საქართველოს პრემიერ-მინისტრი

საქართველოში გაეროს სააგენტოთა ჯგუფი










საბინე მასლი
გაეროს მუდმივი კოორდინატორი

2 ოქტომბერი 2020 - თბილისი, საქართველო

გაეროს სააგენტოები

გაეროს სააგენტოების შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი, ქვემოთ ხელმომწერი პირები ადასტურებენ, რომ მათ, 2020 წლის 2 ოქტომბერს, თბილისში ხელი მოაწერეს საქართველოს მთავრობისა და გაეროს მდგრადი განვითარების თანამშრომლობის ხელშეკრულებას 2021-2025 წლებისთვის და პასუხისმგებლობას კისრულობენ წინამდებარე დოკუმენტის ყველა პრიორიტეტსა და თანამშრომლობის შედეგზე.

გაეროს სააგენტო	ხელმოწერა
შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO) ქ-ნი ოლგა კულაევა ევროპისა და შუა აზიის ქვეყნების ტექნიკური მხარდაჭერის გუნდის დირექტორი	
მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) ქ-ნი სანია ჩელეზიჩ ლუკოვაძი მისიის ხელმძღვანელი	
სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) ბ-ნი რაიმუნდ იელე წარმომადგენელი საქართველოში	
გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) ქ-ნი ლუიზა ვინტონი მუდმივი წარმომადგენელი საქართველოში	
გაეროს კატასტროფის რისკის შემცირების ოფისი (UNDRR) ბ-ნი ოქტავიან ბივოლი ევროპის რეგიონული ოფისის ხელმძღვანელი	
გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია (UNECE) ბ-ნი ნიკოლას დას-ბარონი ადმინისტრაციული მდივნის ოფისის პროგრამის მენეჯმენტის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი	
გაეროს გარემოს დაცვის პროგრამა (UNEP) ბ-ნი ბრუნო პოცი ევროპის რეგიონალური ოფისის დირექტორი	

გაეროს სააგენტო

გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA)

ბ-ნი კარლ კულესა

წარმომადგენელი თურქეთში და საქართველოს ოფისის დირექტორი

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (UNHCR)

ქ-ნი ქემლინ ფურლი

წარმომადგენელი საქართველოში

გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF)

დოქ. დასან ხალილი

წარმომადგენელი საქართველოში

გაეროს რეგიონთაშორისი დანაშაულისა და სამართლის კვლევის ინსტიტუტი (UNICRI)

ქ-ნი ანტონია მარი დე მიო

დირექტორი

გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაცია (UNIDO)

ბ-ნი ჩიონგ ცოუ

პროგრამების, პარტნიორობისა და ქვეყნების საკოორდინაციო დირექტორატის დირექტორი

გაეროს სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (UN IFAD)

ბ-ნი ვრეჟ ჯიჯიანი

წარმომადგენელი საქართველოში, ახლო აღმოსავლეთში, ჩრდილოეთ აფრიკასა და ევროპაში

გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო (UNODC)

ქ-ნი აშიტა მიტალი

ცენტრალური აზიის რეგიონული წარმომადგენელი

გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი (UN OHCHR)

ბ-ნი ვლადიმირ შკოლნიკოვი

უფროსი მრჩეველი სამხრეთ კავკასიაში

გაეროს პროექტების მომსახურების ოფისი (UN-OPS)

ბ-ნი მუან ქარიმი

ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონული დირექტორი

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO)

დოქ. ჰანს ჰენრი კლუგე




ევროპის რეგიონული დირექტორი

გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women)

ქ-ნი ალია ელ-იასირი

ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონული დირექტორი

ხელმოწერა





სარჩევი

მოკლე შინაარსი	9
თავი 1: გაერთიანებული ერების მდგრადი განვითარების დღის წესრიგი და ქვეყნის პროგრესი	15
თავი 2: გაერთიანებული ერების მდგრადი განვითარების დღის წესრიგი და გაერთიანებული ერების სისტემის მხარდაჭერა	21
2.1 ცვლილების თეორია	21
2.1.1 COVID-19-ის ზეგავლენა და გაეროს დახმარება კრიზისის დასაძლევად	27
2.2 თანამშრომლობის სტრატეგიული პრიორიტეტები	28
2.3 განვითარების მოსალოდნელი შედეგები	29
2.4 თანამშრომლობის ხელშეკრულების შედეგები და პარტნიორობა	31
2.4.1 შედეგი 1	33
2.4.2 შედეგი 2	37
2.4.3 შედეგი 3	41
2.4.4 შედეგი 4	45
2.4.5 შედეგი 5	49
2.5 თანამშრომლობის ხელშეკრულების შედეგების ურთიერთდაზოგადებულება	53
2.6 მდგრადობა	56
2.7 გაერთიანებული ერების უპირატესობები და საქართველოში გაერთიანებული ერების ჯგუფის კონფიგურაცია	58
თავი 3: თანამშრომლობის ხელშეკრულების განხორციელების სქემა	61
3.1 განხორციელების სტრატეგია და სტრატეგიული პარტნიორობა	61
3.2 ერთობლივი სამუშაო გეგმები	63
3.3 მმართველობა	64
3.4 ფული და სახსრების გადარიცხვის მეთოდები	70
თავი 4: მონიტორინგისა და შეფასების სქემა	75
4.1 მონიტორინგის, შეფასებისა და სწავლების გეგმა	75
4.1.1 რისკები და შესაძლებლობები	76
4.1.2 თანამშრომლობის ხელშეკრულების შეფასება და ანგარიშგება	77
4.2 შეფასების გეგმა	77
დანართი 1: თანამშრომლობის ხელშეკრულების შედეგების მატრიცა	79
დანართი 2: თანამშრომლობის ხელშეკრულების სამართლებრივი დანართი	100



მოკლე შინაარსი

გაეროს წარმომადგენლობამ საქართველოში, როგორც მთავრობის დიდი ხნის პარტნიორმა, სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან ერთად შეიმუშავა გაეროს მდგრადი განვითარების თანამშრომლობის ხელშეკრულება (შემდგომში – „თანამშრომლობის ხელშეკრულება“) 2021-2025 წლებისთვის. ამ დოკუმენტის შემუშავება მოხდა ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით – გაეროს სააგენტოები, საქართველოს მთავრობა, დონორები, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები, სამოქალაქო საზოგადოება და სამეცნიერო წრეები. აღნიშნული დოკუმენტი გაეროს მომდევნო ხუთი წლის სტრატეგიული სამოქმედო გეგმაა, სადაც გათვალისწინებულია მიმდინარე საპროგრამო ციკლის (2016-2020) საბოლოო შეფასების შედეგები და ქვეყანაში არსებული ზოგადი მდგომარეობის ანალიზით გამოვლენილი გამოწვევები. დოკუმენტი ეფუძნება ეროვნული განვითარების პრიორიტეტებს, მათ შორის, საქართველოს ევროკავშირისაკენ სწრაფვასა და ქვეყნის მიერ 2030 წლის დღის წესრიგით ნაკისრ ვალდებულებებს და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ადამიანის უფლებებისა და გარემოს დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი წესებით დადგენილ ნორმებს.

„თანამშრომლობის ხელშეკრულება“ არის გაეროს სისტემის ამბიციური განზრახვა საქართველოს ინსტიტუტებისათვის ერთობლივად განახორციელონ მდგრადი განვითარების მიღწევა 2030 წლამდე გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული საქმიანობით.

2015 წელს გაეროს წევრმა ქვეყნებმა 2030 წლის დღის წესრიგი მიიღეს. 2018 წელს ერთ სულ მოსახლეზე მსოფლიო ბანკის GNI-ის ინდექსის კლასიფიკაციით, საქართველომ დაბალი საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნიდან მაღალი საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნის პოზიციაზე გადაინაცვლა. საქართველოში მაღალია ადამიანის შესაძლებლობათა განვითარების დონე. ქვეყანა მიისწრაფვის ევროკავშირის წევრობისაკენ. აქ საგრძნობლად შემცირდა სიღარიბე, თუმცა ქო-

ნებრივი და არაქონებრივი უთანასწორობა კვლავ მაღალია. ახლახან, საქართველომ მმართველობისა და ეკონომიკის მართვის ამბიციური რეფორმები განახორციელა და „მთავარი რეფორმატორის“ სახელი მოიპოვა. ქვეყანაში შეიქმნა ძლიერი მაკროეკონომიკური გეგმა და ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო. 2020 წელს მსოფლიო ბანკის ანგარიშში „ბიზნესის კეთების შესახებ“ საქართველო მე-7 ადგილზეა 190 ქვეყანას შორის. COVID-19-ის პანდემიის გავრცელებამდე, 2010-2019 წწ. საკმაოდ შთამბეჭდავი იყო ზრდა - საშუალოდ 4.8 პროცენტი; ამ პერიოდში მშპ ერთ სულზე, მსყიდველობითი უნარის პარიტეტით (PPP), 2010 წელს დაფიქსირებული \$ 9,737-იდან 2019 წელს \$ 15,014-მდე გაიზარდა. 2020 წელს მოსალოდნელია მშპ-ის 4.8-პროცენტიანი შემცირება, ხოლო 2021 წელს – 4-პროცენტიანი ზრდა. 2014 წ. საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას და შეუერთდა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას (DCFTA), რაც მას განსაკუთრებული სავაჭრო რეჟიმით სარგებლობის შესაძლებლობას აძლევს. ევროკავშირის წევრობა ქვეყნის უმთავრესი პრიორიტეტი.

2030 წლის დღის წესრიგის განვითარების სქემაში ასახვის მიზნით, საქართველომ მოახდინა მდგრადი განვითარების მიზნების და ინდიკატორების ნაციონალიზაცია და შექმნა მდგრადი განვითარების საბჭო და ოთხი სამუშაო ჯგუფი (სოციალური ჩართულობა, ეკონომიკური განვითარება, მდგრადი ენერგორესურსები და გარემოს დაცვა და დემოკრატიული მმართველობა). მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში წარმატების ანალიზი ცხადყოფს, რომ ქვეყნის განვითარების სქემა და ასოცირების ხელშეკრულება ფარავნ ეროვნული მდგრადი განვითარების მიზნების 93 პროცენტს. 2016 წელს, ქვეყანამ მდგრადი განვითარების მაღალი დონის პოლიტიკურ ფორუმს წარუდგინა პირველი ნებაყოფლობითი ეროვნული მიმოხილვა (VNR), ხოლო 2020 წლის ივლისში მეორე ანგარიში წარადგინა. საქართველომ მნიშვნელოვან პროგ-

რეს მიაღწია მდგრადი განვითარების მიზნების მიმართულებით — მდგრადი განვითარების მიზნების გლობალური ანგარიშის მიხედვით, ის 73-ე ადგილზეა 162 ქვეყანას შორის. გასული ათწლეულის განმავლობაში ქვეყანაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდა შეინიშნება, რაც ეკონომიკისა და მმართველობის რეფორმებმა განაპირობა: შეიქმნა ძლიერი სამართლებრივი და ადამიანის უფლებათა დაცვის სქემები, შემცირდა სიღარიბე, გაუმჯობესდა საცხოვრებელი პირობები, დაიხვეწა ღარიბთა და უმწეოთა სოციალური დაცვის მექანიზმები, განხორციელდა ანტიკორუფციული რეფორმა, რასაც კორუფციის აღქმის ინდექსის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება მოჰყვა და გატარდა სახელმწიფო მმართველობისა და სასამართლო სისტემის რეფორმები.

2015 წელს კატასტროფის რისკის შემცირების ინიციატივის (CADRI) მიერ ჩატარებული შეფასების დასკვნები სრულად გაითვალისწინეს კატასტროფის რისკის შემცირების (DRR) ეროვნულ სტრატეგიაში, რომელიც 2018 წელს მიიღო მთავრობამ და სა-

მოქმედო გეგმასთან ერთად, 2021 წელს დასრულდება. 2018 წელსვე ჩატარდა პირველადი შეფასება და შედარებითი ანალიზი, რაც მიზნად ისახავდა, გამოეკვლინა ქვეყანაში არსებული ხარვეზები, გამოწვევები და კატასტროფის რისკის შემცირება-მართვის (DRR/DRM) და კლიმატის ცვლილებაზე მორგების (CCA) სისტემები. ხარვეზები გამოვლინდა სხვადასხვა კატეგორიაში, რომელთა აღმოფხვრა მოსალოდნელია თანამშრომლობის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, რომ კიდევ უფრო გაუმჯობესდეს ინსტიტუციური შესაძლებლობები და მოეწყოს კლიმატით გამოწვეული რისკის მართვისა და ადრეული შეტყობინების სისტემები.

კვლავ არსებობს გამოწვევები: გარე ფაქტორებზე დამოკიდებული ეკონომიკა, მოსახლეობის შემცირება და დაბერება, დუალიზმი ეკონომიკაში, რეგიონული უთანასწორობა და მოუგვარებელი კონფლიქტები. „ქვეყანაში არსებული მდგომარეობის ზოგად ანალიზში“ (CCA) საზგასმულია შემდეგი გამოწვევები: სივრცითი და სოციალური



©UN/ვლადიმირ ვალიშვილი



©UNICEF/თაკო რობაქიძე

განსხვავებები; სიღარიბის მაღალი მაჩვენებელი (მოსახლეობის 20 პროცენტზე მეტი ცხოვრობს სიღარიბის ეროვნულ ზღვარს მიღმა); უთანასწორობა; მოუგვარებელი კონფლიქტები და გაეროს შეზღუდული წვდომა კონფლიქტით დაზარალებულ ტერიტორიებზე; მოსახლეობის დაბერება და გარე მიგრაციის მაღალი მაჩვენებელი; მწირი წარმოება და კონკურენცია; ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული სირთულეები, მათ შორის შშმ პირების, თავშესაფრის მაძიებელთა, საერთაშორისო დაცვის მქონეთა (ლტოლვილები და ჰუმანიტარული სტატუსის მქონეები), მოქალაქეობის არმქონეთა, მიგრანტების, ეთნიკური თურელიგიური უმცირესობებისა და ლგბტქი+ თემის წინაშე მდგარი გამოწვევები; შრომითი უფლებების არასათანადო დაცვა; ჯანდაცვის, განათლების და სოციალურ სფეროში არსებული ხარვეზები, განსაკუთრებით მოსახლეობის უმწეო ფენის შემთხვევაში; კლიმატის ცვლილება და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გამოწვევები, მათ შორის, ბუნებრივი კატასტროფების მაღალი რისკი; კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს წარმატების აღიარებითა და ამ პროგრესის შენარჩუნებისა და ინსტიტუციური დემოკრატიის (კორუფციისგან თავი-

სუფალი ინსტიტუციები) განსამტკიცებლად გრძელდება ძალისხმევა გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მაღალი დონის მისაღწევად, ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და საზოგადოების ჩართულობის გაზრდისა და ანტიკორუფციული მექანიზმების დასახვეწად. კორუფციის წინააღმდეგ მიმართული ქმედებები და სახელისუფლებო უწყებებისადმი საზოგადოების ნდობის განმტკიცება გაეროს მომდევნო საპროგრამო ციკლის მნიშვნელოვან პრიორიტეტად რჩება.

როგორც აღინიშნა, „თანამშრომლობის ხელშეკრულება“, რომლის მთავარი პრინციპია „არავინ დარჩეს განვითარების პროცესებს მიღმა“ და ითვალისწინებს მდგრადი განვითარების ეროვნული მიზნების მისაღწევად საქართველოს მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, გაეროს, საქართველოს მთავრობისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მსჯელობისა და თანამშრომლობის ნაყოფია. დოკუმენტი მიმართულია, უპასუხოს განვითარების მხრივ არსებულ (ზემოაღნიშნულ) გამოწვევებს, რომ დასახული ამოცანები შესრულდეს ერთ, გამაერთიანებელ, პრიორიტეტზე დაყრდნობით:

ადამიანის კეთილდღეობის, შესაძლებლობებისა და სოციალური თანასწორობის გაუმჯობესება საქართველოში 2025 წლისთვის.

ამ სტრატეგიული პრიორიტეტის შესრულება შესაძლებელია თანამშრომლობის ხელშეკრულების ხუთი ძირითადი შედეგის მიღწევით:

შედეგი 1: 2025 წლისთვის საქართველოში ყველა ისარგებლებს უკეთესი მმართველობით, უფრო ღია, სტაბილური და ანგარიშვალდებული ინსტიტუტებით, კანონის უზენაესობით, თანაბარად ხელმისაწვდომი მართლმსაჯულებით, ადამიანის მეტად დაცული უფლებებით და ქალთა მეტი წარმომადგენლობითა და მონაწილეობით გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

შედეგი 2: 2025 წლისთვის საქართველოში ყველას ექნება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, სამართლიანი და ინკლუზიური წვდომა ხარისხიან, სტაბილურ და გენდერულ თანასწორობაზე დაფუძნებულ სერვისებზე

შედეგი 3: 2025 წლისთვის საქართველოში ყველა,

გაერო, თავისი მათგან განსხვავებული როლის, შედარებითი უპირატესობისა და გაცხადებული დირექტივების საფუძველზე, საქართველოში განახორციელებს ისეთ სტრატეგიულ ჩარევებს, როგორცაა ტექნიკური დახმარება, შესაძლებლობების განვითარება, პარტნიორობისა და რესურსების გამოყენება, ადვოკატირება, სოციალური მობილიზაცია, საბროკერო ცოდნა და ინოვაციების პილოტირება-გავრცელება. გაერო განაგრძობს საქართველოს მხარდაჭერას COVID-19-ზე რეაგირებისა და აღდგენის პროცესში; ეხმარება მას ეკონომიკის სტრუქტურული ბალანსის გაუმჯობესებისა და მთელი რიგი სფეროების, წარმოებით დაწყებული, სოციალური მომსახურებით დამთავრებული, გაციფრვის დაჩქარებაში. თანამშრომლობის ხელშეკრულების სახელმძღვანელო პრინციპებია: არავინ დარჩეს განვითარების პროცესებს მიღმა; ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომები; გენდერული თანასწორობა და ქალთა გაძლიერება; მედეგობა; მდგრადობა; და ანგარიშვალდებულება. ამასთანავე, მომდევნო პერიოდში, საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა გარემოს დაცვისა და ინოვაციების, ასევე დეცენტრალიზაციის საკითხებს.

თანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში, გაეროს სააგენტოები იმუშავებენ როგორც ცენ-

დისკრიმინაციის გარეშე ისარგებლებს მდგრადი, ინკლუზიური და მედეგი ეკონომიკით.

შედეგი 4: 2025 წლისთვის კონფლიქტით დაზარალებული თემები ისარგებლებენ ადამიანის უფლებებით, გაძლიერებული უსაფრთხოებითა და მედეგობით.

შედეგი 5: 2025 წლისთვის საქართველოში თითოეული ადამიანის უსაფრთხოება და მედეგობა უზრუნველყოფილი იქნება დისკრიმინაციის გარეშე, გაუმჯობესებული გარემოსდაცვითი მმართველობის, კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ მიმართული ძალისხმევებისა და და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის შედეგად.

ტრალურ ხელისუფლებასთან პოლიტიკის შემუშავებისთვის, ასევე ადგილობრივ მთავრობებთან სათემო საქმიანობის საკითხებზე. გაერო დაეხმარება მთავრობას სტრატეგიულად მნიშვნელოვან სფეროებში რეგიონული თანამშრომლობის განმტკიცებაში, განსაკუთრებით ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნებთან. იმის გათვალისწინებით, რომ ევროინტეგრაცია ქვეყნის მთავარი პრიორიტეტია, გაერო საქართველოში მჭიდროდ ითანამშრომლებს ევროკავშირთან და მთავრობასთან, 2030 წლის დღის წესრიგსა და ასოცირების ხელშეკრულებას შორის მაქსიმალური ურთიერთკავშირის მისაღწევად.

„თანამშრომლობის ხელშეკრულების“ განხორციელებას უხელმძღვანელებს გაეროსა და ქვეყნის ერთობლივი სამეთვალყურეო საბჭო (JSC), რომლის თანათავმჯდომარეები იქნებიან პრემიერ-მინისტრი¹ და გაეროს მუდმივი კოორდინატორი. სხვა დაინტერესებულ მხარეებს: განვითარების ძირითად პარტნიორებს/დონორებს, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს, სამოქალაქო საზოგადოებას, სამეცნიერო წრეებს და კერძო სექტორის წარმომადგენლებს შეუძლიათ

¹ პრემიერ-მინისტრს შეუძლია მთავრობის ადმინისტრაციის უფროსს მიაწიჭოს უფლებამოსილება წარმოადგინოს იგი მმართველი კომიტეტის სხდომებზე.



©UNICEF /თამარ გურგენიძე

ჩაერთონ ამ სტრუქტურის მუშაობაში. ერთობლივი სამეთვალყურეო საბჭო მიიღებს პროგრამის განხორციელების შედეგების ყოველწლიურ ანგარიშს, რომელიც მოიცავს მიღწეული შედეგების მიმოხილვას, გამოწვევებზე რეაგირებას, სტრატეგიული მიმართულების განსაზღვრას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, შუალედურ შესწორებებს შეიტანს პროგრამაში.

თანამშრომლობის ხელშეკრულების განხორციელებას მმართველობის სხვა სტრუქტურებიც შეუწყობენ ხელს: შედეგების ჯგუფები და საქართველოში გაეროს სააგენტოთა ჯგუფი (UNCT) და სხვ., მათ შორის, გაეროს თემატური ჯგუფები და პროგრამის მხარდაჭერის ჯგუფები. თანამშრომლობის ხელშეკრულება გაივლის სავალდებულო საბოლოო დამოუკიდებელ შეფასებას 2024 წელს, ანუ საპროგრამო ციკლის დასრულების ბოლოს წინა წელს.

თანამშრომლობის ხელშეკრულება განხორციელდება ერთობლივად შემუშავებული სამუშაო გეგმებით, ხოლო — მონიტორინგი შედეგების ცხრილში გათვალისწინებული ინდიკატორებით და საბაზისო მონაცემებით. 2021-2025 წწ. განმავლობაში მონიტორინგისა და შეფასებისა გეგმა რეგულარულად განიხილება და განახლდება.

თანამშრომლობის ხელშეკრულების სამართლებრივი ასპექტები რეგულირდება ამ დოკუმენტის ბოლოს, იურიდიულ დანართში მოცემული დებულებებით.

საქართველოში გაეროს სააგენტოთა ჯგუფი იმუშავებს გაეროს გლობალური რეფორმის შესაბამისად. მისი მონაწილეობა თანამშრომლობის ხელშეკრულების შესრულებაში ეფუძნება გაეროს ძლიერ მაკოორდინირებელ ფუნქციას და მასპინძელი მთავრობისა და ხალხის წინაშე ანგარიშვალდებულებას, რაც გაეროს ნორმატიული მანდატით არის განსაზღვრული და ხელს უწყობს მდგრადობას და რისკის შემცირებას. პროგრამის განხორციელება და მონიტორინგი შეესაბამება მდგრადი განვითარების ინდიკატორების ეროვნულ სქემას. კონფიგურაციის საფუძველზე, ფასდება რამდენად იძლევა გაეროს სისტემა შეთანხმებული შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. UNCT-ი ასევე შეისწავლის ალტერნატიულ ბიზნეს მოდელებს, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი იქნება არარეზიდენტ სააგენტოების გამოცდილების გამოყენება დისტანციურად ან რეგიონულ თავყრილობებზე დასწრებით.



თავი 1: გაერთიანებული ერების 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგი და ქვეყნის პროგრესი



©UNDP/ვლადიმერ ვალიშვილი

გასული ათწლეულების განმავლობაში ქვეყანამ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით; გაატარა ეკონომიკური და მმართველობის რეფორმები; შეამცირა სიღარიბე და გააუმჯობესა საცხოვრებელი პირობები; დახვეწა დარიბების და უმწეოთა სოციალური დაცვის მექანიზმები; გაატარა ანტიკორუფციული რეფორმა, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა კორუფციის აღქმის ინდექსი; განახორციელა საჯარო მმართველობის და სასამართლო სისტემის რეფორმა. ქვეყანაში შემოდებული საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა და სახელმწიფო მმართველობის რეფორმა კარგ მაგალითად არის აღიარებული. საქართველოს რეაგირება COVID-19-ის პანდემიაზე, ასევე სამაგალითოდ არის მიჩნეული.

თუმცა, კვლავ არსებობს გამოწვევები, მათ შორის: გარე ფაქტორებზე დამოკიდებული ეკონომიკა, მოსახლეობის შემცირება, დუალიზმი ეკონომიკაში, სოფლის მეურნეობის დაბალი პროდუქტიულობა, მაღალი რეგიონული უთანასწორობა, მოუგვარებელი კონფლიქტი, რომელიც მძიმე გავლენას ახდენს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონზე/სამხრეთ ოსეთზე; მმართველობის რეფორმა, განსაკუთრებით სასამართლოს მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა, მიმდინარე საარჩევნო რეფორმა და საპარლამენტო არჩევნების ჩატარება, რომელიც 2020 წლის ოქტომბრის ბოლოსთვის იგეგმება.

საქართველომ სწრაფად აულო ალლო მდგრადი განვითარების მიზნების 2030 წლის დღის წესრიგს

და 2016 წელს ერთ-ერთმა პირველმა წარადგინა ნებაყოფლობითი ეროვნული მიმოხილვის ანგარიში. მთავრობამ შექმნა მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციისა და პრიორიტეტების განსაზღვრის ინსტიტუციური მექანიზმები და 2019 წელს მიიღო მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტი. ამ დოკუმენტში განსაზღვრულია 17 ნაციონალიზებული მიზანი, 93 ნაციონალიზებული ამოცანა, ასევე შესრულების ინდიკატორები და მათი ყოველწლიური მონიტორინგის სისტემა. გაეროს მხარდაჭერით მომზადებული მეორე ნებაყოფლობითი ეროვნული მიმოხილვა საქართველომ 2020 წლის ივლისში წარუდგინა (ვირტუალურად) მდგრადი განვითარების მაღალი დონის პოლიტიკურ ფორუმს.

საქართველოში MAPS²-ის მისია 2019 წელს (თებერვალი აპრილი) ამოქმედდა, და მიზნად ისახავდა ეროვნული და სუბნაციონალური დოკუმენტების მდგრადი განვითარების მიზნებთან შესაბამისობის შეფასებას. შედეგებმა აჩვენა, რომ ეროვნული

² MAPS - ინტეგრირება, დაჩქარება და პოლიტიკის მხარდაჭერა



©UNDP/ვლადიმირ ვალიშვილი

სტრატეგიები და ევროკავშირთან საქართველოს ასოცირების ხელშეკრულება (AA) ერთობლივად, ფარავნენ ქვეყნის ნაციონალიზებული მდგრადი განვითარების მიზნების 93 პროცენტს. ამდენად, ასოცირების ხელშეკრულების მხარდაჭერა, მდგრადი განვითარების მიზნების პროგრესს ემსახურება. რეგიონულ და მუნიციპალურ დონეებზე საჭიროა მდგრადი განვითარების მიზნების მაღალ დონეზე



©UNDP/ვლადიმირ ვალიშვილი

გაცნობიერება. რაც შეეხება “5P”-ს (People — ხალხი, Prosperity — კეთილდღეობა, Peace — მშვიდობა, Planet — პლანეტა, Partnerships — პარტნიორობა) საქართველო მეტწილად ორიენტირებულია „ხალხზე“ და „კეთილდღეობაზე“, შემდგომ „მშვიდობასა“ და „პლანეტაზე“, ყველაზე ნაკლები ყურადღება კი „პარტნიორობას“ ეთმობა.

MAPS-ის მისიამ ასევე ჩაატარა „სირთულის ანალიზი“, რათა განესაზღვრა რამდენად დააჩქარებდა მდგრადი განვითარების მიზნების ერთ სფეროში მიღწევა, პროგრესს სხვა სფეროებში. მდგრადი განვითარების მიზნების კონკრეტულ ამოცანებზე დაყრდნობით, რომელთაც სხვადასხვა სფეროზე გავლენის მოხდენის პოტენციალი აქვს, კვლევამ განსაზღვრა ოთხი პრიორიტეტული მიმართულება: (1) დეცენტრალიზებული განვითარება; (2) ინვესტირება ახალგაზრდებში; (3) არავინ დარჩეს განვითარების პროცესის მიღმა და (4) ენერჯის მწვანე წარმოება და მოხმარება.

„არავინ დარჩეს განვითარების პროცესებს მიღმა“ პერსპექტივიდან თუ შევაფასებთ მდგომარეობას დავინახავთ, რომ მოსახლეობის დაუცველი ფენებს, რომლებიც ყველაზე უფრო შორს არიან ამ პროცესიდან, ორი საერთო მახასიათებელი აქვთ: 1. მოწყვლადობის მრავალი ფაქტორის ერთობლიობა, და 2. დომინანტ საზოგადოებრივ დისკურსში მათი ადამიანის უფლებების აღიარების უგულებელყოფა, რასაც კიდევ უფრო ამწვავებს სოციალური ნორმები. ამ პრიზმით დაკვირვებისას ვლინდება, რომ სიღარიბეში მცხოვრები ბავშვები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ქალთა და გოგონების სპეციფიკური კატეგორიები, ხანდაზმული პირები, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები, არა დომინანტური სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის მქონე პირები და არაფორმალური ეკონომიკის მუშაკები წარმოადგენენ ადამიანთა ჯგუფებს, რომლებიც მრავალმხრივი მოწყვლადობის გამო ყველაზე მეტად რჩებიან განვითარების პროცესებს მიღმა. მიუხედავად იმისა, რომ COVID-19-ის გავლენის საბოლოო შეფასება ჯერ ხელმიუწვდომელია, ძნელი მისახვედრი არაა, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ჯგუფების უთანასწორობა და მოწყვლადობა კიდევ უფრო გამწვავდება.

უთანასწორობის ძირითად გამომწვევ მიზეზებს შორის არის: ეკონომიკური განვითარების დაბალიზმი, რომელიც მნიშვნელოვან განსხვავებას ქმნის სოფელსა და ქალაქს შორის; მაღალტექნოლოგიური უმუშევრობა, რომელსაც

პოსტსაბჭოთა პერიოდში დანგრეული და მოგვიანებით, მაღალტექნოლოგიური, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით აღდგენილი ინდუსტრიის ადგილობრივ კომპანიებთან სუსტი კავშირი განაპირობებს; დაბალი პროდუქტიულობა სოფლად და მაღალი არასრული დასაქმება; ნელია, სოციალური ცვლილებების ტემპი მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა პასუხისმგებლობით ეკიდება მის მიერ ნაკისრ ვალდებულებებს — დაამკვიდროს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები, აამოქმედოს პროგრესული, სამართლებრივი და ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმები, მათ შორის, ანტიდისკრიმინაციული კანონები. უთანასწორობას იწვევს ასევე მშრომელთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის სფეროში არსებული გამოწვევები და მოწყვლადი ჯგუფების დაუცველობა; გენდერული სტერეოტიპები და სოციალური ნორმები, რომლებიც აძლიერებენ მოსახლეობის გარკვეული სეგმენტების უთანასწორობას.



©UNDP/ნინო ზედგინიძე

რეგიონული და ტრანსსასაზღვრო კონტაქტები და თანამშრომლობა განისაზღვრება და იზღუდება სამხრეთ კავკასიის კონფლიქტებით და აქ შექმნილი დაძაბულობით, აგრეთვე უფრო დიდი მუშობლების რუსეთისა და თურქეთის ჩარევით. ძლიერი და აქტიური ოფიციალური, რეგიონალური ინსტიტუტების არარსებობა კარს უდებს შეზღუდულ,



©UNDP/ნინო ზედგინიძე

ერთჯერად თანამშრომლობას, რომელიც ორმხრივ ინტერესებს ეფუძნება, მაგ., ელექტროენერჯის მიწოდების მარშრუტების ხელშეწყობას ქვეყნებსა და რეგიონებში. ამჟამინდელი თანამშრომლობა ევროკავშირს, პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან ძირითადად ევროკავშირთან თანამშრომლობის უფრო ფართო კონტექსტში მიმდინარეობს, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ან აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში. საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ევროკავშირს და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია, როგორც მდგრადი განვითარების მიმართულებით წინსვლის ძირითადი შესაძლებლობის თვალსაზრისით, ასევე იმ პარტნიორობებთან თანხვედრისთვის, რომლებსაც შეუძლიათ თავისი როლი შეასრულონ ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

განვითარების პროცესის დაფინანსების მნიშვნელოვანი წყაროებია: განვითარებისთვის გამოყოფილი დახმარება, სახელმწიფო შემოსავლები და უცხოური ინვესტიციები. თუმცა, სავარაუდოდ, ეს დაფინანსება არასაკმარისი და არამდგრადი იქნება გრძელვადიან პერსპექტივაში. ქვეყნის მაღალი საშუალო შემოსავლის სტატუსის გათვალისწინებით, საგარეო დახმარება და დონორების დაფინანსება შეიძლება მკვეთრად შემცირდეს. უახლოეს მომავალში აუცილებელი იქნება ისეთი

პირობების შექმნა, რომლებიც პროდუქტიულობის მკვეთრ ზრდას გამოიწვევს და ხელს შეუწყობს კერძო სექტორის ჩართვას განვითარების დაფინანსებაში, ხოლო ზრდის საკმარისად მაღალი დონის შენარჩუნება შექმნის ფისკალურ სივრცეს ამგვარი დაფინანსებისთვის. თუ ევროკავშირისა და საქართველოს ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გაგრძელდება, როგორც დაგეგმილი იყო, გაჩნდება დაფინანსების ახალი შესაძლებლობები.

პოტენციური საფრთხეები, რომლებმაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედონ საქართველოს განვითარების ტრანსფორმაციაზე, აერთიანებს სამინაო, გეოპოლიტიკურ და ბუნებრივი რისკების ფაქტორებს. პოლიტიკური პოლარიზაცია ქმნის დაძაბულობას და ზღუდავს განსხვავებული აზრის კონსტრუქციულად მიღების სივრცეს. გაფართოვდება თუ შემცირდება ეს დაყოფა, მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებზე, რომლებიც ძირითადად პროპორციული სისტემით ჩატარდება. აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში და მათ გარშემო არსებული ვითარება კვლავ ქმნის პოლიტიკურ, სამხედრო და უსაფრთხოების რისკებს. რუსეთთან არასტაბილური ურთიერთობა მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ქვეყნის უსაფრთხოებას და ეკო-

ნომიკურ მდგომარეობას. ბუნებრივ რისკებს ქმნის მიწისძვრების, წყალდიდობების, გვალვების და მეწყერების საშიშროება, გარდა ამისა, კლიმატის ცვლილებამ გავლენა მოახდინა წყლის რესურსებზე და ამინდის ექსტრემალური მოვლენების გახშირება გამოიწვია. ქვეყანა დაუცველია ბიოლოგიური კატასტროფებისგანაც.

მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების დასაჩქარებლად იმ ჰორიზონტალური პრობლემების აღმოფხვრაა საჭირო, რომლებიც მრავალი მიზნისთვის არის საერთო. მაგალითად, უთანასწორობა და საზოგადოების დაყოფა³, აფერხებს ადამიანის და ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარებას და პროდუქტიულობის წინაშე არსებული გამოწვევების დაძლევისას.

ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად, ყურადღება უნდა გამახვილდეს თემებზე, რომლებიც ხელს შეუწყობს უთანასწორობის, მათ შორის გენდერულ უთანასწორობის, შემცირებას; მშვიდობისა და ძლიერი ინსტიტუტების პოპულარიზაციას; მდგრადი განვითარებისთვის პარტნიორობის გაძლიერებას და ყურადღების გადატანას პროდუქტიულობის ამალგებაზე; ინკლუზიურობას; მედეგობას; ადამიანებისა და ინსტიტუციების შესაძლებლობებს და ინოვაციებს.

³ მაგ: სივრცული დაყოფა: ქალაქი-სოფელი, ასევე ისეთი ინდიკატორები, როგორიცაა სიბერე, სიღარიბე, ადამიანური კაპიტალის სიმწირე და ა.შ.

ჯერჯერობით საქართველომ კარგად გაართვა თავი COVID-19-ის პანდემიის მართვას და მოსახლეობაში ფართო გავრცელების პრევენციას. თუმცა, მიმდინარე შეფასებების მიხედვით ის სერიოზულ, უარყოფით გავლენას მოახდენს ეკონომიკასა და საზოგადოებაზე. ბოლოდროინდელი შეფასებებით, 2020 წელს ეკონომიკა 5 პროცენტით შემცირდება. ფისკალური სტიმულის გამო, 2020 წელს ფისკალური დეფიციტი შესაძლოა მთლიანი შიდა პროდუქტის 5.2 პროცენტამდე გაიზარდოს.⁴ ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები, სავარაუდოდ, შემცირდება. მსოფლიო ბანკის შეფასებით⁵ სიღარიბე, უთანასწორობა და გარკვეული ჯგუფების მოწყვლადობა, შესაძლოა მთელ მსოფლიოში გაიზარდოს, რაც საფრთხეს შეუქმნის პრინციპს „არავინ დარჩეს განვითარების პროცესებს მიღმა“.

COVID-19-ის აფეთქების გავლენა ჯერ სრულად არ ჩანს, რადგან გლობალურად იმატებს შემთხვევები. თანამშრომლობის ხელშეკრულება ითვალისწინებს გავლენის მიმდინარე შეფასებას და ასახავს დოკუმენტის ნარატივსა და ინდიკატორებში. ახალი მტკიცებულებების გამოვლენის და მთავრობასთან კონსულტაციების შემდეგ შესაძლოა თანამშრომლობის ხელშეკრულება გადაისინჯოს.

⁴ მსოფლიო ბანკი, საქართველო (2020 წლის აპრილი). <https://www.worldbank.org/en/country/georgia/overview#3>

⁵ “გლობალური ეკონომიკური პერსპექტივები”, მსოფლიო ბანკი, ივნისი, 2020, <http://hdl.handle.net/10986/33748> “ხალხისა და ეკონომიკის დაცვა: ინტეგრირებული რეაგირება პოლიტიკაზე COVID-19”, მსოფლიო ბანკი, 2020 <http://hdl.handle.net/10986/33770>,



თავი 2: გაეროს 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგი და გაეროს განვითარების სისტემის მხარდაჭერა



©UN/ვლადიმირ ვალიშვილი

2.1 ცვლილების თეორია

„თანამშრომლობის ხელშეკრულების“ საფუძვლადმდებარე ცვლილების თეორია ემყარება 2030 წლის დღის წესრიგს, რომელიც წარმოადგენს სამოქმედო გეგმას ადამიანებისთვის, პლანეტისა და კეთილდღეობისთვის და ცდილობს მეტი თავისუფლების პირობებში გაამყაროს მშვიდობა პარტნიორობის შექმნის გზით. პრინციპი — არავინ დარჩეს განვითარების პროცესებს მიღმა, აღიარებს ადამიანების წამყვან როლს განვითარებისთვის საჭირო ძალისხმევაში. ის მოიცავს ღარიბებს და მიმართულია დისკრიმინაციის წინააღმდეგ. ეს მიდგომა ეფუძნება ადამიანის უფლებების სტანდარტებს, მათ შორის თანასწორობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპებს, რომლებიც გაეროს ქარტიის ფუნდამენტური პრინციპებია.

“არავინ დარჩეს განვითარების პროცესებს მიღმა“, გულისხმობს ადამიანის მატერიალური უზრუნველყოფის გარდა ყურადღების გამახვილებას ქონებრივ უთანასწორობასა და დისკრიმინაციაზე (რომელიც ხშირად მრავალმხრივი და ურთიერთდაკავშირებულია), დისკრიმინაციის ინტერსექციურობაზე; ასევე მოსახლეობის ყველა ჯგუფისთვის პროგრესის უზრუნველყოფას, დისაგრეგირებულ დონეზე, და უთანასწორობის ახალ ფორმების აღმოსაფხვრას, რომლებიც გამოწვეულია კლიმატის ცვლილებითა და ტექნოლოგიური ტრანსფორმაციით.⁶ არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, COVID-19-მა განსხვავებული გავლენა მოახდინა მოსახლეობის სხვადასხვა სეგმენტზე. ეპიდემიაზე ნებისმიერი რეაგირება უნდა ითვალისწინებდეს ამ ფაქტორს და აყალიბებდეს პრინციპის “არავინ დარჩეს განვითარების პროცესებს მიღმა“ მხარდაჭერის პროგრამას.

⁶ ადამიანის განვითარების ანგარიში 2019

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ სხვადასხვა სახის უთანასწორობა განისაზღვრა, როგორც ინკლუზიური, მდგრადი და მედეგი განვითარების შემაფერხებელი ძირითადი გამოწვევა. საქართველო, რომლის მოსახლეობის 20 პროცენტი სიღარიბის ზღვარს მიღმაა, რეგიონში არა მხოლოდ ყველაზე მაღალი საშემოსავლო უთანასწორობით გამოირჩევა, არამედ არაქონებრივი უთანასწორობის მრავალი და ურთიერთგადამკვეთი ფორმითაც ხასიათდება. განვითარების დამატებითი გამოწვევებია: (1) ქონებრივი და სოციალური დაყოფა,⁷ (2) მოსახლეობის გადაადგილება მოუგვარებელი კონფლიქტის გამო, (3) მოსახლეობის დაბერება და შემცირება, (4) მმართველობის წინაშე არსებული გამოწვევები, მათ შორის სამართლიანობაზე წვდომის გაუმჯობესება და ანტიკორუფციული ზომები (5) კლიმატის ცვლილება და გარემოს დეგრადაცია (6) ხარვეზები ადამიანურ კაპიტალში, მათ შორის უნარების შესაბამობა, (7) სოციალური ერთობისა და ნდობის ნაკლებობა და (8) მტკიცებულებებზე დაყრდნობით გადაწყვეტილების მიღების და პოლიტიკის თანამიმდევრულობის გაუმჯობესება.

განვითარების წინაშე არსებულ გამოწვევებს კიდევ უფრო ამძაფრებს არათანაბარი რეფორმები და ეკონომიკური სტრუქტურა, რამაც, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, მრეწველობის სრული მოშლა გამოიწვია, და ქვეყანა მეტწილად სასოფლო სისტემაზე გადაიყვანა. სოფლის მეურნეობის წილი მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 8 პროცენტს შეადგენს (7.8% 2018 და 7.2% 2019 წლებში) და უზრუნველყოფს მთლიანი დასაქმების 38 პროცენტს. ეკონომიკა ხასიათდება დუალიზმით: ძირითადად ურბანული კეთილდღეობის კუნძულები, თანაარსებობს ღარიბ სასოფლო-სამეურნეო რეგიონებთან, რომელებიც დაბალპროდუქტიულ სოფლის მეურნეობაზეა დამოკიდებული და სოციალური უსაფრთხოების ბადის ფუნქციას უფრო ასრულებს, ვიდრე ეკონომიკის დინამიურად განვითარებადი, პროდუქტიული სექტორისა.

გრძელვადიანი კონფლიქტის მოუგვარებლობამ გავლენა მოახდინა მოსახლეობის დიდ ნაწილზე. კონფლიქტით დაზარალებულ თემებს განსაკუთრებული საფრთხე ემუქრებათ ადამიანის უფლებების უგულებელყოფისა და მძიმე საცხოვრებელი პირობების გამო. შესაძლოა, მათ ხელი არ მიუწვდებოდეთ სოციალურ მომსახურებაზე, უსაფრთხოებასა და მშვიდობაზე. კონფლიქტით

დაზარალებულ ტერიტორიაზე შეზღუდული წვდომის მიუხედავად, გავრო საქართველოში ახორციელებს ინტერვენციებს, რომლებიც მხარს უჭერს კონფლიქტით დაზარალებულ თემებს და უზრუნველყოფს მათ სხვადასხვა მომსახურებით და უსაფრთხოებით.



©UNDP/ვლადიმერ ვალიშვილი

საქართველო იზიდავს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, და მიზნად ისახავს პოზიციის გაუმჯობესებას „ბიზნესის კეთების ინდექსში“. შესაბამისი პოლიტიკის გატარებით, არსებული კავშირებისა და დამატებითი ინვესტიციების მოზიდვით ქვეყანას შეუძლია ეფექტურად განავითაროს შიდა მრეწველობა და წარმოებიდან მოგების მისაღებად მეტად ინტეგრირდეს მსოფლიო ეკონომიკაში. კერძო სექტორში კონკურენციის გაზრდა და ინოვაციების დანერგვა ხელს შეუწყობს პრობლემების გადაჭრას. არათანაბარი სივრცითი განვითარების საკითხის მოგვარება კი შესაძლებელია სოფლის მდგრადი და ინკლუზიური განვითარებით, კერძოდ, არაფერმერული სოფლის საწარმოების პროდუქტიულობის გაზრდით.

სიღარიბე საგრძნობლად შემცირდა, მაგრამ მაინც არ შეესაბამებოდა იმ შთამბეჭდავ ზრდას, რომელიც ქვეყანამ გასული ათწლეულის განმავლობაში განიცადა. ამასთან, ღარიბი მოსახლეობა კიდევ უფრო დამოკიდებული ხდება პენსიებსა და სოციალურ ტრანსფერებზე. საქართველოში ღარიბთათვის პენსიიდან და სოციალური ტრანსფერებიდან მიღებული შემოსავალი თითქმის ისევე მნიშვნელოვანია, როგორც დასაქმებიდან და სასოფლო სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი.⁸ ეკონომიკა ხასიათდება მაღალი ხარისხის არაფორმალურობით. შესაბამისად, სამუშაო ადგილების უმეტესობა შექმნილია სოფლის მეურ-

⁷ სივრცული დაყოფა: ქალაქი-სოფელი, ასევე ისეთი ინდიკატორები, როგორიცაა სიბერე, სიღარიბე, ადამიანური კაპიტალის სიმწირე და ა.შ.

⁸ საქართველო: რეფორმატორიდან შემსრულებლამდე, მსოფლიო ბანკის დიაგნოზი, 2018 წ.

ნეობაში ან არაფორმალურ მომსახურებაში, ხოლო ოფიციალური სექტორის წილი მხოლოდ 34,7 პროცენტია.

ზემოთ აღნიშნულ დემოგრაფიულ დინამიკას შეუძლია სერიოზული საფრთხე შეუქმნას ქვეყნის გრძელვადიანი განვითარების პერსპექტივას. მოსახლეობის რიცხოვნობა იკლებს აბსოლუტური მაჩვენებლებით და, სავარაუდოდ, 2060 წლისთვის კიდეც შემცირდება — 3,7 მილიონიდან 3,0 მილიონამდე. თუ არსებული სამუშაო ძალა არ გააქტიურდება, მათ შორის ახალგაზრდების და ქალების და იმ ადამიანური კაპიტალის/უნარების მონაწილეობით, რომელსაც ძირითადად დიასპორის წარმომადგენლები, დაბრუნებული მოქალაქეები და შრომითი მიგრანტები ქმნიან, ქვეყანაში უნარების სიმწირე იქნება, რაც შეამცირებს მის შესაძლებლობებს გამოიყენოს ეკონომიკური რეფორმების შედეგად მიღწეული შედეგები. დემოგრაფიული დინამიკის მართვა შესაძლებელია ჯანმრთელი, განათლებული, ცოდნისა და უნარების მქონე პროდუქტიული სამუშაო ძალისა მისი სიცოცხლის განანგრძლივებით, რაც კიდეც ერთი დემოგრაფიული დივიდენდია. თანამშრომლობის ხელშეკრულებაში ასახული პრობლემების გადაჭრის გზები და შედეგები მიზნად ისახავს ქალების სამუშაო ძალის მონაწილეობის კოეფიციენტის (LFPR) ზრდის ხელშეწყობას, დღის განმავლობაში ბავშვებსა და მოხუცებზე ზრუნვის სისტემის გაუმ-

ჯობესებით და გარკვეული დროით უმუშევრად დარჩენილი ქალების გადამზადების და მოქნილი სამუშაო გრაფიკის უზრუნველყოფით. COVID-19-მა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ქალების დასაქმებას, რადგან ბევრი მათგანი სწორედ იმ სფეროებში მუშაობდა, რომელიც ყველაზე დიდი დარტყმის ქვეშ აღმოჩნდა (ტურიზმი, მოგზაურობა, სასტუმროები) პანდემიის დროს. თანამშრომლობის ხელშეკრულება სწორედ ამ ადამიანებს მიაქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას. დახმარებას მიიღებენ დაბრუნებული მიგრანტებიც, რადგან ფულადი გზავნილების შეფერხება მათზე დამოკიდებული ოჯახების კიდეც უფრო გადარბიებას იწვევს.

ზემოაღნიშნულს უკავშირდება ინვესტიციებისა და ადამიანური კაპიტალის საკითხი. ჯანმრთელობის და განათლების სფეროებში მიღებული შედეგები ამ ეტაპზე არ შეესაბამება განხორციელებულ ინვესტიციებს და რეგიონალურ სტანდარტებს. თუ ქვეყანას სურს ისარგებლოს გლობალური/ევროპული ინტეგრაციით, მან უნდა განახორციელოს ინვესტიციები სამუშაო ძალის გაუმჯობესებაში და განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს მათ, ვინც განვითარების პროცესებს მიღმაა დარჩენილი. თანამშრომლობის ხელშეკრულება ითვალისწინებს იმ სისტემების გაძლიერებას, რომელთაც უნდა უზრუნველყონ ხარისხიანი და ინკლუზიური სოციალური მომსახურება.



©UNFPA/დინა ოგანოვა

არათანაბარი ეკონომიკური შედეგები ასევე აისახება ქვეყანაში ადამიანის უფლებათა მექანიზმების პრაქტიკულ განხორციელებაზე. ეკონომიკური უთანასწორობა სოციალურ უთანასწორობად იქცევა, რაც კიდევ უფრო მყარდება სოციალური სტერეოტიპებით და სტიგმით. ბოლო ათწლეულის განმავლობაში შთამბეჭდავი სოციალური გარდაქმნის მიუხედავად, გენდერული სტერეოტიპები კვლავ ხელს უშლის ქალებს, განსაკუთრებით სოფლად, თავიანთი პოტენციალის სოციალურ და პოლიტიკურ სფეროებში რეალიზებაში. ქვეყანაში მცირდება ფიზიკური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სტიგმატიზაცია, თუმცა ფსიქიკური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სტიგმატიზაცია კვლავ პრობლემად რჩება, ისევე როგორც სტერეოტიპული დამოკიდებულება ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების, არადომინანტური სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის მქონე პირების მიმართ. ამდენად, თანამშრომლობის ხელშეკრულების ცენტრალური თემა სოციალური ჩართულობა, რომელიც თანხვედრაშია სხვა თემატურ ინტერვენციებთან. თანამშრომლობის ხელშეკრულება, ადამიანის უფლებათა პრიზმიდან უყურებს, თითოეული მარგინალიზებული სეგმენტის წინაშე არსებულ განვითარების სირთულეებს და მათ აკავშირებს ადამიანის უფლებათა დღის წესრიგთან, რომლის შესრულების ვალდებულება იკისრა საქართველომ⁹.

კლიმატის ცვლილება და გარემოს დეგრადაცია მთავარი გამოწვევებია, კლიმატით გამოწვეულ ექსტრემალურ ბუნებრივ მოვლენებთან და კატასტროფებთან ერთად. შემოთავაზებული ინტერვენციები მიზნად ისახავს კლიმატის ცვლილების სექტორულ პოლიტიკაში ინტეგრირებას და ხელს შეუწყობს კონცეფციას „აღვადგინოთ უკეთესად“, რომელიც აერთიანებს მდგრადი განვითარების პრინციპებს და სენდაის ჩარჩოს.

ამრიგად, ცვლილების თეორია ორიენტირებულია არა მხოლოდ ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაზე, არამედ ადამიანების გაძლიერებაზე, მათთვის ხმის უფლების მინიჭებაზე და სახელმწიფოს, როგორც ძირითადი მოვალეობების მქონეს, ხალხის მიმართ ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფაზე. ძლიერი მმართველობის სისტემა და ინსტიტუტები, რომლებიც მხარს უჭერენ კანონის უზენაესობას, მართლმსაჯულებაზე წვლო-

⁹ გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარი საქართველოსთან თანამშრომლობის შესახებ (2020 წლის აგვისტო) <https://undocs.org/en/A/HRC/45/54>



©UN/ანდრე ნესტერენკო

მას და ადასრულებენ კონსტიტუციით გარანტირებულ ადამიანის უფლებებსა და შრომით უფლებებს, უმნიშვნელოვანესი და აუცილებელია 2030 წლის დღის წესრიგის მიღწევისთვის. ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმები და ანტიდისკრიმინაციული კანონების სრულად ამოქმედება არა მხოლოდ დაიცავს მოწყვლად და მარგინალიზებულ ჯგუფებს, არამედ ხელს შეუწყობს მოსახლეობის რიგ სეგმენტებთან დაკავშირებულ ფესვადგმულ სოციალურ ცრურწმენებთან და სტიგმასთან ბრძოლას. პრობლემის მოგვარების გზები ან შედეგები მნიშვნელოვნად არის ორიენტირებული კანონის უზენაესობის მხარდაჭერაზე, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობასა დისკრიმინაციის აღმოფხვრაზე, გაუმჯობესებული ინსტიტუტების მეშვეობით. გაერო მხარს უჭერს საქართველოს მტკიცებულებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებაში, რომლებიც გაუმჯობესებულ და დისაგრეგირებულ მონაცემებს ეფუძნება და ამით წვლილს შეიტანს მოწყვლადი ჯგუფების პრობლემების უფრო სრულყოფილ გააზრებასა და მათი პრობლემების შესაბამისი ინტერვენციებით მოგვარებაში.

ზოგადად, გენდერული თანასწორობა და კერძოდ ქალების მონაწილეობა სამუშაო ძალაში ცნობილია, როგორც დადებითი წვლილის შემტანი მთლიან შიდა პროდუქტში და პირიქით, ქალების, როგორც სამუშაო ძალის უგულვებლყოფა მშპ-ის მნიშვნელოვან დანაკარგებს იწვევს. გენდერული ნიშნით დისკრიმინაციული, ზრუნვასთან დაკავშირებული აუნაზღაურებელი სამუშაო, ქალების დაბალი ჩართულობა პოლიტიკაში, გენდერული ნიშნით ძალადობა და სამუშაო ძალაში მონაწილეობის დაბალი დონე ქვეყანაში გენდერული უთანასწორობის არსებობაზე მიანიშნებს. COVID-19-მა არაპროპორციული გავლენა მოახდინა ქალებზე. რადგან მათ უწევთ მეტი დრო დაუთმონ ზრუნვასთან დაკავშირებულ აუნაზღაურებელ სამუშაოს და ნაკლები — მათთვის სარგებლის მომტან საქმიანობას, რაც მათ უფრო დაუცველს ხდის ოჯახური ძალადობის მზარდი რისკის მიმართ. თანასწორი საზოგადოებები ასევე ცნობილი არიან,

როგორც მდგრადი და ზოგადად მედეგი, ბუნებრივი რესურსების მართვასა და გარემოსდაცვით მმართველობაში. ადამიანის განვითარების 2019 წლის ანგარიშში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ უთანასწორობა ძლიერ უშლის ხელს ადამიანის განვითარებას და სანამ ის არსებობს, მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევა შეუძლებელია. ასევე არსებობს სიმულაციები, რომლებიც უჩვენებს რომ COVID-19-ის პანდემიის აფეთქების შემდეგ გლობალური კლება შეინიშნება ადამიანის განვითარებაში, რომელიც გასული ექვსი წლის განმავლობაში მიღწეული პროგრესის ეკვივალენტურია¹⁰.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თანამშრომლობის ხელშეკრულება ეფუძნება მდგრად და ინკლუზიურ განვითარებას, ანუ გაეროს სისტემის გამაერთიანებელ იდეას — არავინ დარჩეს განვითარების პროცესებს მიღმა.

¹⁰ ადამიანის განვითარება: კრიზისის შეფასება, აღდგენის წარმოდგენა, UNDP, 2020

თანამშრომლობის ხელშეკრულება:


-
- | | |
|--|---|
| <ol style="list-style-type: none"> 1. ემყარება 2019 წელს ჩატარებულ მდგრადი განვითარების პარტნიორობის შეფასებას და სარგებლობს მასში მოცემული ინფორმაციით. (PSD: 2016-2020); 2. ემყარება სახელმძღვანელო პრინციპებს (1) არავინ დარჩეს განვითარების მიღმა (2) ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა (3) გენდერული თანასწორობა და ქალთა გაძლიერება (4) მედეგობა (5) მდგრადობა და (6) ანგარიშვალდებულება; 3. აღიარებს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შეთავაზებას და ქვეყნის სწრაფვას ევროკავშირისაკენ, ასევე ასოცირების ხელშეკრულების დებულებების | <p>მნიშვნელოვან თანხვედრას მდგრადი განვითარების მიზნებთან, რითაც ქმნის ერთიან და ინტეგრირებულ გზას განვითარებისთვის;</p> <ol style="list-style-type: none"> 4. წარმოადგენს ვარაუდებს მოსალოდნელი ცვლილებების და რისკების შესახებ, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინონ განვითარების ტრაექტორიაზე; 5. ეფუძნება გაეროს კორპორატიულ უპირატესობას, კერძოდ, მის ნორმატიულ მანდატს, მისი, როგორც დიდი ხნის პარტნიორის, პოზიციას ქვეყანაში და მის ადამიანურ და ფინანსურ შესაძლებლობებს. (ადამიანურ და ფინანსურ). |
|--|---|
-

შიდა (გაეროს სააგენტოთა ჯგუფი) და გარე დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების საფუძველზე, რომელთა უმეტესობა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (COVID-19-ის გამო შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე), გაეროს სააგენტოები, ფონდები და პროგრამები შეთანხმდა ერთიან საკვანძო და ტრანსფორმაციულ პრიორიტეტზე ახალი თანამშრომლობის ხელშეკრულებისთვის (2021-2025):

ადამიანის კეთილდღეობის, შესაძლებლობებისა და სოციალური თანასწორობის განმტკიცება საქართველოში 2025 წლისთვის.

სწორედ ამ სტრატეგიული პრიორიტეტის და მასთან ასოცირებული 5 გრძელვადიანი და 15 მოკლევადიანი შედეგის მეშვეობით შეუწყობს ხელს გაერო საქართველოში მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას და მათ რეალიზაციას ეროვნული განვითარების კონტექსტში.

UNSDCF საქართველო (2021-2025): ცვლილების თეორია



ვარაუდები და რისკები

ვარაუდები: 1. არსებობს ვალდებულება SDG-ის დღის წესრიგის განვითარების დაგეგმვაში შეტანა; 2. არსებობს პოლიტიკური ნება ეკონომიკური და საჯარო მმართველობის რეფორმების გასატარებლად; 3. სტატისტიკური სისტემები გაუმჯობესებულია SDG-ის მონიტორინგისთვის, ხდება ღირსეული მონაცემების შეგროვება, მოწყობა და ანალიზი; 4. Covid-19-ის შემდგომი ეპიდემიური რეგულირების და მათი შედეგების მართვა სორცოლოგია დაფუძნებული პოლიტიკის მეშვეობით; 5. განხორციელებისას და მონიტორინგისთვის არსებობს საკმარისი შესაძლებლობები.

2.1.1 COVID-19-ის ზეგავლენა და გავრცელება კრიზისის დასაძლევად

ზემოთ აღნიშნულის გარდა, თანამშრომლობის ხელშეკრულება ითვალისწინებს იმ ინფორმაციასა

და გამოცდილებას თუ რა ზეგავლენა მოახდინა საქართველოს მედეგობაზე COVID-19 პანდემიამ. მიუხედავად იმისა, რომ პანდემია კვლავ მძვინვარებს და ახლო მომავალში მეტი, მტკიცებულებაზე დაფუძნებული შეფასება გაკეთდება, ქვემოთ ასახულია COVID-19-ის მომენტალური ზეგავლენა:

- პროგნოზის თანახმად, 2020 წელს დაფიქსირდება მთლიანი შიდა პროდუქტის ყველაზე დაბალი ზრდა გასული ათწლეულის მანძილზე (4-5-პროცენტიანი კონცენტრაცია);¹¹
- შემოსავლები შემცირდა ეკონომიკური აქტივობების კლების და სოციალური პროგრამის გაფართოების შედეგად, პანდემიაზე დაუყოვნებელი რეაგირების გამო (მშპ-ის 4.0 პროცენტი), რასაც ფისკალური დისბალანსისკენ მივყავართ;
- ქვეყანაში მოიმატა უმუშევრობამ, როგორც ეკონომიკური აქტივობების შეჩერების (მათ შორის, მცირე და საშუალო საწარმოების, დიდი დამსაქმებლების), ასევე მიგრანტი მშრომელების დაბრუნების გამო, რამაც 500,000 ქართველი „დაღმავალი მობილობის“ რისკის ქვეშ დააყენა;¹²
- პროგნოზის მიხედვით, გაღარიბდება მეტი ადამიანი, რაც სავარაუდოდ მაჩვენებლის 2.8 პროცენტული ერთეულით ზრდას გამოიწვევს;¹³ შეიძლება გაიზარდოს უთანასწორობა, ქალები კიდევ უფრო გაღარიბდებიან, რადგან ისინი პირველები იქნებიან, ვისაც გაზრდილი სამინაო ტვირთის გამო შრომის ბაზრის დატოვება მოუწევთ;¹⁴
- ვაჭრობა და ტურიზმი/სამასპინძლო სექტორები ძალიან რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა და შესაბამისად ის ქალებიც, ვინც ამ სექტორების სამუშაო ძალის დიდ უმრავლესობას შეადგენდა. 2020 წლის პირველ ნახევარში ექსპორტი შემცირდა 16 პროცენტით, ხოლო იმპორტი — 19 პროცენტით.¹⁵ ასევე მკვეთრად შემცირდა ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები და ახლო მომავალში მათი აღდგენის იმედი ძალიან მცირეა. ეს ხდება იმ დროს, როდესაც საქართველოს, ამ სექტორის მეშვეობით მდგრადი ზრდის იმედი ჰქონდა.

¹¹ მსოფლიო ბანკის შეფასება.

¹² ეს შესაძლოა ნიშნავდეს ღია უმუშევრობას, არასრულ დასაქმებას ან ხელფასების და შემოსავლების შემცირებას.

წყარო: აშენე უკეთ საქართველოში (UN COVID-19 რეაგირებისა და აღდგენის ძალისხმევა).

¹³ მსოფლიო ბანკის შეფასება.

¹⁴ საქართველოში COVID-19-ის სიტუაციის სწრაფი გენდერული შეფასება, <https://georgia.unwomen.org/en/digital-library/publications/2020/08/rapid-gender-assessment-of-the-covid-19-situation-in-georgia>

¹⁵ ibid

- სოფლის მეურნეობაში მომსახურების მიწოდების ჯაჭვი გარკვეული სირთულეების წინაშე აღმოჩნდა, რაც ძირითადად სასოფლო სამეურნეო ბაზრების დროებითი დახურვით და ტრანსპორტის აკრძალვით იყო განპირობებული და საბოლოოდ, გამოიწვია ექსპორტის, დასაქმების და პირველადი მოხმარების საგნებისა და რესურსების მიწოდების შეფერხება;
- რაკი კვლავ არსებობს ადამიანის უფლებებთან, მათ შორის, შრომის უფლებებთან დაკავშირებული გამოწვევები, მნიშვნელოვანია მეტი მუშაობა COVID-19-ის პანდემიის სოციალურ-ეკონომიკური შედეგების დასაძლევად, ქვეყანაში სოციალური, ეკონომიკური და შრომითი უფლებების უკეთ დაცვის მიზნით;
- მოწყვლადი ჯგუფები განსაკუთრებული ზეწოლის ქვეშ აღმოჩნდნენ. ქალებმა განაცხადეს მათ საოჯახო ტვირთის მნიშვნელოვანი ზრდის, ოჯახში ძალადობის და ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუარესების შესახებ;
- პანდემიამ ყველაზე დიდი დარტყმა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს მიაყენა. ისინი შემოფოტებული არიან მკურნალობის ხარჯების ზრდით და სხვა მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის გართულებით;¹⁶
- ციფრული უთანასწორობა განსაკუთრებით თვალშისაცემია: ბავშვთა ონლაინ განათლება და მშმ ბავშვების ონლაინ თერაპია, ციფრულ კავშირის მოითხოვს, რაც ხშირად ძალიან დიდი პრობლემაა სოფლად/სიღარიბეში მცხოვრები ოჯახებისთვის;
- გლობალური მტკიცებულება გვიჩვენებს, რომ ასაკოვანი ადამიანებისთვის უფრო რთულია ჯანდაცვისა და სხვა მომსახურებების მიღება, გაიზარდა იზოლაცია და ოჯახური ძალადობა.¹⁷

¹⁶ UNICEF-ის ანგარიშების მონაცემები, CPD-ის პრევენტიცია UNSDCF-ის ვალიდაციის სამუშაო შეხვედრაზე, გვ. 8.

¹⁷ UNFPA, გლობალური ტექნიკური შეჯამება — “COVID-19-ის გავლენა ხანდაზმულ ადამიანებზე: პანდემიაზე რეაგირება”.

გაეროს ჩარჩო COVID-19-ზე დაუყოვნებელი სოციალურ-ეკონომიკური რეაგირებისთვის. ჯანმო მოკლედ მიმოიხილავს ხანდაზმული პირების მიმართ ძალადობის საკითხებს და COVID-19-ს. <https://www.who.int/publications/m/item/covid-19-and-violence-against-older-people> მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მიღებული ცნობები ხანდაზმულთა მიმართ ძალადობისა და მათი უგულებელყოფის შესახებ, <https://reliefweb.int/report/world/neglect-and-abuse-older-people-around-world-intensified-covid-19>

გაეროს სისტემამ საქართველოში სწრაფად დაუჭირა მხარი COVID-19-ის პანდემიაზე მთავრობის სწრაფ რეაგირებას: საქართველო იყო იმ ქვეყნებს შორის, რომლებმაც პირველებმა მიიღეს გაეროს COVID-19-თან რეაგირებისა და აღდგენის მრავალპარტნიორული სატრასტო ფონდის (MPTF) მხარდაჭერა, კრიზისის პერიოდში გადაუდებელი საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის. გაროს ყველა სააგენტომ, ფონდმა და პროგრამამ (AFP) გადასინჯა თავისი პროგრამა შესაბამის დონორებთან ერთად. გაერომ გამართა დისკუსიების არა ერთი რაუნდი განვითარების პარტნიორებთან, მათ შორის, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების (IFI) და მთავრობის ადმინისტრაციასთან. პირველი სოციალურ-ეკონომიკური რეაგირების გეგმა გაეროს სააგენტოთა ჯგუფმა 2020 წლის აგვისტოში დაასრულა, სადაც გათვალისწინებული იყო აფხაზეთის მხარდაჭერა პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

2.2. თანამშრომლობის სტრატეგიული პრიორიტეტები

გაეროს სააგენტოთა ჯგუფმა, ინტენსიური კონსულტაციების შედეგად¹⁸, გადაწყვიტა თანამშრომლობის ხელშეკრულების ერთობლივი ტრანსფორმაციული სტრატეგიული პრიორიტეტის (SP) განსაზღვრა, რომელსაც წვლილი შეაქვს საქართველოში ადამიანის კეთილდღეობაში, შესაძლებლობების გაუმჯობესებასა და სოციალურ თანასწორობაში.

„ადამიანის კეთილდღეობა“ მოიცავს მატერიალურ კეთილდღეობას, ჯანმრთელობას, განათლებას, სოციალურ დაცვას, ხმის უფლებას, სუფთა და უსაფრთხო გარემოზე ხელმისაწვდომობას და მედეგობას, რასაც საქართველო მდგრადი განვითარებისკენ მიჰყავს.

„შესაძლებლობები“ არის ინვესტიცია ადამიანურ კაპიტალში, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, ხარისხიანი განათლების, უნარების განვითარების,

¹⁸ პრიორიტეტი ემყარება გაეროს (PSD: 2016-2020) დამოუკიდებელ შეფასებას, ქვეყნის საერთო ანალიზის შედეგებს, კონსულტაციების გზით განსაზღვრულ პრიორიტეტებს და ცვლილებების თეორიას. ამას გარდა, 2020 წლის მაისსა და ივნისში ჩატარდა კონსულტაციები მოქალაქეებთან, კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ პირებთან, მიგრანტებთან, თავშესაფრის მაძიებლებთან, საერთაშორისო დაცვის მქონე პირებთან, მოქალაქეობის არმქონე პირებთან, სამეცნიერო წრეებთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან, მთავრობასთან და განვითარების პარტნიორებთან (ჩატარდა ვირტუალურ რეჟიმში COVID-19-ის პანდემიის გამო).

სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის, ჯანსაღი ცხოვრების წესის, ცხოვრების უნარების და სოციალური დაცვის საშუალებით.

პრიორიტეტის „სოციალური თანასწორობის“ კომპონენტი გაეროს სააგენტოთა ჯგუფისთვის საქართველოში თემატური ინტერვენციების გამართვანებელი იდეაა. ის ორიენტირებულია მოსახლეობის ჯგუფებზე, რომლებიც არიან განვითარების პროცესებს მიღმა ან ამ რისკის ქვეშ. მმართველობის ინსტიტუტების გაძლიერება ცენტრალურ და ადგილობრივ დონეებზე, მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკის ფორმირება, მომსახურების მიწოდება და სოციალური ერთობა ასევე გათვალისწინებულია სტრატეგიული პრიორიტეტის განმსაზღვრელ დებულებაში.

გაერო საქართველოში იმუშავებს ადამიანთა უსაფრთხოების გაუმჯობესებისთვის, განსაკუთრებით, და არა მარტო, კონფლიქტით დაზარალებული თემებისთვის, მომსახურების, საარსებო წყაროებსა და დასაქმების დირსულ შესაძლებლობების ხელმისაწვდომობის გაზრდით, დიალოგისა და სოციალური ერთიანობის, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული სამთავრობო ინსტიტუტების, მათ შორის, სასამართლოს უზრუნველყოფის გზით, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიებს; ასევე მნიშვნელოვანია: ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობის შესაძლებლობების გაუმჯობესება მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკის ფორმირებისა და მომსახურების უზრუნველყოფისთვის; ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა და მისი პრევენცია, მათ შორის ქალების და გოგონების მიმართ; ინვესტირება ადამიანურ კაპიტალში და თანასწორი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ხარისხიან მომსახურებებზე (ჯანდაცვა, განათლება, სოციალური დაცვა) განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფებისთვის; საზოგადოების მედეგობის ამაღლება ამბიციური კლიმატური ქმედებებით, ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვით და კატასტროფის რისკის შემცირებით. გაეროს სისტემა ასევე დაეხმარება მთავრობას საერთაშორისოდ აღიარებული ადამიანის უფლებების შესახებ აღებული ვალდებულებების შესრულებაში.

მთავრობასა და სხვა ეროვნულ ინსტიტუტებთან, ასევე განვითარების პარტნიორებთან ერთად, გაერო საქართველოში იმუშავებს ყველა ადამიანის უფლებების სრული რეალიზაციისთვის, განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ქალების, ბავშვების, ხანდაზმული პირების, შშმ პირების, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების, მიგ-



©IOM/ერიკ გურლანი

რანტების, თავშესაფრის მაძიებლების, საერთაშორისო დაცვის მქონე პირების, მოქალაქეობის არ მქონე პირების, არაფორმალურ ეკონომიკაში ჩართული პირების, იძულებით გადაადგილებული პირების, კონფლიქტით დაზარალებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანების, LGBTI თემისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების უფლებებს, ანუ იმ ადამიანების უფლებებს, ვინც სავარაუდოდ დისპროპორციულად დაზარალდნენ COVID-19-ის პანდემიით.

2.3 განვითარების დაგეგმილი შედეგები

გაერო, როგორც საქართველოს მთავრობის დიდი ხნის და სანდო პარტნიორი კისრულობს პასუხისმგებლობას მხარი დაუჭიროს მას და წვლილი შეიტანოს ქვეყნის მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში. თავის შედარებით უპირატესობაზე დაყრდნობით, და სხვა დაინტერესებულ მხარე-

ებთან თანამშრომლობით, გაეროს სისტემა საქართველოში იმუშავებს იმ სტრატეგიული პრიორიტეტის რეალიზაციისათვის, რომელიც ითვალისწინებს ადამიანის კეთილდღეობის, შესაძლებლობების და სოციალური თანასწორობის გაძლიერებას, 5 გრძელვადიანი და 15 მოკლევადიანი შედეგის მეშვეობით, რომელიც ორივე კატეგორიაში მრავალმხრივი უწყებათშორისი მუშაობით მიიღწევა.

გრძელვადიანი შედეგები საერთოა (ინსტიტუციური, საკანონმდებლო ან ქვეყნითი), და გადამწყვეტია სასურველი ზეგავლენის პროგრესის დასაჩქარებლად. მათ მიღწევაში წვლილი შეაქვთ სხვა პარტნიორებსაც; მოკლევადიანი შედეგები კი გამოიწვევს — ცვლილებებს შესაძლებლობებში, ინდივიდების ან ინსტიტუციების ცოდნის ამაღლებას, და ახალი პროდუქტების/მომსახურებების ხელმისაწვდომობას — აქ გაეროს სისტემა, თავისი პარტნიორების საშუალებით მუშაობს და არა მხოლოდ უშუალოდ გააკონტროლებს, არამედ ანგარიშვალდებულებას იქნება შედეგებზე.



©UNDP/ვლადიმირ ვალიშვილი

გაეროს სისტემა, მის მანდატზე, შესაძლებლობებსა და თანამშრომლობის გეგმის ძირითად თემებზე დაყრდნობით, განახორციელებს სტრატეგიულ ინტერვენციებს, რომელთა შორისაა: ტექნიკური დახმარება, შესაძლებლობების გაუმჯობესება, პარტნიორობისა და რესურსების გამოყენება, სოციალური მობილიზაცია, საბროკერო ცოდნა, და ინოვაციების პილოტირება/გაფართოება. გაეროს სისტემა ასევე მზად იქნება განაგრძოს მთავრობის მხარდაჭერა COVID-19-ის პანდემიის მართვაში.

გაეროს სისტემა, საქართველოში მხარს დაუჭერს ეროვნულ/სექტორულ პოლიტიკასთან დაკავშირებულ მდგრადი განვითარების ყველა მიზანს და კონკრეტულ ამოცანას. გაერო აღიარებს, რომ 2030 წლის დღის წესრიგში შეტანილი იწვლილი, ასევე ხელს უწყობს ადამიანის უფლებების განხორციელებას. როგორც ზემოთ აღინიშნა, მდგრადი განვითარების დღის წესრიგი სრულად შეესაბამება საქართველოს ეროვნულ და ევროინტეგრაციის პრიორიტეტებს.

უთანასწორობის სხვადასხვა ფორმის აღმოფხვრა არის თანამშრომლობის ხელშეკრულების პროგრამული ინტერვენციების გამაერთიანებელი იდეა. თანამშრომლობის ხელშეკრულება სამიზნედ განსაზღვრავს მოწყვლად ჯგუფებს, როგორც აღნიშნულია 2.4 ნაწილში. ამასთან, თანამშრომლობის ხელშეკრულება მიჰყვება

2.1 ნაწილში განსაზღვრულ სახელმძღვანელო პრინციპებს და ზოგი ძირითადი საკითხის გადასაწყვეტად იმუშავებს ქვერეგიონული და რეგიონული პროგრამებით. ის კვლავ დაუჭერს მხარს დისაგრეგირებული მონაცემების შეგროვებისთვის საჭირო სტატისტიკური შესაძლებლობების გაუმჯობესებას, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავებას და სხვადასხვა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მოწყვლად ჯგუფებზე ზეგავლენის ანალიზს. ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობები ჩაერთვებიან პოლიტიკურ დონეზე მიმდინარე სამუშაოებსა და აქტივობებში ადგილობრივ ჯგუფებთან, მათ შორის, ითანამშრომლებენ სამოქალაქო საზოგადოებასთან 2019 წლის 31 დეკემბერს მიღებული დეცენტრალიზაციის სტრატეგიის შესაბამისად.

გაერო განაგრძობს მჭიდრო თანამშრომლობას განვითარების პარტნიორებთან, რომელთაგან ბევრი უკვე ამზადებს თანამშრომლობის და მხარდაჭერის საკუთარ სტრატეგიას, რადგან მხარდაჭერის სინერჯის მაქსიმალური ხელშეწყობა საერთო და უპირველესი მიზანია. საქართველოში განვითარების პარტნიორების/დონორების საკოორდინაციო ჯგუფს ხელმძღვანელობს გაეროს მუდმივი კოორდინატორი. „თანამშრომლობის

ხელშეკრულების” ჩამოყალიბება უადრესად დროული იყო და შექმნა შედეგების კიდევ უფრო გაფართოებისა და თანამშრომლობის გაძლიერების შესაძლებლობები მთავრობის ხელშესაწყობად მომდევნო ხუთწლიან ციკლში და მას შემდგომ. ამ თანამშრომლობას ხელს უწყობს „შედეგზე ორიენტირებული მიდგომა“, რომელსაც შემდგომ დახვეწს ექვსი სექტორული სამუშაო ჯგუფი. ამ თემატურ ჯგუფებს თავმჯდომარეობენ შესაბამისი სამინისტრო და განვითარების პარტნიორი/დონორი. ისინი მთელი საპროგრამო ციკლის განმავლობაში შეხვდებიან ერთმანეთს.

თანამშრომლობის ხელშეკრულება ეფუძნება 2020 წლის განვითარების პარტნიორობის ყოველწლიურ ფორუმს, რომელსაც თანათავმჯდომარეობდნენ პრემიერ-მინისტრი და გაეროს მუდმივი კოორდინატორი, განვითარების ყველა პარტნიორის, მათ შორის, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების სახელით, რომელიც განსაზღვრავს ძირითად პრიორიტეტულ სფეროებს: მდგრადი, ინკლუზიური და „მწვანე“ ეკონომიკური ზრდა; სიღარიბის შემცირება; ადამიანის უფლებების დაცვა; პროგრესი ადამიანის უფლებების და სასამართლო რეფორმის მიმართულებით. ზემოაღნიშნულის გარდა, 2019 წლის ბოლოს მიღებული დეცენტრალიზაციის სტრატეგიის შემუშავების პროცესში ხაზი გაესვა დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების, ადამიანური კაპიტალის განვითარების და კლიმატის ცვლილებით შექმნილ გამოწვევებზე რეაგირების საკითხებს.

2.4 თანამშრომლობის ხელშეკრულების შედეგები და პარტნიორობა

გაერომ საქართველოში მოახდინა ერთი სტრატეგიული ტრანსფორმაციული პრიორიტეტის, 5 გრძელვადიანი და 15 მოკლევადიანი შედეგის იდენტიფიცირება, რომლებიც ქვემოთ არის წარმოდგენილი.

ქვემოთ, თითოეული გრძელვადიანი შედეგისათვის მიძღვნილ პარაგრაფში, თავდაპირველად, წარმოდგენილია ამ გრძელვადიანი შედეგის ცვლილების თეორია (რაც განისაზღვრა კონსულტაციების შედეგად) და მისი განხორციელების გზები. ამავდროულად ამ პარაგრაფებში მოცემულია მდგრადი განვითარების მიზნები (SDG), რომელთა მიღწევაში წვლილი შეაქვს გრძელვადიან შედეგებს, შესაბამისი ეროვნული სტრატეგიებისა და პოლიტიკის შემუშავებას და გაეროს მხრიდან მონაწილე სააგენტოებს.


შემდეგ ჩამოთვლილია პარტნიორობი (მოქმედი და სავარაუდო), რომლებსაც ეფექტური წვლილი შეაქვთ გრძელვადიანი შედეგის მიღწევაში. რაკი გაერო საქართველოში, ერთ-ერთია მათ შორის, ვისაც წვლილი შეაქვს გრძელვადიანი შედეგების მიღწევაში, ის ითანამშრომლებს სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, უკეთესი სინერგიის უზრუნველყოფისა და ძალისხმევის დუბლირების პრევენციის მიზნით.



© UNICEF/ლელო ბლაგონრაჟოვა

საქართველოს მთავრობა, კერძოდ, სამინისტროები და სამთავრობო უწყებები ძირითადი პარტნიორები არიან და თანაბრად იზიარებენ პასუხისმგებლობას შედეგებზე. განვითარების გრძელვადიანი შედეგების ეფექტური იმპლემენტაციის და გაუმჯობესების მიზნით, გაგრძელდება პარტნიორობა განვითარების პარტნიორებთან, მათ შორის, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან, უფლებადამცველებთან, კერძო სექტორთან და აკადემიურ წრეებთან. სადაც შესაძლებელია, რეგიონალური და სუბრეგიონალური ორგანიზაციებიც განიხილებიან პარტნიორობადაც. თანამშრომლობის გეგმის განვითარების პროცესში გაეროს სააგენტოები შეისწავლიან პარტნიორობის დამატებით შესაძლებლობებს, ხოლო ადგილობრივი სააგენტოები ჩამოაყალიბებენ საკუთარი ქვეყნის პროგრამებს და პროექტებს.

ბადამცველებთან, კერძო სექტორთან და აკადემიურ წრეებთან. სადაც შესაძლებელია, რეგიონალური და სუბრეგიონალური ორგანიზაციებიც განიხილებიან პარტნიორობადაც. თანამშრომლობის გეგმის განვითარების პროცესში გაეროს სააგენტოები შეისწავლიან პარტნიორობის დამატებით შესაძლებლობებს, ხოლო ადგილობრივი სააგენტოები ჩამოაყალიბებენ საკუთარი ქვეყნის პროგრამებს და პროექტებს.



გაერო საქართველოში ქვემოთ მოცემული შესაბამისი გრძელვადიანი შედეგების სამიზნე ჯგუფებად მიიჩნევს 2.2 პარაგრაფში ჩამოთვლილ მოსახ-

ლეობის სეგმენტებს, რომლებიც განვითარების პროცესის მიღმა არიან დარჩენილი ან ან ამგვარი რისკის წინაშე დგანან.

გაეროს მხრიდან მონაწილე სააგენტოები

UNDP, UNHCR, OHCHR, UNFPA, UNICEF, IOM, ILO, UN WOMEN, UNODC

2.4.1 თანამშრომლობის ხელშეკრულების გრძელვადიანი შედეგი 1:¹⁹

2025 წლისთვის, საქართველოში ყველა ისარგებლებს უკეთესი მმართველობით, უფრო დია, სტაბილური და ანგარიშვალდებული ინსტიტუტებით, კანონის უზენაესობით, თანაბრად ხელმისაწვდომი მართლმსაჯულებით, ადამიანის მეტად დაცული უფლებებით 20 და ქალთა მეტი წარმომადგენლობითა და მონაწილეობით გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

სამი მოკლევადიანი შედეგი, რომელსაც წვლილი შეაქვს პირველი გრძელვადიანი მიზნის მიღწევაში:

1.1: ინკლუზიური ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის სისტემები უფრო მყარია და მეტი შესაძლებლობა აქვთ გენდერული ასპექტების გათვალისწინებისთვის, მტიკცებულებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების და მონაწილეობითი პოლიტიკის ფორმირებისთვის, უთანასწორობის აღმოფხვრისა და ყველასთვის ხარისხიანი მომსახურების მიწოდებისთვის.

1.2: ეროვნული კანონმდებლობა და პოლიტიკა აღმოფხვრის დისკრიმინაციას, გაუმჯობესებს ადამიანის უფლებებს და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას.

1.3: საკანონმდებლო ჩარჩო, პოლიტიკა და მმართველობის სისტემები უზრუნველყოფენ, გენდერულად თანასწორ შედეგებს, ებრძვიან ძალადობას ოჯახში, ბავშვთა მიმართ ძალადობას და სხვა საზიანო პრაქტიკას ქალების და გოგონების







მოკლევადიანი შედეგის შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან:

მიზანი 1: სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა
 მიზანი 5: გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება
 მიზანი 10: უთანასწორობის შემცირება ქვეყნებში და ქვეყნებს შორის
 მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე
 მიზანი 17: პარტნიორობა მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად

მოკლევადიანი შედეგის შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან:

მიზანი 1: სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა
 მიზანი 5: გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება
 მიზანი 10: უთანასწორობის შემცირება ქვეყნებში და ქვეყნებს შორის
 მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე

მოკლევადიანი შედეგის შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან:

მიზანი 1: სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა
 მიზანი 5: გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება
 მიზანი 10: უთანასწორობის შემცირება ქვეყნებში და ქვეყნებს შორის
 მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე

¹⁹ ამ დოკუმენტში ტერმინის „ადამიანის უფლებები“ გამოყენება გულისხმობს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ნორმებსა და სტანდარტებს, ანუ არამართო მათ, რომლებსაც შეიცავს გაეროს ადამიანის უფლებათა დოკუმენტები, არამედ ასევე ადამიანის უფლებათა სხვა დოკუმენტებიც, მაგ., ILO-ის კონვენციები.

ცვლილების თეორია

ეფექტური და ანგარიშვალდებული ინსტიტუტები, შესაბამისი სისტემები და პროცესები განაგრძობენ ქვეყანაში მცხოვრები ადამიანების უზრუნველყო-

ფას ხარისხიანი სახელმწიფო სერვისებით, პრინციპის: „არავინ დარჩეს განვითარების პროცესებს მიღმას“ შესაბამისად და ამით ხელს შეუწყობენ მდგრადი განვითარების მიზნების რეალიზაციას.

პირველი გრძელვადიანი შედეგის მიღწევა შესაძლებელია თუ:

1. დაგულია კარგი მმართველობის პრინციპები;
2. საკანონმდებლო ორგანო იფუნქციონირებს მისი გაფართოებული ინსტიტუციური მანდატის შესაბამისად, მთავრობის ზედამხედველობით და საკანონმდებლო პროცესში მოქალაქეთა მეტი მონაწილეობით;
3. ეროვნული კანონმდებლობა თანხვედრაშია საერთაშორისო სტანდარტებთან, ხოლო სუბნაციონალური პოლიტიკა და სტრატეგიები შესაბამისობაშია ეროვნულ პრიორიტეტებთან;
4. ინსტიტუტებს აქვთ შესაძლებლობა და დამოუკიდებლობა, დაიცვან და ხელი შეუწყონ ადამიანის უფლებების დაცვას და გენდერულ თანასწორობას;
5. სასამართლო სისტემა გაუმჯობესებულია, არის უფრო გამჭვირვალე, შესატყვისი მოწყვლადი ჯგუფების მიმართ, დამოუკიდებელი, ანგარიშვალდებული და ხელმისაწვდომი; ხოლო უფასო იურიდიული დახმარება ხელმისაწვდომია მოწყვლადი ჯგუფების ფართო სპექტრისთვის;
6. რეფორმირებულია მართლმსაჯულების სისტემის სხვა მექანიზმები: სამართალდამცავი და სასჯელადსრულების, პრობაციისა და დანაშაულის პრევენციის სისტემები და ხდება შესაბამისი კონტროლი და ბალანსი;
7. ბავშვთა უფლებების დაცვის მექანიზმი მორგებულია “ბავშვის საუკეთესო ინტერესის” პრინციპს და ითვალისწინებს ბავშვზე ორიენტირებულ მიდგომებს სასამართლო სისტემაში, განათლებაში, სოციალურ დაცვაში, სიღარიბის აღმოფხვრასა და ძალადობისგან დაცვაში; მოქმედებს ისეთი ეროვნული მექანიზმები, როგორცაა ბავშვის უფლებების კოდექსი;
8. ხელსაყრელი გარემოა შექმნილი ქალებისა და გოგონებისათვის, რომ მათ თავიანთი პოტენციალი გააცნობიერონ ცხოვრების ყველა ასპექტში, მათ შორისაა მეტი ჩართულობა ოფიციალურ შრომის ბაზარში და მნიშვნელოვანი წარმომადგენლობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ყველა დონეზე;
9. ქალები არიან გაძლიერებული და შეუძლიათ განახორციელონ თავიანთი უფლებები, ხდება გენდერული ნიშნით ძალადობის/ოჯახური ძალადობის და სხვა მავნე პრაქტიკის პრევენცია და მასზე რეაგირება, ეფექტიანი სამართალდამცავი და მრავალსექტორული მიდგომის მეშვეობით;
10. სტატისტიკური სისტემები გაუმჯობესებულია და რეგულარულად ხდება დისაგრეგირებული მონაცემების შეგროვება, მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავებისთვის, რაც მიზნად ისახავს ქვეყანაში არსებული უთანასწორობის უკეთ გააზრების, პრობლემური ადგილების განსაზღვრის, ზეგავლენის ანალიზის და აღმოფხვრის ხელშეწყობას;
11. არსებობს ეფექტური, უპარტიო და დამსახურებაზე დაფუძნებული სახელმწიფო ადმინისტრაცია, რომელიც საჯარო მმართველობის რეფორმის ახალი გზამკვლევის მოთხოვნების შესაბამისად, ანგარიშვალდებულია და პასუხობს ხალხის საჭიროებებს;
12. ანტიკორუფციული კანონები და პოლიტიკა სრულად ხორციელდება და გატარებულია პრევენციული ზომები;
13. განხორციელებულია დეცენტრალიზაციის რეფორმა და ადგილობრივ ადმინისტრაციას აქვს შესაძლებლობა და რესურსები უზრუნველყოს ხარისხიანი სახელმწიფო სერვისების მიწოდება, მათ შორის, ციფრული გზით;
14. გაუმჯობესებულია სამოქალაქო სივრცე, განსაკუთრებით ახალგაზრდებისა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ რეგიონებში მყოფი ადამიანებისათვის, მათი მონაწილეობისათვის სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებში და მათ ცხოვრებაზე გავლენის მქონე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში;
15. ჩამოყალიბებულია სოციალური ერთიანობა და ნდობა, აღმოიფხვრება სოციალური სტრუქტურები, რასაც უფრო სამართლიანი საზოგადოების ჩამოყალიბებისაკენ მივყავართ;
16. არსებობს უფრო დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მედია და სამოქალაქო საზოგადოება და ისინი მოქმედებენ, როგორც ეფექტური მაკონტროლებლები;
17. ლტოლვილთა შესახებ კანონები და თავშესაფრის მიღების პროცედურები შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და გადადგმულია ნაბიჯები მოქალაქეობის არმქონეთა საკითხების მოსაგვარებლად;
18. მოსახლეობის დემოგრაფიული მონაცემების სისტემები გაუმჯობესებულია და გამოიყენება შედეგზე დაფუძნებული დაგეგმვისათვის, ხოლო დროის გამოყენების მონაცემების რეგულარული შეგროვება წახალისებულია (ქალების აუნაზღაურებელი შრომის შეფასების და სოციალური ზრუნვის ინფრასტრუქტურის შექმნის მიზნით);
19. მოსახლეობის დინამიკა, მათ შორის დაბერება, მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირება და ემიგრაცია განალიზებულია და მასზე ხდება გონივრული რეაგირება, ადამიანის უფლებების დაცვით და მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკისა და პროგრამების ფორმირებით, მთელი ქვეყნის მასშტაბით განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსახლეობის დაბერების პრობლემას და მიგრაციის პოტენციალის გამოყენებას.

ზემოაღნიშნული შედეგების მისაღწევად, გაეროს სისტემა საქართველოში მოახდენს თავისი ძალისხმევით მობილიზებას, რათა ხელი შეუწყოს საჯარო მმართველობის რეფორმას; სამოქალაქო საზოგადოებას, მისი სოციალური ანგარიშვალდებულების გაძლიერებისა და უფრო ინკლუზიური გრძელვადიანი შედეგებისთვის; ღია მმართველობის რეფორმას; დეცენტრალიზაციის და ადამიანის უფლებების ეროვნული სტრატეგიის იმპლემენტაციას; გაეროს ადამიანის უფლებების მექანიზმების (UPR, კონვენციის ორგანოები, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს სპეციალური პროცედურები), რეკომენდაციების განხორციელებას; შემოწმების და ბალანსის სისტემის გაუმჯობესებას და დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ მედიასა და სამოქალაქო საზოგადოებაზე ხელმისაწვდომობას. აქტივობები მიზნად ისახავს ქალების პოლიტიკურ და ეკონომიკურ გაძლიერებას, მათ შორის ოჯახზე მორგებული პოლიტიკის შემუშავებას და გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული ეროვნული სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელებას, ქალების, გოგონების და ბავშვების მიმართ ძალადობის და საზიანო პრაქტიკის აღმოფხვრას, ჯანდაცვის მუშაკების შესაძლებლობების გაუმჯობესებას, სოციალური და მართლმსაჯულების სისტემების და ცენტრალური უწყებების და მუნიციპალიტეტების გაძლიერებას ბავშვთა მიმართ მგრძობიარე სოციალური დაცვის სისტემების უკეთ განხორციელების მიზნით. მთავრობასთან ერთად, გაერო იმუშავებს თავშესაფრის მიღების ეროვნულ სისტემებსა და

პროცესებზე, ხელს შეუწყობს ღია წვდომას მართლმსაჯულებაზე და მოსახლეობის სტატისტიკური მონაცემების ინტეგრირებულ და საიმედო სისტემებზე; მხარს დაუჭერს მოსახლეობის დინამიკის უკეთ გააზრებას და დაბერების პრობლემის მოგვარებას.

იმის საზღვარს, რომ ასოცირების ხელშეკრულება ეფუძნება დემოკრატიულ მმართველობას და ადამიანის უფლებებს, ქვეყანაში კანონის უზენაესობის და სამთავრობო უწყებების გაუმჯობესების ბერკეტი გახდება. ევროატლანტიკური და ევროპული ინტეგრაცია ქმნის შესაძლებლობებს არა მხოლოდ ვაჭრობისა და ინვესტიციების, არამედ ინსტიტუციების გაუმჯობესების თვალსაზრისითაც. ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობა ასევე შეუწყობს ხელს განვითარების შედეგების მდგრადობას.

ძირითადი რისკები COVID-19-ის აფეთქებას უკავშირდება. ადრე არსებული სოციალური უთანასწორობები, სავარაუდოდ უფრო მწვავედ და. თუ ადამიანების მოლოდინები არ გამართლდება, შესაძლებელია სოციალური არეულობა და მმართველობის რეფორმების შეფერხება. თავისუფლების, მათ შორის მედიის და სოციალური მედიის თავისუფლების, შეზღუდვა „ფეიკ ნიუსებთან“ ბრძოლის სახელით, ასევე შესაძლოა რისკ ფაქტორად იქცეს. COVID-19-ის პანდემიის შედეგებთან ბრძოლამ შესაძლოა გამოიწვიოს რესურსების გადატანა, მათ შორის მმართველობის რეფორმებიდან.

მოწყვლადი ჯგუფები

ბავშვების სპეციფიკური კატეგორიები²⁰, ახალგაზრდობა, არაფორმალურ სექტორში დასაქმებული პირები, ხანდაზმული ადამიანები, მიგრანტები, იძულებით გადაადგილებული პირები, თავშესაფრის მაძიებლები, საერთაშორისო დაცვის მქონე პირები, მოქალაქეობის არ მქონე პირები, კონფლიქტით დაზარალებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები და ფერმერები, ცენტრიდან მოშორებით მცხოვრები პირები, ქალების სპეციფიკური კატეგორიები (მაგალითად: ოჯახში

ძალადობის და ტრეფიკინგის მსხვერპლები), ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები, არადომინანტური სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის მქონე პირები და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები.

პარტნიორები

საქართველოს პარლამენტი; საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია; საქართველოს პროკურატურა; უზენაესი სასამართლო; საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო; იუსტიციის უმაღლესი სკოლა; რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო (MRDI); საქართველოს მედიატორთა ასოციაცია; საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობების ეროვნული ასოციაცია (NALAG); საჯარო სამსახურის ბიურო (CSB); მუნიციპალური

²⁰ ძალადობისა და არადამიანური მოპყრობის მსხვერპლი ბავშვები, ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები და კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები, განსაკუთრებით დაპატიმრების, გამოძიების ეტაპზე და წინასწარ პატიმრობაში მყოფი ბავშვები(გაეროს ბავშვთა ფონდი, ბავშვთა და ქალთა უფლებები საქართველოში, მდგომარეობის ანალიზი, 2019, გვ. 41, 50, 56, 60)

ხელისუფლება; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო; საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია (AOG); სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო; ციფრული მართვის სააგენტო; იუსტიციის სამინისტრო; სსიპ იუსტიციის სახლი; შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს სახალხო დამცველი; სახელმწიფო ინსპექტორის აპარატი; ადამიანის უფლებების უწყებათაშორისი საბჭო; საგარეო საქმეთა სამინისტრო; განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; იურიდიული დახმარების სამსახური; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (MEPA), საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი); სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო (NEA); სსიპ საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტო (APA); პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო; გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია; სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო; სასაზღვრო პოლიცია; პოლიციის აკადემია; სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს LNOB ჯგუფებს, სამეცნიერო წრეებს, მედიას, დამსაქმებელთა ორგანიზაციებს; პროფკავშირებს.

შესაბამისი ეროვნული პოლიტიკა / სტრატეგიები

2017-2030 წლების სახელმწიფო კონცეფცია დემოგრაფიული უსაფრთხოების შესახებ; სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფცია მოსახლეობის დაბერების შესახებ; საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის შემუშავების ეროვნული სტრატეგია 2020-2023; დეცენტრალიზაციის სტრატეგია 2020-2025; საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგია (2019-2023); საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) გზამკვლევი (2015-2020) და საჯარო მმართველობის რეფორმის ახალი სტრატეგია 2021-2024 წლებისთვის (დოკუმენტი საბოლოო სახეს მიიღებს 2020 წლის დეკემბრამდე); სახელმწიფო სერვისების განვითარების, მიწოდების, ხარისხის უზრუნველყოფისა და ფასების სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა 2020-2021 წლებისთვის (მთავრობის მიერ დამტკიცების მოლოდინში); ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმა 2021-2022 (შემუშავების პროცესში); აჭარის უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმა (მტკიცდება); მიგრაციის სტრატეგია 2016-2020 (მიგრაციის სტრატეგია 2021-2030 შემუშავების პროცესში); ადამიანის უფლებების სტრატეგია 2021-2030 (შემუშავების პროცესში); სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ინსტიტუციონალური სტრატეგია 2021-2022; სასამართლო რეფორმების სტრატეგია (2017-2021); საქართველოს მართლმსაჯულების სისტემის რეფორმირების სტრატეგია (სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგიის ნაწილი) 2019; ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სამოქმედო გეგმა 2019-2020; 2020-2030 წლების ეროვნული ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია; 2020-25 წლების სახელმწიფო ახალგაზრდული სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა (მუშავდება); ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის და მსხვერპლთა დაცვის ეროვნული სამოქმედო გეგმა 2018-2020; ადამიანის უფლებათა ეროვნული სამოქმედო გეგმა 2018-2020; საქართველოს 2018-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა, გაეროს უსაფრთხოების საბჭოს ქალთა, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ რეზოლუციების განხორციელებისთვის; საქართველოს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის 2019-2023 წლების ეროვნული სტრატეგია, შრომისა და დასაქმების პოლიტიკის ეროვნული სტრატეგიის 2019-2021 წლების სამოქმედო გეგმა; ბავშვის უფლებათა კოდექსი.



©UNDP/ვლადიმირ ვალიშვილი

2.4.2 თანამშრომლობის ხელშეკრულების გრძელვადიანი შედეგი 2:

2025 წლისთვის საქართველოში ყველას ექნება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, სამართლიანი და ინკლუზიური წვდომა ხარისხიან, სტაბილურ და გენდერულ თანასწორობაზე დაფუძნებულ სერვისებზე

სამი მოკლევადიანი შედეგი, რომელსაც წვლილი შეაქვს მეორე გრძელვადიანი მიზნის მიღწევაში:

2.1: გაუმჯობესებული პოლიტიკისა და პროგრამების განხორციელების ეროვნული შესაძლებლობები, რაც უზრუნველყოფს ჯანმრთელობისა და კვების ხარისხიან მომსახურებებზე ყველასთვის თანაბარ ხელმისაწვდომობას, ასევე ყველა ადამიანის რეპროდუქციული უფლებების განხორციელებას, განსაკუთრებით მათი, ვინც განვითარების პროცესებს მიღმა დარჩენილი.

2.2: გაუმჯობესებული ეროვნული შესაძლებლობები იმ პოლიტიკისა და პროგრამების განხორციელებისთვის, რომლებიც უზრუნველყოფენ ინკლუზიურ და თანაბარ ხელმისაწვდომობას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის ხარისხიან საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2.3: გაუმჯობესებული ეროვნული კანონმდებლობა, პოლიტიკა, პროგრამები და შესაძლებლობები ყველა ადამიანის, განსაკუთრებით ყველაზე მოწყვლადი და მარგინალური ჯგუფების, დისკრიმინაციისგან დასაცავად; უზრუნველყოფილია ხარისხიან სოციალურ მომსახურებებზე თანაბარი ხელმისაწვდომობა.

3
GOOD HEALTH AND WELL-BEING

5
GENDER EQUALITY

10
REDUCED INEQUALITIES

4
QUALITY EDUCATION

5
GENDER EQUALITY

10
REDUCED INEQUALITIES

1
NO POVERTY

5
GENDER EQUALITY

10
REDUCED INEQUALITIES

მოკლევადიანი შედეგის შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან:

მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის
 მიზანი 5: გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება
 მიზანი 10: უთანასწორობის შემცირება ქვეყნებში და ქვეყნებს შორის

მოკლევადიანი შედეგის შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან:

მიზანი 4: ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასთვის
 მიზანი 5: გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება
 მიზანი 10: უთანასწორობის შემცირება ქვეყნებში და ქვეყნებს შორის

მოკლევადიანი შედეგის შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან:

მიზანი 1: სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა
 მიზანი 5: გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება
 მიზანი 10: უთანასწორობის შემცირება ქვეყნებში და ქვეყნებს შორის

ცვლილების თეორია

გაერომ ერთობლივი აქტივობები შეიმუშავა და განახორციელა ჯანდაცვის, განათლების და სხვა სოციალურ მომსახურებებში. ამ ძალისხმევას წვლილი შეაქვს ხარისხიანი და ხელმისაწვდომი ჯანდაცვის²¹, განათლების და სოციალური მომსახურების უზრუნველყოფის ხელშეწყობაში,

²¹ ჯანმრთელობის მიზნობრივი პოლიტიკა და მომსახურება მოიცავს სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობას (SRH), მათ შორის მოზარდთა SRH, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობას და კვებას (MCH + N), წყალს, სანიტარიას და ჰიგიენას (WASH), მაღალი ტვირთის არაგადამდები დაავადებების პრევენციას და მართვას (NCDs), აივ ინფექციის / ტუბერკულოზის / ვირუსული ჰეპატიტის ინტეგრირებულ პრევენციას და მათზე რეაგირებას და გენდერულ ძალადობაზე რეაგირებას (GBV)

მომსახურებების ხარისხის, ხელმისაწვდომობის, მოცვის და შესაბამისობის საკითხებთან დაკავშირებული სტრუქტურული ბარიერები დაძლეულია, ხოლო მეორე გრძელვადიანი შედეგის მიღწევა შესაძლებელია თუ:

1. მოხდება ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომების ინტეგრირება მტკიცებულებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში; სამართლებრივი/მარეგულირებელი ჩარჩო გამდიდრებულია ბავშვზე ორიენტირებული და გენდერული ფაქტორის გათვალისწინებაზე მიმართული მიდგომებით;
2. ცენტრალურ ხელისუფლებას აქვს შესაძლებლობა დაგეგმოს და დანერგოს მომსახურებები, რომლებიც პასუხობს საქართველოში მცხოვრები ადამიანების განსხვავებულ საჭიროებებს, განურჩევლად ასაკისა, გენდერული იდენტობისა, შესაძლებლობებისა, ეთნიკური წარმომავლობის, სექსუალური ორიენტაციისა, ჯანმრთელობის მდგომარეობის, დასაქმების სტატუსის, განსახლების ტიპის და მიგრაციის სტატუსისა, ასევე განახორციელოს ამ მომსახურებების მონიტორინგი და იმუშაოს უარყოფითი სოციალური ნორმების აღმოსაფხვრელად;
3. უზრუნველყოფილია სათანადო ლიდერობა და მიღწევის განაწილება;
4. ჯანდაცვის სისტემა კიდევ უფრო განმტკიცებულია, უზრუნველყოფს ხელმისაწვდომ და ხარისხიან სამედიცინო მომსახურებას, მდგრად პრევენციულ და სამკურნალო სისტემებს, არის კარგად მომარაგებული და აღჭურვილი სათანადო სამედიცინო ინფრასტრუქტურით და მნიშვნელოვან როლს ასრულებს სტანდარტების დადგენაში, სერტიფიცირებასა და ხარისხის კონტროლში;
5. გაძლიერებულია პირველადი ჯანდაცვა (PHC); ის მდგრადი ჯანდაცვის სისტემის ქვაკუთხედი და საყოველთაო ჯანდაცვისა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მდგრადი განვითარების მიზნებს ემსახურება;
6. ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებები უკეთ არიან მომზადებული საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისთვის და მოსახლეობას უზრუნველყოფენ აუცილებელი მომსახურებებით;
7. არაგადამდები დაავადებები და სამიზნე გადამდები დაავადებები კონტროლდება და მალდება ცნობიერება;
8. მალდება ცნობიერება ბავშვებთან, ახალგაზრდობასთან, ქალებთან, მოხუცებთან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან, LGBTI+ პირებთან, დევნილებთან, თავშესაფრის მაძიებლებთან, საერთაშორისო დაცვის მქონე პირებთან, მოქალაქეობის არმქონე პირებთან, მიგრანტებთან, არაფორმალურ ეკონომიკაში ჩართულ პირებთან, უმემოსავლოდ დარჩენილ ადამიანებთან, და აივ ინფექციის რისკის ქვეშ მყოფი მოსახლეობის მნიშვნელოვან ჯგუფებთან, ტუბერკულოზის და ვირუსული ჰეპატიტის მოქმედი კანონმდებლობის, უფლებების და პასუხისმგებლობების შესახებ;
9. სრულდება დამოუკიდებელი ექსპერტის რეკომენდაციები, სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის ნიშნით ძალადობისა და დისკრიმინაციისაგან დაცვის შესახებ, ასევე ხანდაზმული პირების უფლებების განხორციელებასთან დაკავშირებით;
10. გაუმჯობესებულია თანაბარი ხელმისაწვდომობა ხარისხიან განათლებაზე, გრძელვადიანი სასწავლო შედეგებით, ასევე ბაზრის საჭიროებების შესაბამისი უნარების განვითარება;
11. გაძლიერებულია სოციალური დაცვის სისტემა, ის უფრო საყოველთაო, შესაბამისი და ეფექტურია;
12. ინვესტიციები ხორციელდება ქალების ჯანმრთელობაში, განათლებაში და უნარებში, ასევე ბავშვებზე და მოხუცებზე ზრუნვაში, რაც, თავის მხრივ, ქალების პოტენციალის სრული რეალიზების ხელშეწყობას ისახავს მიზნად.



©UNICEF/თაკო რობაქიძე

გრძელვადიანი მიზნის მისაღწევად, უმნიშვნელოვანესია კოორდინაცია და დაგეგმვა, რათა გაუმჯობესდეს ხარისხიანი მულტისექტორული, ადამიანებზე ორიენტირებული მომსახურებების მიწოდება; სისტემები გაძლიერებულია გაუმჯობესებული ხელმძღვანელობის და სტანდარტების მეშვეობით; გაძლიერებულია პარტნიორობა ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებებთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან, პროფკავშირებთან, დამსაქმებელთა ორგანიზაციებთან, კერძო სექტორთან, პროფესიულ ასოციაციებთან, მედიასთან, სათემო ორგანიზაციებთან, სამეცნიერო წრებთან და ახალგაზრდობასთან; უნარები და შესაძლებლობები გაუმჯობესებულია ჯანდაცვის, განათლების და სოციალური მომსახურებების მიმართულებით. შენარჩუნებულია გაეროს სისტემის ძალისხმევის პოზიტიური დინამიკა, სისტემების გაძლიერების მიმართულებით, რათა გაუმჯობესდეს პრევენციული და სამკურნალო მომსახურების ხარისხი და გაუმჯობესდეს საზოგადოების შესაძლებლობები, ხოლო ინდივიდებს ჰქონდეთ ინფორმაცია მათი უფლებების შესახებ და შეეძლოთ საზიანო სოციალური ნორმების და პრაქტიკის, სტიგმის და დისკრიმინაციის ყველა ფორმის წინააღმდეგ ბრძოლა.

ზემოთ აღინიშნა, რომ ადამიანის უფლებების ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობა ხელს შეუწყობს მომსახურებების უფრო თანასწორ მიწოდებას, მათ შორის, მარგინალიზებული ჯგუფების სოციალურ დაცვას.

COVID-19-ის პანდემიის ზეგავლენაზე რეაგირების საჭიროებამ, შესაძლოა გამოიწვიოს ჯანდაცვის რესურსების პანდემიასთან ბრძოლისკენ გადამისამართება, რაც, თავის მხრივ, გავლენას მოახდენს რუტინულ სამედიცინო მომსახურებებზე. ეს მძიმედ იმოქმედებს მოწყვლად ჯგუფებზე, რომლებსაც მანამდეც ჰქონდათ ჯანმრთელობის პრობლემები და მკურნალობის გადავადებამ შესაძლოა გართულებები გამოიწვიოს. შეწყვეტილი სასწავლო პროცესი გარკვეულ რისკებს უქმნის ბავშვებს. ცენტრიდან დამორეზულ რეგიონებში მცხოვრები ადამიანები, პრაქტიკულად გარიყვის რისკის ქვეშ არიან. ფისკალურმა რყევებმა შესაძლოა გავლენა მოახდინონ სოციალური დაცვის სერვისებზე, როდესაც მათი საჭიროება ყველაზე დიდია.

მოწყვლადი ჯგუფები

ბავშვების სპეციფიკური კატეგორიები, ახალგაზრდობა, არაფორმალურ სექტორში დასაქმებული პირები, ხანდაზმული ადამიანები, მიგრანტები, იძულებით გადაადგილებული პირები, თავშესაფრის მაძიებლები, საერთაშორისო დაცვის მქონე პირები, მოქალაქეობის არ მქონე პირები, კონფლიქტით დაზარალებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები და ფერმერები, ცენტრიდან მოშორებით მცხოვრები პირები, ქალების სპეციფიკური კატეგორიები (მაგალითად: ოჯახში ძალადობის და ტრეფიკინგის მსხვერპლები), მრავალმხრივი დისკრიმინაციის საფრთხის ქვეშ მყოფი ქალები, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები, არადომინანტური სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის მქონე პირები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები და აივ ინფექციის, ტუბერკულოზის და ვირუსული ჰეპატიტების საფრთხის წინაშე მყოფი ძირითადი ჯგუფები.

პარტნიორობა

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (MoIDP & LHSA); განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; პროფესიული სასწავ-

ლებლები; ჯანდაცვის მუშაკთა პროფესიული კავშირი; დამსაქმებელთა ასოციაცია; სამოქალაქო საზოგადოება; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი (NCDC); საქართველოს პარლამენტი; შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი; სახალხო დამცველის აპარატი; მუნიციპალური მომსახურების მიმწოდებელთა ასოციაცია; სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (PSDA); დასაქმების სახელმწიფო სააგენტო (MoIDP & LHSA); საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია; სოციალური მომსახურების სააგენტო (MoIDP & LHSA); სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო; ადგილობრივი მმართველობის ორგანოები; პროფესიული ასოციაციები; სამეცნიერო წრეები; არასამთავრობო ორგანიზაციები; საერთაშორისო ორგანიზაციები; მედია.

შესაბამისი ეროვნული პოლიტიკა/სტრატეგიები

საქართველოში ჯანდაცვის სისტემის განვითარების ხედვა 2030 წლისთვის; 2017-2030 წლების სახელმწიფო კონცეფცია დემოგრაფიული უსაფ-

რობების შესახებ; 2020-2030 წლების ახალგაზრდული პოლიტიკის ეროვნული კონცეფცია; 2021-25 ახალგაზრდობის ეროვნული სტრატეგია (მუშავდება); 2017-2030 წლების ეროვნული სტრატეგია დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობისა და მასთან დაკავშირებული რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე; საქართველოს აივ / შიდსის 2019-2022 წლების ეროვნული სტრატეგიული გეგმა; 2021-24 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა ქალთა მიმართ ძალადობასთან და ოჯახში ძალადობასთან ბრძოლისა და მსხვერპლთა (გადარჩენილთა) დაცვის შესახებ (შემუშავება და მიღება); იმუნიზაციის ყოვლისმომცველი (MYP) საქართველოსთვის, 2016-2021; იმუნიზაციის ეროვნული წლიური გეგმები; თამბაქოს კონტროლის ეროვნული სტრატეგია (ძალაშია 2013 წლიდან); არაგადამდებ დაავადებათა ეროვნული სტრატეგია (2021-25) (უნდა შემუშავდეს და მიღებულ იქნეს); საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021 წლებისთვის; ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგია 2021-2030 (მუშავდება და დამტკიცდება) და მისი შესაბამისი სამოქმედო გეგმები. საქართველოს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის 2019-2023 წლების ეროვნული სტრატეგია; შრომისა და დასაქმების პოლიტიკის ეროვნული სტრატეგიის 2019-2021 წლების სამოქმედო გეგმა; და ბავშვის უფლებათა კოდექსი.



© IOM/დინა ოგანოვა

2.4.3 თანამშრომლობის ხელშეკრულების გრძელვადიანი შედეგი 3:

2025 წლისთვის საქართველოში ყველა, დისკრიმინაციის გარეშე ისარგებლებს მდგრადი, ინკლუზიური და მედეგი ეკონომიკით.

სამი მოკლევადიანი შედეგი, რომელსაც წვლილი შეაქვს მესამე გრძელვადიანი მიზნის მიღწევაში:

<p>3.1: გაუმჯობესებულია კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობა და სოციალური პასუხისმგებლობა.</p>	<p>3.2: სოფლის მეურნეობისა და სოფლის მდგრადი და ინკლუზიური განვითარება, სასურსათო სისტემების გაძლიერება და საარსებო წყაროების გაუმჯობესება.</p>	<p>3.3: გაზრდილი ღირსეული სამუშაო, მათ შორის, პროდუქტიული დასაქმება, უნარების განვითარება და ეფექტური ეროვნული სოციალური დაცვა.</p>
		
<p>მოკლევადიანი შედეგის შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან: მიზანი 8.1 (ეკონომიკური ზრდა) მიზანი 8.2 (ეკონომიკური პროდუქტიულობა) მიზანი 8.9 (მდგრადი ტურიზმის ხელშეწყობა) მიზანი 9.2 (ინკლუზიური და მდგრადი ინდუსტრიალიზაცია) მიზანი 9.3 (მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსებზე წვდომა); მიზანი 9.b (ტექნოლოგიების განვითარება, კვლევა და ინოვაციები).</p>	<p>მოკლევადიანი შედეგის შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან: მიზანი 1.2 (ეკონომიკური ზრდა) მიზანი 2.3 (ეკონომიკური პროდუქტიულობა) მიზანი 2.4 (სურსათის წარმოების სისტემები) მიზანი 2.A (ინვესტიციები სოფლად) მიზანი 8.2 (ეკონომიკური პროდუქტიულობა)</p>	<p>მოკლევადიანი შედეგის შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან: მიზანი 1.1, 1.3, 1.4 (სოციალური დაცვა, თანაბარი უფლებები ეკონომიკურ რესურსებთან მიმართებაში ქალებისა და კაცებისთვის) მიზანი 5.4 (აუნაზღაურებელი შრომა და ზიარი ოჯახური პასუხისმგებლობები) მიზანი 8.5 (სრული დასაქმება) მიზანი 8.6 (ახალგაზრდების დასაქმება); მიზანი 10.4 (წლიური ხელფასი და სოციალური დაცვა) მიზანი 10.7 (რეგულირებადი და უსაფრთხო მიგრაცია)</p>

ცვლილების თეორია

შესაძლოა შენარჩუნდეს ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდა, რომელიც შექმნის თანაბარ შესაძლებლობებს, თუკი აღმოიფხვრება სამუშაო

ადგილების შექმნის, სიღარიბის შემცირების, და კონკურენტუნარიანობისა და ინკლუზიურობის გაუმჯობესების, ღირსეული სამუშაო ადგილების და საარსებო წყაროების მხარდაჭერის ხელშემშლელი ფაქტორები.

მესამე გრძელვადიანი შედეგის მიღწევა შესაძლებელია თუ:

1. COVID-19-ის პანდემიის ეკონომიკური შედეგები დროულად აღმოიფხვრება;
2. სიღარიბე შემცირდება, მათ შორის, სამუშაო ადგილების შექმნის ხარჯზე;
3. გაიზრდება კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობა კლასტერის განვითარების, მეწარმეობის, სვაჭრო შესაძლებლობების გაუმჯობესების და ტექნოლოგიური განვითარების გზით; ასევე ზრდის ხელშეწყობაში ინვესტირებით, რა თქმა უნდა გარემოს დაცვის, უსაფრთხოების და სხვა შრომის სტანდარტების გათვალისწინებით;
4. გაძლიერებული ინსტიტუტების ინფრასტრუქტურის ხარისხი და კერძო სექტორის შესაძლებლობები შესაბამისობაში მოვა ექსპორტის ზრდისა და ახალი ბაზრების ათვისებისთვის საჭირო მოთხოვნებთან;
5. გაძლიერდება საარსებო წყაროები;
6. სოფლის მეურნეობის სექტორი უფრო პროდუქტიული გახდება და სოფლის კომპლექსური განვითარების შედეგად აქ შეიქმნება ინოვაციური დასაქმების შესაძლებლობები, რომელიც ორიენტირებულია მცირე, ახალგაზრდა და ქალ ფერმერებზე და ეკონომიკურ დივერსიფიკაციაზე;
7. მოხდება მდგრადი და ინკლუზიური ტურიზმის ხელშეწყობა, რათა გაიზარდოს მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფების შემოსავლები COVID-19-ის პანდემიის შემდგომ კონტექსტში და მომდევნო პერიოდში;
8. არასრული და არაფორმალური დასაქმების პრობლემა მოგვარებულია და ეკონომიკის ფორმალისაციის ზრდით ხდება სრული და პროდუქტიული დასაქმების ხელშეწყობა;
9. რეალიზდება ღირსეული სამუშაოს ყველა ასპექტი (დასაქმება, სოციალური დაცვა, სოციალური დი-ალოგი და საერთაშორისო შრომითი სტანდარტები);
10. გაძლიერდება სოციალური დაცვის სისტემა, მათ შორის, შრომის ბაზრის პასიური და აქტიური ინტერვენციებით;
11. გაჩნდება ბაზართან დაკავშირებული უნარების საჭიროება, ახალგაზრდებისთვის ამ ახალი უნარ-ჩვევების სწავლება და მათთვის შესაბამისი განათლების უზრუნველყოფა, ახალი უნარების სექტორის სტრატეგიის შესაბამისად მოხდება;
12. ხდება ინოვაციების პოპულარიზაცია პროდუქტიულობის და კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით;
13. აგროსასურსათო სისტემები მდგრადია და პასუხს აგებს ღირებულების მთლიან ჯაჭვზე წარმოების, სურსათის ხარისხის, უვნებლობის და კვების გაუმჯობესების მიზნით; ასევე საარსებო წყაროების მედეგობის ზრდისა და გარემოსდაცვითი ზეგავლენის შემცირების მიზნით;
14. სამუშაო ადგილზე უზრუნველყოფილია ადეკვატური დაცვა, როგორც შრომის საერთაშორისო, და ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტების მიხედვით, ასევე ტრანსნაციონალური კორპორაციების საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად (აპრილი 2019);
15. გაუმჯობესებულია პირობები სამუშაო ძალის ადეკვატური და თანასწორი მონაწილეობისთვის და დასაქმების შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად ქალებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფებისთვის, შშმ პირებისთვის, ახალგაზრდებისა და უმცირესობებისთვის;
16. ქალების აუნაზღაურებელი შრომა გაიზომება, მოხდება მისი აღიარება და ჩართვა განვითარების დისკურსში; წახალისდება ზიარი ოჯახური პასუხისმგებლობები;
17. გაუმჯობესდება ქალების მონაწილეობა სამუშაო ძალაში, დასაქმების უკეთესი შესაძლებლობების შექმნის მიზნით ინვესტირება მოხდება ბავშვზე და

მოხუცზე ზრუნვის სამსახურების გაუმჯობესებაში, საოჯახო საქმეების უკეთეს განაწილებაში, ქალების მომზადება/გადამზადებასა და საბაზრო პირობების შექმნაში;

- 18. ხელი შეუწყობა მონაცემების რეგულარულ შეგროვებას, როგორც სოციალური ზრუნვის ინფრასტრუქტურის შექმნისკენ გადადგმულ ნაბიჯს;

- 19. გაძლიერდება ეროვნული პოლიტიკა მდგრადი სატრანსპორტო კავშირების და ვაჭრობის ხელშეწყობისთვის;

- 20. ხელი შეუწყობა ჭკვიანი და მდგრადი ქალაქების ჩამოყალიბებას, მათ შორის, ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლებების წარმომადგენლების შესაძლებლობების გაუმჯობესებას და მდგრადი ურბანული პოლიტიკის განხორციელებას.

გაეროს წარმომადგენლობა საქართველოში მხარს დაუჭერს ეკონომიკური ზრდის ინტეგრირებულ ხედვას, როგორც ადამიანის შესაძლებლობების და კეთილდღეობის მდგრადი გაუმჯობესების საშუალებას; ასევე პოლიტიკას და პროგრამებს, რომლებიც მხარს უჭერენ ადამიანზე ორიენტირებულ ეკონომიკას და ბიზნეს მოდელს; ბიზნესში ინვესტირების შესაძლებლობებს, ცხადია, ადამიანის უფლებების და შრომის უფლებების პატივისცემით და გარემოზე ზრუნვით.

ქვეყნის მთელი მოსახლეობის ყველა შრომისუნარიანი სეგმენტისთვის, მათ შორის, მიგრანტებისა და თავშესაფრის მაძიებლებისთვის ღირსეული სამუშაო ადგილების შექმნა, ბავშვთა შრომის და ადამიანების ტრეფიკინგის წინააღმდეგ შესაბამისი აქტივობების განხორციელება, სოციალური დახმარების პროგრამების ხელშეწყობა და მოსახლეობის ეკონომიკური პერსპექტივების გაუმჯობესება შედეგად მოიტანს პასუხისმგებლიანი ბიზნეს პრაქტიკის შემოღებას და ცხოვრების დონის გაუმჯობესებას. მხარდაჭერით ისარგებლებს მცირე და საშუალო საწარმოები, რომლებიც საწარმოების მთლიანი რაოდენობის 90 პროცენტს შეადგენს და მთლიან ბიზნესში დასაქმების 67 პროცენტს ქმნის, მათ შორის, აქცენტი გაკეთდება იმ საწარმოების დახმარებაზე, რომელთაც ქალები და ახალგაზრდები მართავენ. კონკურენტუნარიანობის ზრდა, ტექნოლოგიების, ბაზრების, ფინანსების ხელმისაწვდომობა, სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობი უნარების განვითარება, ღირსეული დასაქმება და საარსებო წყაროების გაძლიერება ქალაქად და სოფლად, ხელს შეუწყობს მეწარმეობის განვითარებას. სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობა გაიზრდება სოფლის მეურნეობაში ინვესტირების და პროდუქციის ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების გზით. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა დივერსიფიკაციას, ინოვაციურ ტექნოლოგიებს, თანამშრომლობას და ისეთი სტრუქტურული

სირთულეების აღმოფხვრას, როგორცაა, მაგალითად, მიწის ფრაგმენტაცია. ფერმერების საწარმოო შესაძლებლობები გაუმჯობესდება და გაიზრდება ხელმისაწვდომობა მომსახურებებსა და ინფრასტრუქტურაზე. სასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვში ფერმერების პოზიციის განმტკიცების და მათი ტურისტულ სექტორთან დაკავშირების მიზნით პოპულარიზაცია გაეწევა ნატურალურ პროდუქტებს.

სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის მაქსიმალური რეალიზაცია და სოფლის ეკონომიკის დივერსიფიკაცია აღმოფხვრის ქალაქსა და სოფელს შორის არსებულ უთანასწორობას. ღირსეული სამუშაოს უზრუნველყოფა, მათ შორის, პროდუქტიული დასაქმება, გაძლიერებული საარსებო წყაროები და ინკლუზიური სოციალური დაცვა შრომის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, შეამცირებს სიდარობებს და უთანასწორობას.

სამომავლოდ უნდა გაგრძელდეს საქართველოს მონაწილეობა გლობალურ ეკონომიკურ პროცესებში, მათ შორის, რეგიონალურ ბაზრებში ინტეგრირება. რეგიონალური და ქვერეგიონალური ინტეგრაცია უფრო ფართო ბაზრებს გახსნის მისი პროდუქტებისა და სამუშაო ძალის დინამიკისთვის. ინოვაციების და ტექნოლოგიური გაუმჯობესების გზით, ქვეყნის შიდა მრეწველობის შემდგომი განვითარების ერთ-ერთი მთავარი მექანიზმი არის უნარების გაუმჯობესება, რაზეც როგორც ზემოთ აღნიშნა, გაერო იმუშავებს.

COVID-19-ის აფეთქების შემდგომ, მთავარი რისკი არის მცირე საწარმოების დახურვა და მასობრივი უმუშევრობა ისეთ სექტორებში, როგორცაა მოგზაურობა, ტურიზმი და სასტუმროები. ეს კონფლიქტის პოტენციური მიზეზია. პანდემია გავლენას მოახდენს უცხოურ ინვესტიციებზეც. შესაძლოა შეჩერდეს ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ამაღლების მცდელობა.

მოწყვლადი ჯგუფები

უმუშევრები, განსაკუთრებით ქალები და ახალგაზრდები, მშრომელები, არაფორმალური სექტორის მუშაკები, ხანდაზმულები, მიგრანტები, დევნილები, თავშესაფრის მაძიებლები, საერთაშორისო დაცვის მქონე პირები, მოქალაქეობის არმქონე პირები, საზღვარგარეთ მცხოვრები თემები და ოჯახის

წევრები, ფერმერები, ქალების კონკრეტული კატეგორიები (მაგ. ოჯახური ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლები), ორსული ქალები, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები, არა დომინანტი სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის მქონე პირები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები.

პარტნიორობა

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; ფინანსთა სამინისტროს სასწავლო აკადემია (სსიპ); გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; საგარეო საქმეთა სამინისტრო (დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტი); აწარმოე საქართველოში; საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო (GITA); სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სააგენტო (ARDA), საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო; საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო (Geo-STM); საქართველოს აკრედიტაციის ცენტრი (GAC); სურსათის ეროვნული სააგენტო (NFA); ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის

სამინისტრო; რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი); იუსტიციის სამინისტრო/მიგრაციის საკითხთა სახელმწიფო კომისია; ადამიანის უფლებათა და გენდერული თანასწორობის საკითხთა უწყებათაშორისი კომისია; საქართველოს პარლამენტის აგრარული კომიტეტი; პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო; სახალხო დამცველის აპარატი; საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა; საქართველოს პროფკავშირების გაერთიანება; საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია; მუნიციპალიტეტები; კერძო სექტორი; და სამოქალაქო საზოგადოება, რომელსაც აერთიანებს პრინციპი: „არავინ დარჩეს განვითარების პროცესებს მიღმა“.

შესაბამისი პოლიტიკა / სტრატეგიები

ადამიანის უფლებების სტრატეგია 2014-2020 და სამოქმედო გეგმა (თავი ბიზნესის და ადამიანის უფლებების შესახებ); საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - საქართველო 2020; საქართველოს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის 2019-2023 წლების ეროვნული სტრატეგია; შრომისა და დასაქმების პოლიტიკის ეროვნული სტრატეგიის 2019-2021 წლების სამოქმედო გეგმა; სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021-2027 წწ; ახალგაზრდული პოლიტიკის ეროვნული კონცეფცია 2020-2030; საქართველო 2020 (კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობა); საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგია

2016-2020 წწ; მიგრაციის სახელმწიფო სტრატეგია 2016-2020 (თავი VIII, მიგრაცია და განვითარება); საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025; სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2015-2020 წლებისთვის; რეგიონული განვითარების პროგრამა 2018-2021; პროფესიული განვითარების სტრატეგია 2013-2020; ადამიანის უფლებების სტრატეგია 2014-2020 და სამოქმედო გეგმა (თავი ბიზნესის და ადამიანის უფლებების შესახებ); საქართველოს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის 2019-2023 წლების ეროვნული სტრატეგია; ახალგაზრდობის ეროვნული სტრატეგია 2025; ბავშვის უფლებათა კოდექსი; 2020-2022 წწ. საქართველოს საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა.

2.4.4 თანამშრომლობის ხელშეკრულების გრძელვადიანი შედეგი 4:

2025 წლისთვის კონფლიქტით დაზარალებული თემები ისარგებლებენ ადამიანის უფლებებით, გაძლიერებული უსაფრთხოებითა და მედეგობით.

სამი მოკლევადიანი შედეგი, რომელსაც წვლილი შეაქვს მეოთხე გრძელვადიანი შედეგის მიღწევაში:

4.1: კონფლიქტით დაზარალებულ თემებს აქვთ გაუმჯობესებული წვდომა ძირითად სერვისებზე, როგორცაა განათლება, ჯანდაცვა, გენდერულ ძალადობაზე რეაგირება და იურიდიული დახმარება.

4.2: სოციალურ-ეკონომიკური პირობები და თემის მედეგობა გაუმჯობესებულია პროგრამებით, რომელთა ბენეფიციარები არიან კონფლიქტით დაზარალებული თემები.

4.3: დიალოგისა და მონაწილეობისთვის გაფართოებული სივრცე, რაც აძლიერებს სამოქალაქო საზოგადოებას, თემის მედეგობას, სოციალურ ერთობას და ქალთა, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის იმპლემენტაციას.



მოკლევადიანი შედეგის შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან:

მიზანი 1. სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა
 მიზანი 2. შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა
 მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის
 მიზანი 4: ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის
 მიზანი 5: გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება
 მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება
 მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე

მოკლევადიანი შედეგის შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან:

მიზანი 1. სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა
 მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის
 მიზანი 4: ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის
 მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება
 მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე

მოკლევადიანი შედეგის შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან:

მიზანი 1. სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა
 მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის
 მიზანი 4: ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის
 მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება
 მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე

ცვლილების თეორია

შედეგად გრძელვადიანი შედეგის მიღწევა შესაძლებელია თუ:

1. უზრუნველყოფილი იქნება თანაბარი შესაძლებლობები კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობისთვის გადაადგილების თავისუფლების, უფლებებზე წვდომის, ხარისხიანი ჯანდაცვის, განათლების (მათ შორის, არაფორმალური განათლების) და სხვა სერვისების ძირითადი ბარიერების გადალახვის გზით;
2. ხანგრძლივი მშვიდობის მისაღწევად გაუმჯობესდება საზოგადოების შედეგობა ადგილზე;
3. კონფლიქტით დაზარალებულ თემებთან, სამთავრობო უწყებებთან, განვითარების აქტორებსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობით მოხდება დევნილების შესახებ სახელმწიფო სტრატეგიის იმპლემენტაცია;
4. ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების სამოქმედო გეგმა განხორციელდება მთავრობას, ადგილობრივ თემებსა და სამოქალაქო საზოგადოების ქალთა ორგანიზაციებს შორის მჭიდრო პარტნიორობით;
5. ქალების თანამშრომლობა შედეგად იქნება სამშვიდობო მოლაპარაკებების ყველა დონეზე და ნდობის განმტკიცების მიმართულებით;
6. სახელმწიფო რესურსები გამოიყენება სტრატეგიულად, რათა გაუმჯობესდეს დევნილების სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაცია, უკეთესი საარსებო წყაროებით, სოციალური სერვისებით და გრძელვადიანი მდგრადი განვითარებით;
7. კონფლიქტით დაზარალებულ თემებს, განსაკუთრებით ქალებსა და ბავშვებს, ექნებათ უკეთესი წვდომა სოციალურ სერვისებზე, ინფორმაციასა და უფასო იურიდიულ დახმარებაზე, მათ შორის, ძალადობისგან დაცვის სფეროში;
8. კონფლიქტით დაზარალებულ ტერიტორიაზე, ქალებსა და გოგონებს ექნებათ უკეთესი წვდომა ჯანდაცვის ხარისხიან მომსახურებაზე, მათ შორის, ბავშვისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისებზე;
9. კონფლიქტით დაზარალებულ თემებში გაიზრდება შესაძლებლობები, რათა მათ მოითხოვონ საკუთარი უფლებების დაცვა და მიიღონ სათანადო წვდომა საბაზო და გაუმჯობესებულ სოციალურ სერვისებზე;
10. კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში ქალები შეიძენენ უნარებს და ექნებათ ბავშვისა და მოხუცის მოვლის სერვისებით სარგებლობის შესაძლებლობა, შინამეურნეობაში მოხდება სამუშაოს უფრო თანაბარი განაწილება, რაც ქალებს დასაქმების საშუალებას მისცემს;
11. ხანგრძლივი თანაარსებობის პერსპექტივა გაუმჯობესდება და სახელმწიფო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვაიძულებით გადაადგილების სახელმძღვანელო პრინციპებთან, დახმარების გაწევა მოხდება „საჭიროებიდან“ და არა „სტატუსიდან“ გამომდინარე;
12. ადგილობრივი სერვისები შეესაბამება ეროვნულ დონეზე დამტკიცებულ სახელმძღვანელო პრინციპებს და სტანდარტებს;
13. მოსახლეობა აფხაზეთში და, თუ გაეროს ექნება ნებადართული წვდომა, სამხრეთ ოსეთში ინფორმირებული იქნება თავისი უფლებების შესახებ. ადამიანები შეძლებენ მიიღონ სათანადო დოკუმენტაცია და ისარგებლონ საკუთარი უფლებებით, მათ შორის, გადაადგილების, დისკრიმინაციისგან თავისუფალი განათლებისა და დასაქმების უფლებებით;
14. შეიქმნება პირობები გამიჯნულ თემებს შორის შერიგებასა და მდგრად მშვიდობაზე მიმართული დიალოგისთვის, მოსახლეობისა და სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივით;
15. ნდობის განმტკიცების ზომების მიღება, „მშვიდობის აგენტების“ გაძლიერება და ხელსაყრელი გარემოს შექმნა ადამიანებს შორის კონტაქტის დასამყარებლად, შედეგად მოიტანს გამყოფი ხაზებით დაშორებული საზოგადოების დამოკიდებულებისა და ქვევის ცვლილებას.

კონფლიქტით დაზარალებული თემების გეოგრაფიული დაყოფა არ ხდება და ტერიტორიის მოიცავს ყველაადამიანს, ვინც ცხოვრობს ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის ორივე მხარეს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, ასევე დევნილებს (მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა მათ ოფიციალური სტატუსი), ვინც ცხოვრობს ქვეყნის სხვა ნაწილებში (ქალაქში თუ სოფლად), განსაკუთრებით, ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე.

გაეროს სააგენტოები განაგრძობს მჭიდრო სინერგიულ თანამშრომლობას მთავრობის მიერ განხორციელებულ პროგრამებთან. იმ უნიკალური (თუმცა, შეზღუდული) შესაძლებლობის გამოყენებით, რომელიც გაეროს სისტემას გააჩნია აფხაზეთში, გაერო იმუშავებს შრომითი ბაზრების, ჯანდაცვის (მათ შორის, რეპროდუქციული ჯანმრთელობის), განათლების (მათ შორის, არაფორმალური განათლების), სოციალური მომ-

სახურებისა და იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაზე, როგორც საქართველოს მთავრობის კონტროლირებად ტერიტორიაზე, ისე აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ადამიანებისთვის. შეიქმნება კონკრეტული გარანტია იმისა, რომ კონფლიქტით დაზარალებული თემები თანაბრად იქნება მოცული ჰანდემის შემდგომი სოციალურ-



©UNDP Georgia

ეკონომიკური აღდგენის პროცესით, რაც, გარდა სხვა ხელშეწყობისა, ასევე გულისხმობს სურსათით უზრუნველყოფის ხელშეწყობას, როგორცაა, სასოფლო-სამეურნეო საშუალებების მიწოდება და გაუმჯობესებული ნატურალური მეურნეობები/სასაქონლო კულტურების წარმოება, რამდენადაც, დევნილთა 21% და აფხაზეთის მოსახლეობის 49.7% (74% გალში) ცხოვრობს სოფლად.

მიმდინარე „ბორდერიზაციის“ პროცესი გამოიწვევს შემდგომ სირთულეებს ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობისთვის. გაერო საქართველოში განსა-

კუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ადამიანის უსაფრთხოებისა და ნდობის განმტკიცების ასპექტებს, გააძლიერებს მშვიდობის მომხრეებს, სათემო პროექტების გარშემო დიალოგების ორგანიზებით, მედეგობის ხელშეწყობისა და კონფლიქტის ესკალაციის პრევენციით. გაერო მოახდენს საუკეთესო მექანიზმების იდენტიფიცირებას იმისათვის, რომ ქალებს, განსაკუთრებით კონფლიქტით დაზარალებულთ, შეეძლოთ არა მხოლოდ ხმის ამაღლება, არამედ პროცესებში სრულფასოვანი მონაწილეობის მიღება ყველა დონეზე.

გადაუჭრელი კონფლიქტი კვლავ ჩრდილს მიაყენებს რეგიონში მშვიდობასა და უსაფრთხოებას; რადგან კონფლიქტის საბოლოო მოგვარებამდე ჯერ კიდევ შორია. ვიდრე საქართველო აგრძელებს საკითხზე მსჯელობას ევროკავშირის, გაეროს და ეუთოს თანათავმჯდომარეობით მიმდინარე ქენევის საერთაშორისო დისკუსიებზე, გაერო განაგრძობს კონფლიქტით დაზარალებული თემებისათვის სერვისების მიწოდებას და მათ მხარდაჭერას საერთაშორისო ჰუმანიტარულ პრინციპებზე დაყრდნობით.

შეზღუდული წვდომა კონფლიქტით დაზარალებულ ტერიტორიებზე და გაეროს მიერ თემის საჭიროებებზე ინფორმაციის მოგროვება და მათთვის მხარდაჭერის აღმოჩენის შეუძლებლობა წარმოადგენს მთავარ რისკს. ამან შეიძლება ხელი შეუშალოს გაეროს ძალისხმევას განახორციელოს პრინციპი: „აღვადგინოთ უკეთესად“. COVID-19-მა შეიძლება გავლენა იქონიოს დიალოგისა და მშვიდობის შენების აქტივობებზეც, ჰანდემის დროს დაწესებული სოციალური დისტანცირების გამო.

გაერო საქართველოში ასევე გამოიყენებს თავის გამოცდილებას რეგიონში კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, იმ ფარგლებში, რომლებსაც ქმნის ქვერეგიონალურ და რეგიონალურ დონეზე არსებული სხვადასხვა პლატფორმები. პრიორიტეტული იქნება ქვერეგიონალური ურთიერთქმედება აღმოსავლეთევროპულ ფორმატში, რადგანაც ამ ქვერეგიონის ქვეყნები მეტნაკლებად მსგავსი პრობლემებისა და გამოწვევების წინაშე დგანან კონფლიქტით დაზარალებული თემების ინტეგრაციის თვალსაზრისით.

მოწყვლადი ჯგუფები

კონფლიქტით დაზარალებული თემები, განსაკუთრებით სპეციფიკური კატეგორიები: ბავშვები, ახალგაზრდობა, არაფორმალური სექტორის მუშაკები, ხანდაზმულები, მიგრანტები, იძულებით გადაადგილებული პირები, ლტოლვილები, მოქალაქეობის არმქონე პირები, ადმინისტრაციული საზღვრების მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები თემები, საოჯახო მეურნეობის მქონე პირები, ქალთა სპეციფიკური კატეგორიები (მაგალითად, ოჯახში ძალადობის და ტრეფიკინგის მსხვერპლი), ჯვარედინი დისკრიმინაციის მსხვერპლი ქალები, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები, არადომინანტური სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის მქონე პირები და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები.

პარტნიორები

საგარეო საქმეთა სამინისტრო; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი; იურიდიული დახმარების სამსახური; საქართველოს სამართლებრივი დახმარების კონსორციუმი; სახალხო დამცველის აპარატი, გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია; არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებსაც აერთიანებს პრინციპი: „არავინ დარჩეს განვითარების პროცესებს მიღმა“ (LNQB).

შესაბამისი ეროვნული პოლიტიკა/სტრატეგიები

საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია 2019-2022; საქართველოს იძულებით გადაადგილებული პირების სახელმწიფო სტრატეგია; გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ იმპლემენტაციის ეროვნული სამოქმედო გეგმა;

საქართველოს სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ ჩართულობა თანამშრომლობის გზით; საქართველოს სამშვიდობო ინიციატივა „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“; მიგრაციის სტრატეგია; ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგია, სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021-2027; ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების ხელშეკრულება; და ბავშვის უფლებათა კოდექსი.



©UNDP Georgia

გეროს მხრიდან მონაწილე სააგენტოები:

FAO, UNDP, IOM, UNICEF, WHO, UNECE, UNOPS, UNIDO, UN Women, UNEP, UNICRI, IFAD, UNDRR

2.4.5 თანამშრომლობის ხელშეკრულების გრძელვადიანი შედეგი 5:

2025 წლისთვის საქართველოში თითოეული ადამიანის უსაფრთხოება და მედეგობა უზრუნველყოფილი იქნება დისკრიმინაციის გარეშე, გაუმჯობესებული გარემოსდაცვითი მმართველობის, კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ მიმართული ძალისხმევისა და და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის შედეგად.

სამი მოკლევადიანი შედეგი, რომელსაც წვლილი შეაქვს მეხუთე გრძელვადიანი შედეგის მიღწევაში:

5.1: გაუმჯობესებული გარემოსდაცვითი მმართველობა და ინსტიტუციური შესაძლებლობები, ქმნის ბუნებრივი/მიწის რესურსების რაციონალური, თანაზომიერი და მდგრადი გამოყენების შესაძლებლობას, უზრუნველყოფს ეკოსისტემების კონსერვაციას და მოსახლეობის მედეგობას ეკოლოგიური მოკვების მიმართ.



5.2: კლიმატის მიმართ მგრძობიარე, მედეგი და რისკის შესახებ ინფორმირებული განვითარება, რომელიც დისკრიმინაციის გარეშე უზრუნველყოფილია AFOLU-ში, ჯანდაცვის, წლის უსაფრთხოების, მშენებლობის, ენერჯეტიკის და სურსათის წარმოების სექტორებში, გაზრდის ადაპტაციის შესაძლებლობებს და შეამცირებს კლიმატის ცვლილების ზემოქმედებას მიწის დეგრადაციის ნეიტრალური ბალანსის (LDN) შესაბამისად.



5.3: ინოვაციური და კლიმატისთვის უსაფრთხო ტექნოლოგიების გამოყენება ინკლუზიური მწვანე ეკონომიკის, ენერჯეტიკის უზრუნველყოფის და სუფთა ენერჯის წარმოებისთვის, გაუმჯობესებს ეროვნულ დონეზე განსაზღვრულ წვლილს (NDC) და ხელს შეუწყობს გრძელვადიან დეკარბონიზაციის სტრატეგიას



მოკლევადიანი შედეგის შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან:

მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის
 მიზანი 6: წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა
 მიზანი 7: ხელმისაწვდომი, საიმედო, სტაბილური და თანამედროვე ენერჯის საყოველთაო ხელმისაწვდომობა
 მიზანი 10: უთანასწორობის შემცირება ქვეყნებში და ქვეყნებს შორის
 მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება
 მიზანი 13: კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადამჭერი ზომების გატარება
 მიზანი 14: ოკეანისა და ზღვის რესურსების კონსერვაცია და მუდმივი გამოყენება განვითარებისთვის
 მიზანი 15: ხმელეთის ეკოსისტემის დაცვა, აღდგენა და ხელშეწყობა, ტყის მდგრადი მართვა, გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლა, ნიადაგის დეგრადაციის შეჩერება და აღდგენა-გაუმჯობესება, ბიომრავალფეროვნების დანაკარგების შეჩერება

მოკლევადიანი შედეგის შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან:

მიზანი 6: წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა
 მიზანი 7: ხელმისაწვდომი, საიმედო, სტაბილური და თანამედროვე ენერჯის საყოველთაო ხელმისაწვდომობა
 მიზანი 10: უთანასწორობის შემცირება ქვეყნებში და ქვეყნებს შორის
 მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება
 მიზანი 13: კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადამჭერი ზომების გატარება

მოკლევადიანი შედეგის შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან:

მიზანი 2: მიმდინარე ადგილობრივი, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა
 მიზანი 7: ხელმისაწვდომი, საიმედო, სტაბილური და თანამედროვე ენერჯის საყოველთაო ხელმისაწვდომობა
 მიზანი 8: სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასათვის
 მიზანი 10: უთანასწორობის შემცირება ქვეყნებში და ქვეყნებს შორის
 მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება
 მიზანი 12: მდგრადი მოხმარებისა და წარმოება
 მიზანი 13: კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადამჭერი ზომების გატარება

ცვლილების თეორია

კლიმატის ცვლილების მიმართ მგრძობიარე და დაბალნახშირბადიანი განვითარება, მიწისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების პრაქტიკა, ხელმისაწვდომი და სუფთა ენერჯით მომარაგება, ტოქსიკური ქიმიკატების

შემცირებული წარმოება-მოხმარება აუცილებელი პირობებია საქართველოს მოსახლეობის მედეგობის, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის და გაუმჯობესებული საარსებო წყაროებისთვის და უკიდურესად მნიშვნელოვანია ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის.

მეხუთე გრძელვადიანი შედეგის მიღწევა შესაძლებელი იქნება, თუ:

1. შეიქმნება ძლიერი სამართლებრივი, ინსტიტუციური და პოლიტიკური მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობს ბუნებრივი და მიწის რესურსების რაციონალურ და მდგრად გამოყენებას, მათ შორის, სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებებს, ტყის ლანდშაფტის აღდგენას და სხვა საქმიანობას, რომელიც აღიარებს ქალის განსხვავებულ ურთიერთქმედებას ბუნებრივ რესურსებთან, ასევე ბუნებრივი საარსებო გარემოსა და ეკოსისტემების კონსერვაციას;
2. თემის დონეზე გაუმჯობესდება კლიმატის რისკების მართვის, სტიქიური უბედურებებისთვის მზაობის ადაპტაციური შესაძლებლობები და საფრთხეების შესახებ აღრული შეტყობინების მოქმედი სისტემები;
3. გაუმჯობესდება მედეგი და კლიმატის მიმართ მდგრადი კავშირგაბმულობის ინფრასტრუქტურა, რომელიც დააჩქარებს სოციალური და ეკონომიკური განვითარებას;
4. დაინერგება ენერჯისადმი ინოვაციური, მრავალფეროვანი და ჭკვიანი მიდგომები, რომლებიც ხელს შეუწყობს ენერგოეფექტურობას და განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის წილის ზრდას;
5. განვითარდება რესურსეფექტური და დაბალნახშირბადიანი ინდუსტრიული წარმოების ტექნოლოგიები;
6. ქვეყანა მიადგევს სათბურის გაზების ემისიების შემცირებას პარიზის შეთანხმებისა და ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად;
7. სექტორის პოლიტიკა იქნება მგრძობიარე და მოახდენს კლიმატის ცვლილების მენისტორიმიტს, აღიარებს კლიმატის ცვლილების განსხვავებულ გავლენას ქალებსა და მოწყვლად ჯგუფებზე;
8. დაინერგება ნარჩენების, განსაკუთრებით საშიში საწარმოო და ელექტრონული ნარჩენების ეფექტური მართვა;
9. მოხდება ჰაერის ხარისხის და ბუნებრივი რესურსების ეფექტური მართვა და მინიმუმამდე იქნება დაყვანილი ჯანმრთელობაზე საზიანო ზემოქმედება, სიცოცხლისა და პროდუქტიულობის მოსპობა;
10. მოხდება ცნობიერების ამაღლება გარემოს დაცვის და კლიმატის ცვლილების შესახებ, მათ შორის, საგანმანათლებლო სისტემების მეშვეობით;
11. გაუმჯობესდება სამართლებრივი, ინსტიტუციური და პოლიტიკური მექანიზმები, რათა ხელი შეუწყოს კერძო სექტორს და მოსახლეობას (მათ შორის, მიგრანტებს, ფულადი დახმარების მიმღებთ, სტიქიური უბედურების შედეგად იძულებით გადაადგილებულ და შშმ პირებს) მხარი დაუჭიროს და/ან მონაწილეობა მიიღოს კლიმატის ცვლილების ან მწვანე გარდაქმნისთვის განხორციელებულ ძალისხმევაში;
12. გაძლიერდება მმართველობის, ადამიანის უფლებებისა და გარემოს დაცვის ურთიერთკავშირი.

ახალი პროგრამის ციკლის განმავლობაში, გაეროს სააგენტოები თავიანთ პროგრამებს აწყობენ კლიმატის გონიერი და რისკების შესახებ ინფორმირებული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელების მხარდასაჭერად იქნება ეს სოფლის მეურნეობაში, მეტყვეობასა თუ სხვა მიწათსარგებლობის (AFOLU) მართვაში, როგორცაა სურსათის წარმოების, მეთევზეობის, ტყის მდგრადი მართვის, ეკოტურიზმის, წარმოების ჯანდაცვის, ენერგეტიკისა და მშენებლობის სფეროები. მოხდება ძალისხმევისა და რესურსების

მობილიზება სამართლებრივი, საორგანიზაციო და გარემოსდაცვითი მართვის ზომების განსახორციელებლად იმისათვის, რომ შემცირდეს იმ ნივთიერებების წარმოება და გამოყენება, რომლებიც სერიოზულ საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოს.

სტიქიური უბედურებების, კლიმატთან დაკავშირებული რისკებისა და გარემოს დეგრადაციის ტვირთი არაპროპორციულად აწვება ქალებს. მათი შემოსავალი მცირდება, ხოლო შინამეურნეობაში კი ოჯახის საკვებით, წყლითა და მზრუნველობით

უზრუნველყოფისთვის გაწეული სამუშაოს მოცულობა იზრდება. ამავე დროს, ქალი იშვიათად მონაწილეობს გადაწყვეტილების მიღებაში და მისი ცოდნა იშვიათად გამოიყენება ადაპტაციისა და რისკის შემცირებისთვის. თანამშრომლობის გეგმის ფარგლებში, გაერო წინ წამოწევს მთავარ გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში, ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე, ქალების წარმომადგენლობის საკითხს.

გაეროს სისტემა განაგრძობს ადაპტაციური შესაძლებლობების ზრდის მხარდაჭერას კლიმატით გამოწვეული რისკების მართვის, სტიქიური უბედურებებისთვის მზადყოფნის და მრავალმხრივი საფრთხეების შესახებ ადრეული შეტყობინების მოქმედი სისტემებისთვის; კატასტროფის რისკის შემცირების ინიციატივის (CADRI) და კატასტროფის რისკის შემცირების (DRR) შეფასების შესაბამისად,²² ის შექმნის სტიქიური უბედურების რისკის შემცირების და გაუმჯობესებული მზადყოფნის შესაძლებლობებს ეროვნულ და თემის დონეზე და აქტიურად იმუშავებს კატასტროფის რისკების შემცირების შესაძლებლობების დანერგვაზე სხვადასხვა სექტორის პოლიტიკაში, მათ შორის — განათლებაში; მხარს დაუჭერს სტიქიური უბედურების რისკის შემცირების ეროვნულ სტრატეგიას, რომლის შემუშავებასაც ქვეყანა სულ მალე დაიწყებს; ხელს შეუწყობს ენერჯის მოხმარების ინოვაციურ, გონივრულ გადაწყვეტილებებს და მდგრად ინდუსტრიულ ტექნოლოგიებს; გაერო დაეხმარება ქვეყანას კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციისა და შედეგების შერბილებაში ისევე, როგორც მიწის დეგრადაციის შემცირებაში და უზრუნველყოფს კეთილდღეობას ადგილობრივი, რეგიონული და ეროვნული მასშტაბით.

დაგეგმილი ინტერვენციები ასევე ფოკუსირებული იქნება მტკიცებულებაზე დამყარებული პოლიტიკის, მარეგულირებელი მექანიზმების, მართვისა და სტანდარტების გაძლიერებასა და მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასების (HIA) შესაძლებლობის გაუმჯობესებაზე. გაერო მზად არის მხარი დაუჭიროს საქართველოს მთავრობას უკეთ გამიზნული ინტერვენციების დაგეგმვაში კლიმატით გამოწვეული კატასტროფის რისკების პრევენციისა და მათზე რეაგირებისთვის, მიწის დეგრადაციის ნეიტრალური ბალანსის (LDN) და გარემოსდაცვითი ჯანმრთელობის გრძელვადიანი

²² საქართველო: სტიქიური უბედურების რისკის შემცირების შესაძლებლობის შეფასება, სტიქიური უბედურების შემცირების შესაძლებლობის ინიციატივა — UNDP, 2014

შედეგების მიღწევის ხელშეწყობაში. გარდა გლობალური, მრავალმხრივი გარემოსდაცვითი შეთანხმებებისა (MEAs), ზემოხსენებულ სფეროებში, საქართველო არის კიდევ ორი რეგიონალური, მრავალმხრივი გარემოსდაცვითი შეთანხმების ხელმძღვანელი. ეს შეთანხმებებია: კონვენცია შორ მანძილზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ და კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ.

ამავე დროს, გაერო მხარს დაუჭერს მთავრობასა და მრეწველობას რესურსეფექტური და სუფთა წარმოების (RECP) კონცეფციის მიღებაში, რამდენადაც ეს არის ცირკულარული ეკონომიკის პრინციპის მნიშვნელოვანი წინაპირობა. გაერო მოახდენს წარმოების პროცესის ოპტიმიზაციას, რათა მოხდეს ტოქსიკური ქიმიკატების, როგორცაა მდგრადი ორგანული პოლუტანტების (POPs), ეტაპობრივი ამოღება ხმარებიდან და სათბურის გაზების ემისიის შემცირება გაუმჯობესებული ენერგოეფექტურობის მეშვეობით. ასევე უზრუნველყოფილი იქნება ტექნიკური დახმარება საწარმოო საქმიანობისთვის განახლებადი ენერჯის წყაროების წილის გასაზრდელად, განსაკუთრებით სოფლად.

არც ერთ სხვა სფეროში არაა რეგიონალური თანამშრომლობა ისე მნიშვნელოვანი, როგორც კლიმატის ცვლილებისა და სტიქიური უბედურების რისკის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში. მოსალოდნელია, რომ კლიმატის ცვლილება განსაკუთრებულად უარყოფით გავლენას მოახდენს სამხრეთ კავკასიაზე, რაც უარყოფითად იმოქმედებს სოფლის მეურნეობაზე. ექსტრემალური ამინდი მარტივად შეიძლება გადაიქცეს სტიქიურ უბედურებად. საქართველოს შესაბამისობა ევროპის გარემოსდაცვით სტანდარტებთან, მათ შორის, ემისიების შემცირების და სუფთა ენერჯის წარმოების ხელშეწყობა ის დამატებითი შესაძლებლობებია, რომელთა მიმართულებითაც იმუშავებს გაერო საქართველოში. მიმდინარე ფორუმები, როგორცაა, მაგალითად, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების შეკრება, გამოიყენება ეფექტური ეროვნული მექანიზმების შექმნისა და კლიმატთან დაკავშირებული ქმედებების დაჩქარების გზების შესასწავლად.

COVID-19-ის პანდემიის პირობებში ექსტრემალურმა კლიმატურმა მოვლენებმა, მაგალითად, წყალდიდობამ, შეიძლება გაზარდოს რისკი და ხელი შეუშალოს კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის,

შესაძლებლობების განვითარების და სექტორის პოლიტიკაში კლიმატის ცვლილების და კატასტროფის რისკის შემცირების მექანიზმების დახმარებით. COVID-19-მა შეიძლება გავლენა მოახდინოს ეკოტურიზმის განვითარების გეგმებზეც.

მოწყვლადი ჯგუფები

ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ: სტიქიური უბედურების ზონაში, ქალაქში/ინდუსტრიულ ზონაში, სადაც ჰაერია დაბინძურებული; სოფლის მოსახლეობა; გარემოსთან დაკავშირებული ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანები, ისინი, ვისაც შეზღუდული წვდომა აქვს სუფთა ენერჯის წყაროებზე; სპეციფიკური კატეგორიები: ბავშვები, ახალგაზრდობა, არაფორმალური სექტორის მუშაკები, ხანდაზმულები, მიგრანტები, იძულებით გადაადგილებული პირები, თავშესაფრის მაძიებლები, საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი პირები, მოქალაქეობის არმქონე პირები, ადმინისტრაციული საზღვრების მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები თემები, საოჯახო მეურნეობის მქონე პირები (ქალები), ქალთა სპეციფიკური კატეგორიები (მაგალითად, ოჯახში ძალადობის და ტრეფიკინგის მსხვერპლი, სოფლად მცხოვრები ქალები), ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები, არადომინანტური სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის მქონე პირები და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები.

პარტნიორობა

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო; გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (მათ შორის, გარემოს ეროვნული სააგენტო, ეროვნული სატყეო სააგენტო, საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტო, სოფლის განვითარების სააგენტო და გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი); ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური (შინაგან საქმეთა სამინისტრო); დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი; ეროვნული უსაფრთხოების საბჭო/კრიზისის მართვის ეროვნული ცენტრი; საქართველოს პარლამენტი (და საპარლამენტო კომიტეტები); არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებსაც აერთიანებს პრინციპი: „არავინ დარჩეს განვითარების პროცესებს მიღმა“ (LNOB); ადგილობრივი თემები, მუნიციპალიტეტები და ადგილობრივი სამთავრობო უწყებები; კვლევითი დაწესებულებები; საერთაშორისო ორგანიზაციები; პროფესიული კავშირები; დამპირავებელთა ორგანიზაციები; ბიზნეს საზოგადოება; ქალთა და ახალგაზრდული ჯგუფები; მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.

შესაბამისი ეროვნული პოლიტიკა/სტრატეგიები

საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა 2017-2021 (NEAP 3); სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021-2027 (მიზანი 2. ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, ეკოსისტემის შენარჩუნება, კლიმატის ცვლილების ადაპტაცია); საქართველოს ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა 2014-2020; გაუდაბნობასთან ბრძოლის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამა 2014-2022; ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია 2016-2030 და სამოქმედო გეგმა 2016-2020; თბილისის მედეგობის სტრატეგია; განახლებადი ენერჯის ეროვნული სამოქმედო გეგმა; ენერგოეფექტურობის ეროვნული

სამოქმედო გეგმა (NEEAP) 2019-2020; კანონი ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ; კანონი ენერგოეფექტურობის შესახებ; კანონი ენერგოეტიკეტირების შესახებ; კანონი შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ; განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ; ახალი ტყის კოდექსი; საქართველოს გარემოსა და ჯანმრთელობის 2018-2022 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა (NEHAP-2); განახლებადი NDC/პარიზის შეთანხმება; კლიმატის სამოქმედო გეგმა; რეგიონული განვითარების პროგრამა 2018-2021; საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები; დაბალემისიანი განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია; ბავშვის უფლებათა კოდექსი.

2.5 თანამშრომლობის ხელშეწყობის შედეგების ურთიერთდაკავშირება

თანამშრომლობის ხელშეწყობაში შემოთავაზებული ხუთი გრძელვადიანი შედეგი ურთიერთდაკავშირებულია. განვითარების პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობით, გაერო საქართველოში მიაღწევს სინერგიას, რაც დააჩქარებს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას, მიუხედავად იმ გამოწვევებისა, რომელთა წინაშეც დაგვყავნა COVID-19-ის პანდემიამ. შედეგობა, როგორც საკვანძო საკითხი, არასოდეს ყოფილა ესოდენ მნიშვნელოვანი. ყველა გრძელვადიანი შედეგში, თანამშრომლობის ხელშეწყობა ყურადღებას ამახვილებს სწორედ შედეგობის უზრუნველყოფაზე. ერთი გრძელვადიანი შედეგის მიღწევა შექმნის სინერგიას სხვა შედეგებთან, თუკი უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან, რომლებიც ურთიერთდაკავშირებულია.

განსაკუთრებული ფოკუსი LNOB-ის ჯგუფებზე უზრუნველყოფს გაცილებით უფრო მაღალ უკუგებას. მაგალითად, ინვესტირება ხარისხიან განათლებაში, განსაკუთრებით, ქალებისთვის თანაბარი წვდომით (გრძელვადიანი შედეგი 2, მოკლევადიანი შედეგი 2.2) დადებით გავლენას იქონიებს ქალთა სამუშაო ძალის მონაწილეობაზე მთლიან სამუშაო ძალაში დამათი დასაქმების პერსპექტივაზე (გრძელვადიანი შედეგი 3, მოკლევადიანი შედეგი 3.3). გავლენა რეპროდუქციული ჯანმრთელობის შედეგებზე ასევე დადებითი იქნება და ეს გააუმჯობესებს ქალთა სტატუსს ოჯახსა და თემში. გაუმჯობესებულ განათლებას ქალებისა და გოგონებისთვის დაბალშემოსავლიან კვინტილებში და ეთნიკურ/რელიგიურ უმცირესობაში განსაკუთრებულად მაღალი უკუგება ექნება. ინვესტირება უნარების შექმნაში პოტენციურად შეამცირებს ემიგრაციას და სამუშაო ძალის გადინება, გარდა იმისა, რომ შექმნის უკეთეს კავშირს პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით დაფინანსებულ და ადგილობრივ ფირმებს შორის (გრძელვადიანი შედეგი 1).

ადამიანის უფლებათა სტანდარტებთან გაუმჯობესებული შესაბამისობა ხელს შეუწყობს ინკლუზიურ განვითარებას. მმართველობის უფრო გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული დაწესებულებების წახალისება (გრძელვადიანი შედეგი 1) და დიგიტალიზაციის უფრო ინტენსიური ხელშეწყობა გააუმჯობესებს სერვისების მიწოდებას და შედეგობას ისეთი კრიზისის დროსაც კი, როგორცაა პანდემია.



©UNHCR Georgia

მიუხედავად იმისა, რომ აუცილებელია სხვადასხვა სექტორებში სათანადო პოლიტიკის შემუშავება, გაუმჯობესებული მმართველობა და კანონის უზენაესობა ასევე შეუქმნის კერძო სექტორს და ბიზნესს ხელსაყრელ პირობებს აყვავებისთვის (გრძელვადიანი შედეგი 3).

პირველი გრძელვადიანი შედეგის ფარგლებში მიღწეული წარმატება წვლილს შეიტანს იმაში, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესი უფრო მეტად დაყრდნობილი იქნება და ითვალისწინებდეს გენდერულ ფაქტორს, გაძლიერდეს საზოგადოების ნდობა მმართველობის ინსტიტუტების მიმართ. კანონების არადისკრიმინაციული აღსრულება კი ხელს შეუწყობს მშვიდობის დამყარებას და უზრუნველყოფს იმას, რომ არავინ დარჩეს განვითარების პროცესებს მიღმა.

ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, კლიმატის ცვლილების მიმართ შედეგობის განვითარება და სტიქიური უბედურების რისკებთან ბრძოლა (გრძელვადიანი შედეგი 5) განსაზღვრავს ზრდისა და კეთილდღეობის მასშტაბს (გრძელვადიანი შედეგი 3). კლიმატის ცვლილებისადმი მოწყვლადობას, ბუნებრივი რესურსების (მიწა, წყალი, ტყე) ამოწურვას, დეგრადაციას და ეპიდემიას/პანდემიას შეუძლია შეზღუდოს სერვისების მიწოდება და ეკონომიკური

ზრდა. ამ რისკის მატერიალიზება გამოიწვევს უკვე მიღწეული ზრდის შენელებას. ჰაერის დაბალი ხარისხი და დაბინძურება, რომელსაც იწვევს სახიფათო ქიმიკატები (გრძელვადიანი შედეგი 5), უშუალოდ ზემოქმედებს ჯანმრთელობაზე (გრძელვადიანი შედეგი 2), პროდუქტიულობის შემცირება კი - ზრდაზე (გრძელვადიანი შედეგი 3).

სტიქიურმა უბედურებამ და პანდემიამ (გრძელვადიანი შედეგი 5) შეიძლება გადაამისამართოს რესურსები განვითარებიდან საგანგებო რეაგირებაზე და შეამციროს ფისკალური სივრცე იმისათვის, რომ მთავრობამ უზრუნველყოს სოციალური სერვისები (ჯანდაცვა, განათლება და სოციალური დაცვა), რაც არასასურველ გავლენას იქონიებს გრძელვადიან შედეგზე 2. კონფლიქტი და მშვიდობის არარსებობა ხელს უშლის ქვეყანას იმაში, რომ გადაიკვეთოს გამოყოფი ხაზები და ვაჭრობა სრული პოტენციალით ამოქმედდეს ან უზრუნველყოს სოციალური სერვისები კონფლიქტით დაზარალებული ტერიტორიების მცხოვრებლებისთვის.

თანამშრომლობის გეგმის გრძელვადიანი შედეგები განუყოფლად არის დაკავშირებული ადამიანის უფლებათა დაცვის პროცესებსა და ქვეყნის მიერ აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებთან. საქართველოს გაძლიერებული შესაძლებლობა, შესაბამებოდეს და ასრულებდეს ამ ვალდებულებებს, UPR-ს, შეთანხმების ორგანოებისა და სპეციალური პროცედურების შესაბამისად (გრძელვადიანი შედეგი 1) მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს გენდერული თანასწორობის გაუმჯობესებასა და მოწყვლადი ჯგუფების განვითარების პროცესში ჩართვაში (თანამშრომლობის ჩარჩოს ერთ-ერთი წამყვანი თემა) და გავლენას იქონიებს ყველა სხვა გრძელვადიან შედეგზე. საქართველოს აქვს რიგი დაგვიანებული ანგარიშებისა, რომლებიც უნდა წარუდგინოს შეთანხმების ორგანოებს, როგორცაა ეკონომიკური, სოციალური, და კულტურული უფლებების პაქტი (CESCR) და კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ (CAT). შემდეგი უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR) განხილვა ჩანიშნულია 2021 წლის იანვარში და მისი რეკომენდაციები სათანადო დროს აისახება თანამშრომლობის ხელშეკრულებაში.

სახელმძღვანელო პრინციპები, მათ შორის, ადამიანის უფლებათა დაცვაზე დაფუძნებული მიდგომა და გენდერული თანასწორობა, წითელ ხაზად გასდევს ხუთივე გრძელვადიან შედეგს და ხელს შეუწყობს სინერგიას. არადისკრიმინაციულობა და

კანონის უზენაესობა (გრძელვადიანი შედეგი 1) წაახალისებს სოციალურ ერთიანობას და ნდობას, რაც, თავისთავად მიზანიცაა და ინსტრუმენტიც მდგრადი ზრდისთვის. სოციალური ერთიანობისა და ნდობის ამაღლება „არავინ დარჩეს განვითარების პროცესის მიღმა“ (LNOB) პრინციპთან ერთად ხელს შეუწყობს მოწყვლადი ჯგუფების, რისკის წინაშე მყოფი ბავშვების, უმცირესობების, იძულებით გადაადგილებული პირების, თავშესაფრის მაძიებლების, საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი და მოქალაქეობის არმქონე პირების განვითარების პროცესში ჩარევას (გრძელვადიანი შედეგები 1 და 4).

ქვეყნის შესაბამისობა მრავალმხრივ გარემოსდაცვით შეთანხმებებთან (MEAs) დაეხმარება კლიმატზე მიმართული ამბიციური ადაპტაციისა და შერბილების ძალისხმევის რეალიზებას (გრძელვადიანი შედეგი 5) და სტიქიური უბედურებების მიმართ გაძლიერებულ მედეგობას.

ყოვლისმომცველი მიდგომა ეფუძნება ეროვნული პარტნიორების შესაძლებლობების განვითარებას, რაც ხელს შეუწყობს ეროვნულ საკუთრებას და შედეგების მდგრადობას. ძირითადი აქცენტი კეთდება ადგილობრივი მმართველობის სისტემების შესაძლებლობების განვითარებაზე, რათა მათ შეძლონ ხარისხიანი სერვისების მიწოდება, მათ შორის, ყველაზე მოწყვლადი ჯგუფებისთვის.

გრძელვადიანი შედეგების მიღწევა შეიძლება დაჩქარდეს გაუმჯობესებული რეგიონალური თანამშრომლობით. გარდა ამისა, საქართველო სარგებელს მიიღებს თავისი ტექნიკური სტანდარტების ევროკავშირისა და DCFTA-ის სტანდარტებთან მიახლოებით, რაც გააუმჯობესებს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობას და გზას გაუხსნის ქვეყანას უცხოური ბაზრებისკენ.²³ რეგიონული სტრუქტურების წევრობა იმოქმედებს, როგორც კატალიზატორი განვითარების გამოწვევების დაძლევისთვის. რეგიონალური თანამშრომლობა განსაკუთრებით ნაყოფიერი იქნება სტიქიური უბედურების ზონებში რისკის შემცირების, კლიმატის ცვლილების, ვაჭრობისა და კავშირგაბმულობის, მოსახლეობის გადაადგილების, წყალმომარაგების, ენერგეტიკის, მშვიდობისა და უსაფრთხოების სფეროებში და ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამების ხელშეწყობაში.

გაერო შეინარჩუნებს რეგიონალური პარტნიორობის ფასილიტატორის როლს სხვადასხვა სექტორებში, მათ შორის, სტიქიური უბედურების რისკის შემ-

.....
²³ ქვეყნის საერთო ანალიზი, 2020



©IOM/დინა ოგანოვა

ცირების სფეროში, სადაც განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა კლიმატით გამოწვეული რისკის მართვას, ტრანსსასაზღვრო მდინარეთა აუზებში წლის რესურსების მდგრად მართვას და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში წყლის რესურსების და/ან საგანგებო მართვის რეგიონალური შეთანხმებების იმპლემენტაციის ხელშეწყობას. გაერო ითანამშრომლებს რეგიონალურ ოფისებთან, რათა ხელი შეუწყოს ევროპული ინტეგრაციის დღის წესრიგს, რეგიონალურ ვაჭრობას და თანამშრომლობას საერთო პროგრამულ თემებთან დაკავშირებით, როგორცაა სოფლის მეურნეობა და სოფლის განვითარება, კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობა, უნარების განვითარება, მწვანე ზრდა, ენერგოეფექტურობა და გარემოსადმი მეგობრული წარმოება.

ერთი მხრივ, სინერგია ყველა გრძელვადიან შედეგსა და მდგრადი განვითარების სამ განზომილებას (სოციალური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი) შორის ფართოდ არის აღიარებული, თუმცა, თანამშრომლობის ხელშეკრულება ითვალისწინებს პოტენციურ კომპრომისებს და გარკვეულ წინააღმდეგობებს გრძელვადიან შედეგებსა და სამ განზომილებას შორის. კერძო სექტორის მისწრაფება დაჩქარებული ზრდისა და კეთილდღეობისკენ შეიძლება კონფლიქტში მოვიდეს გარემოსდაცვითი მდგრადობის გრძელვადიან შედეგთან, თუ

მთავრობას არ ექნება შესაძლებლობა და სურვილი, დაარეგულიროს კერძო სექტორი. გარემოსდაცვითი მიზნები ხშირად ექვემდებარება ეკონომიკურ მიზნებს. სწრაფვამ იმისკენ, რომ არავინ დარჩეს განვითარების პროცესებს მიღმა, შეიძლება გაზარდოს მომსახურების მიწოდების ხარჯი და დაუპირისპირდეს ხარჯეფექტურობის ამოცანას, რამდენადაც სამთავრობო ორგანოებს მოუწევთ შორეული, მცირე დასახლებებიც მოიცვან. არსებობს შესაძლო კომპრომისები მოკლევადიან და გრძელვადიან მიზნებს შორის, სწრაფი ზრდა და უთანასწორობა შეიძლება ასევე იყოს კონფლიქტში, რადგანაც ეკონომიკურ ზრდას, ხშირად, თან სდევს უთანასწორობის ზრდაც, როგორც ეს საქართველოს გამოცდილებიდან გამოჩნდა.

უთანასწორობის შენარჩუნება დაუპირისპირდება გრძელვადიანი ზრდის მიზნებს, თუ ყველაზე დარიბოჯახებს ექნებათ ჯამრთელობის პრობლემები და დაბალი წარმადობა ამ უთანასწორობის გამო. თუმცა ინტუიტიურად ცნობილია, რომ თანასწორი საზოგადოება მეტად ზრუნავს გარემოზე, სხვა ქვეყნებში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ მიზნად დასახული თანასწორობისკენ სწრაფვის გარემოსდაცვითი ზემოქმედება შეიძლება ორივე მიმართულებით გავრცელდეს. COVID-19-ისთვის მეტი რესურსების გამოყოფა შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს გრძელვადიანი განვი-

თარების მიზნებთან. პრევენციული ინვესტიციები, როგორცაა კატასტროფის რისკის შემცირება, მიუხედავად უკუგების მაღალი პოტენციალისა, ხშირად გადადის მეორე პოზიციაზე და ადგილს უთმობს განვითარების ყოველდღიურ, აქტუალურ, პრიორიტეტებს. ამ კომპრომისების მიუხედავად, გაერო საქართველოში მხარს და-

უჭერს მთავრობას, რომ შეცვალოს თავისი დამოკიდებულება განვითარებისადმი, როგორც „ჩვეულებრივი ბიზნესისადმი“, მინიმუმამდე შემციროს ეს კომპრომისები და განვითარების თანამშრომლობის საკვანძო პრინციპის — „არავინ დარჩეს განვითარების პროცესის მიღმა“ — დაცვით შეარბილოს სავარაუდო ნეგატიური გავლენა.

2.6 მდგრადობა

თანამშრომლობის ხელშეწყობა შემუშავებულია ეროვნულ მთავრობასთან, სხვა დაინტერესებულ მხარეებთან და საქართველოში არსებულ განვითარების პარტნიორებთან კონსულტაციის საფუძველზე. მასში განხილულია ქვეყნის წინაშე ამჟამად არსებული განვითარების გამოწვევები, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია მოყვანილი ეროვნულ პრიორიტეტებთან. საქართველომ სრულად იკისრა პასუხისმგებლობა 2030 დღის წესრიგზე და მოახდინა მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორებისა და მიზნების ნაციონალიზაცია. მდგრადი შედეგების მიღწევის მიზნით, გაერო საქართველოში ხელს შეუწყობს მდგრადი განვითარების მიზნების ინტეგრირებას ეროვნული და სუბეროვნული განვითარების დაგეგმვაში. საქართველომ ასევე შექმნა ინსტიტუციური მექანიზმი პროგრესის მონიტორინგისა და, საჭიროებისამებრ, მაკორექტირებელი ზომების მისაღებად. მთავრობამ სწრაფად და მიზანმიმართულად იმოქმედა COVID-19-ის პანდემიის წინააღმდეგ და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგების შესარბილებლად, განსაკუთრებით, მოსახლეობის იმ სეგმენტებისთვის, რომლებიც ყველაზე მეტად დაზარალდა. გაერო საქართველოში მჭიდროდ თანამშრომლობს მთავრობასთან, რათა გამოასწოროს მდგრადი განვითარების მიზნებისთვის პანდემიით მიყენებული ზიანი და დააბრუნოს ქვეყანა 2030 დღის წესრიგი მიღწევის გზაზე.

საქართველო ესწრაფვის ევროკავშირის წევრობას და ეს დააჩქარებს არა მხოლოდ ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის, არამედ მმართველობის სტრუქტურებისა და ინსტიტუციების ცვლილებას. 2030 დღის წესრიგის მაქსიმალურ შესაბამისობაში მოყვანა განვითარების ეროვნულ პოლიტიკასთან, ასევე ევროკავშირის სტანდარტებთან, გააძლიერებს მდგრადობას. სხვადასხვა იურისდიქციასთან (EU/DCFTA, EFTA, სტრატეგიული პარტნიორობისა და

თანამშრომლობის შეთანხმება გაერთიანებულ სამეფოსთან, ჩინეთთან, თურქეთთან, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებთან) თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი, ისევე, როგორც პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა (GSP) აშშ-სთან, კანადასა და იაპონიასთან, საქართველოს ექსპორტიორებს აძლევს საშუალებას, ჰქონდეთ პირდაპირი და თავისუფალი (საბაჟო გადასახადის გარეშე) წვდომა დაახლოებით 2.3-მილიარდიან ბაზართან. ეს არის შესაძლებლობა არა მხოლოდ ქართველი ექსპორტიორებისა და მწარმოებლებისთვის, არამედ რეგიონში მუშობელი ქვეყნებისთვისაც, რადგან მათაც შეუძლიათ აქედან სარგებლის მიღება. გამარტივებული საგადასახადო რეჟიმი და მცირე რაოდენობის გადასახადები ქმნის მიმზიდველ ბიზნეს შესაძლებლობებს ვაჭრობისა და ინვესტიციებისთვის.

საქართველოს შავი ზღვის პორტებს შეუძლია ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი ვაჭრობასა და ლოგისტიკაში არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ რეგიონის სხვა ქვეყნებისთვისაც, მაგალითად, აზერბაიჯანის, სომხეთისა და შუა აზიის ქვეყნებისთვის. საქართველო არის სატრანსპორტო დერეფანი, რომელიც აკავშირებს სომხეთს მის მთავარ სავაჭრო პარტნიორთან, რუსეთის ფედერაციასთან.

მნიშვნელოვანი რეგიონალური და გლობალური მილსადენები გადის საქართველოს ტერიტორიაზე: სამხრეთ კავკასიის მილსადენი (ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენი), ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენი, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი (BTC) და დასავლეთ მარშრუტის საექსპორტო მილსადენი (WREP), რომელთა მეშვეობითაც ხდება ნავთობის გადაზიდვა საქართველოს გავლით.

საქართველო არის ისეთი რეგიონალური ორგანიზაციების წევრი, როგორცაა სუამი (GUAM) და შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია (BSEC).

გაერო თავის წვლილს შეიტანს საჯარო დაწესებულებების რეგიონალური თანამშრომლობის

შესაძლებლობების განვითარებაში, რათა მხარი დაუჭიროს რეგიონალურ თანამშრომლობაზე გამიზნულ ბიზნეს ინიციატივებს.

MAPS-ის კვლევამ აჩვენა, რომ მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორების უმეტესობა შეესაბამება ევროკავშირისა და შესაბამისი სექტორების პოლიტიკის ინდიკატორებს. რამდენადაც ევროკავშირთან მიახლოება უპირველესი ეროვნული პრიორიტეტია, ჩამოყალიბდება სათანადო მიდგომები და განხორციელდება აუცილებელი რეფორმები, რათა ხელი შეუწყოს ევროპულ ინტეგრაციას. ეს დაეხმარება მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას და შედეგების მდგრადობის უზრუნველყოფას. ამასთან დაკავშირებით, 2020 წლის იანვარში საქართველოში გაეროს სააგენტოთა ჯგუფმა (UNCT) კონსულტაციები გამართა ევროკავშირთან.

შესაძლებლობების განვითარება და ეროვნული და სუბნაციონალური ინსტიტუციების გაძლიერება ხელს შეუწყობს შედეგების მდგრადობის უზრუნველყოფას. პარალელურად, ნორმატიული ჩარჩოების შესაბამისად (ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და ევროპული მოთხოვნები) ქვეყანას შემუშავებული და ინსტიტუციონალიზებული ექნება თავისი ვალდებულებების შესრულების მექანიზმი. ეს უზრუნველყოფს მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დაცვას და, შესაბამისად, „არავინ დარჩეს

განვითარების პროცესებს მიღმა“, როგორც მთავარი სახელმძღვანელო პრინციპი, უცვლელი დარჩება 2025 წლის შემდეგაც. მსგავსი ზეგავლენა არის მოსალოდნელი ქვეყნის მიერ მრავალმხრივი გარემოსდაცვითი შეთანხმებების შესრულებისასაც: თანამშრომლობის გეგმის ციკლის დასასრულს და გაეროს დახმარებით, ქვეყანას შემუშავებული ექნება ინსტიტუციური მექანიზმები და განვითარებული ექნება შესაძლებლობები კლიმატის ცვლილებაზე მიმართული ღონისძიებების მენისტრიმინგისა და სტიქიური უბედურების რისკის შემცირებისთვის, ისევე, როგორც ანგარიშგებისთვის, მრავალმხრივი გარემოსდაცვითი შეთანხმებებიდან გამომდინარე საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად. ეს ხელს შეუწყობს შედეგების მდგრადობას კლიმატზე მიმართული ქმედებებისა და გარემოსდაცვითი მმართველობის სფეროში.

გაეროს რეფორმის ფარგლებში, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა პოლიტიკის მხარდაჭერას და სისტემურ ცვლილებებს. ინტერვენციები, რომლებიც კატალიზატორის როლს შეასრულებს და გამიზნული იქნება ინოვაციებზე, შეადგენს თანამშრომლობის ხელშეკრულების მნიშვნელოვან ნაწილს და მდგრადობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი ფაქტორი იქნება. მსგავსად ამისა, გაუმჯობესებული მმართველობის გრძელვადიანი შედეგები, პოლიტიკის შესაბამისობის და სექტორების კოორდინაციის თვალსაზრისით, უზრუნველყოფს



©UNHCR/ფონდი არველაძე



©UNDP Georgia

შედეგების მდგრადობას თანამშრომლობის გეგმის იმპლემენტაციის პერიოდის დასრულების შემდეგაც კი. „აღვადგინოთ უკეთესად“ პრინციპის

2.7 გაეროს შედეგებითი უპირატესობები და საქართველოში გაეროს სააგენტოთა ჯგუფის კონფიგურაცია

გაეროს სააგენტოთა ჯგუფი (UNCT) საქართველოში შედგება 14 რეზიდენტი და 4 არარეზიდენტი სააგენტოს, ფონდისა და პროგრამისგან. რეზიდენტ სააგენტოებში ცვლილება არ მომხდარა, ხოლო არარეზიდენტი ხელმძღვანელების რაოდენობა არის 2. გაეროს სააგენტოთა ჯგუფი არის მთავარი სააგენტოთაშორისი გადაწყვეტილების მიმღები და მაკორდინირებელი ორგანო პროგრამებსა და საოპერაციო საკითხებში. გაეროს სააგენტოთა ჯგუფი განიხილავს პროგრესს თანამშრომლობის გეგმის ფარგლებში, ამზადებს ანგარიშებს პროგრესის შესახებ და წარუდგენს მათ საქართველოს მთავრობას ერთობლივი მმართველი საბჭოს მეშვეობით და, საჭიროებისამებრ, კორექცია შეაქვს მიმდინარეობაში.

ერთად, გაეროს ოჯახი წარმოადგენს ინდივიდუალურ და კოლექტიურ ძალას, რომელიც მოიცავს ტექნიკურ ექსპერტიზას, ცოდნას, გამოცდილებას და მთავრობისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ნდობას. მისი ქმედებები არის გამჭვირვალე და ეფექტური. გაერო მთავრობის დიდი ხნის პარტნიორია და მხარს უჭერს მთავრობას

წახალისებით, რომელიც აერთიანებს კატასტროფის რისკის შემცირების და მდგრადი განვითარების პრინციპებს, გაერო საქართველოში გამოიყენებს COVID-19-ის პანდემიას და სხვა კლიმატურ საგანგებო ვითარებებს, როგორც შესაძლებლობას, შექმნას უფრო მედეგი საზოგადოება და უზრუნველყოს მედეგობის მეინსტრიმინგი, როგორც მდგრადი განვითარების სახელმძღვანელო პრინციპი.

2020 წლის 29 იანვრის პარტნიორების ფორუმზე დიდი ყურადღება დაეთმო მდგრადი განვითარების მიზნებს და ხაზი გაესვა საქართველოს განვითარების ამბიციური დღის წესრიგის მისაღწევად მთელი საზოგადოების ჩართულობას. განვითარების ყველა პარტნიორის სახელით, ხაზი გაესვა იმას, რომ მათი ძალისხმევა ფოკუსირებული იქნება მხოლოდ მდგრად შედეგებზე, რომლებიც დაეხმარება ინკლუზიურ ზრდას და დუბლირების თავიდან აცილებას.

ეროვნული განვითარების მიზნების და პრიორიტეტების მიღწევაში. გაეროს სისტემა იყენებს ცოდნას, პარტნიორობას და რესურსებს და არის საერთაშორისო ადამიანის უფლებებისა და ფასეულობების დამცველი. სისტემა არის მრავალმხრივი ჩართულობისა და განვითარების დისკურსის ფასილიტატორი და ორგანიზატორი; ცოდნის გამტარებელი; რეგიონალური/გლობალური საუკეთესო გამოცდილების გამოიარებული და პარტნიორი, რომელიც გვთავაზობს პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზებს. თავისი რეგიონალური და გლობალური წარმომადგენლობის გათვალისწინებით, გაერო ასევე მონაწილეობს ტრანსსასაზღვრო პარტნიორობასა და თანამშრომლობაში. იგი ყოველთვის სწრაფად რეაგირებდა ეროვნულ საჭიროებებზე, მათ შორის, საგანგებო სიტუაციებზე, როგორცაა COVID-19-ის პანდემია და ის ყოველთვის იყო საქართველოს სანდო და მიუკერძოებელი პარტნიორი.

გაერო საქართველოში მნიშვნელოვან როლს ასრულებს განვითარების კოორდინაციაში. ეს როლი გამოყენებულ იქნება მდგრადი განვითარების მიზნებისა და 2030 დღის წესრიგის მიღწევის პროგრესის გაუმჯობესებისთვის, განვითარების პარტნიორებთან სინერჯის უზრუნველყოფით და დუბლირების თავიდან აცილებით. სექტორებში მდგრადი განვითარების მიზნებისთვის შეიქმნა შედეგების ჯგუფები, განვითარების პარტნიორების/დონორების, მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების ფარ-

თო წარმომადგენლობით, რომლებიც განვითარების კოორდინაციის ძლიერი მექანიზმია. გაერო საქართველოში მჭიდროდ ითანამშრომლებს პარტნიორებთან მთავრობიდან, ადგილობრივი თვითმმართველობიდან, განვითარების პარტნიორებთან, მათ შორის, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან, ქვეყნისა და საერთაშორისო სამოქალაქო საზოგადოებასთან, კერძო სექტორსა და მედიასთან.

კონსენსუსი, 2030 დღის წესრიგისა და განვითარების პრიორიტეტებთან დაკავშირებით, მიღწეულ იქნა განვითარების წლიურ ფორუმებზე, რომელთაც ხელმძღვანელობდა მთავრობა, ხოლო შეთანხმება იდენტიფიცირებულ მოწყვლად ჯგუფებზე, ურთიერთკავშირზე ასოცირების ხელშეკრულებასა და მდგრადი განვითარების მიზნების ჩარჩოს შორის და განვითარების პარტნიორების/დონორების პროგრამების ციკლის თანხვედრა გაეროს თანამშრომლობის ხელშეკრულებასთან კარგი ნიშანი და სანდო დასაყრდენია.

გაეროს სააგენტოთა ჯგუფის კონფიგურაცია იმისთვის შემუშავდა, რომ შეფასებულიყო გაეროს სააგენტოთა ჯგუფის ტექნიკური, საოპერაციო და ფინანსური შესაძლებლობები სტრატეგიული პრიორიტეტების, გრძელვადიანი და მოკლევადიანი შედეგების მისაღწევად 2021-2025 წლების გაეროს მდგრადი განვითარების თანამშრომლობის ხელშეკრულების (UNSDCF) შესაბამისად. კონფიგურაციის შემუშავების პროცესი განხორციელდა გაეროს 16 სააგენტოს შორის, რომელთაგან 13 არის რეზიდენტი სააგენტო. კონფიგურაციის შემუშავებისთვის გამოიყენეს მონაწილეობითი მიდგომა. გაეროს სააგენტოებს სთხოვეს, გაეკეთებინათ სხვადასხვა სფეროში თავიანთი შესაძლებლობების თვითშეფასება. კონფიგურაციის ეს მოდელი გაიზიარა და მოიწონა საქართველოს მთავრობამაც, შემდეგ კი მოხდა მისი დანერგვა.

COVID-19-ის პანდემიის შემდგომი მოვლენები გლობალურ და რეგიონალურ დონეზე და ქვეყნის სწრაფვა ევროკავშირთან მიახლოებისკენ დიდ გავლენას მოახდენს საქართველოს განვითარების ტრაექტორიაზე 2030 წლის დღის წესრიგის მიმართულებით. ეკონომიკის მცირე ზომის და დემოგრაფიული მდგომარეობის ცვლილების გათვალისწინებით, ზრდის პოტენციალის რეალიზებისთვის, ქვეყანა უნდა გახდეს რეგიონალური თანამშრომლობის განუყოფელი ნაწილი. გაეროს საქართველოში კარგად აქვს გააზრებული ეს კონტექსტი, ამიტომ ის განაგრძობს რეკონფიგურაციას და რეგიონალურ მხარ-

დამჭერ მექანიზმებთან მჭიდრო კავშირში, ითანამშრომლებს მთავრობასთან 2030 დღის წესრიგის განხორციელებისთვის.

საბოლოო შეფასების თანახმად, გაეროს სააგენტოთა ჯგუფს მისი ამჟამინდელი ფორმით, აქვს აუცილებელი ტექნიკური, ფუნქციონალური და საოპერაციო გამოცდილება და შესაძლებლობები, რათა შეძლოს თანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში ადგილობრივი ვალდებულებების შესრულება. გაეროს სააგენტოებს აქვთ ძლიერი მხარდაჭერა თავიანთი შესაბამისი რეგიონალური ოფისებიდან (და სათაო ოფისებიდან), რომელიც შეიძლება იქნას გამოყენებული ცოდნის, რესურსების და ტექნიკური ექსპერტიზისთვის. გაეროს სააგენტოთა ჯგუფი განაგრძობს რამდენიმე სფეროს გაუმჯობესებას, იმისათვის, რომ მოახდინოს სათანადო რეაგირება შექმნილ სიტუაციაზე. გაეროს სააგენტოები იყენებენ სხვადასხვა ბიზნეს მოდელებს, ეროვნული საჭიროებებიდან და პრიორიტეტებიდან გამომდინარე. ისინი უზრუნველყოფენ სინერგიას სისტემის შიგნით და განვითარების სხვა პარტნიორებთან, რათა თავიდან აიცილონ დუბლირება. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა გაეროს არარეზიდენტ სააგენტოებს, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი ჩართულობა თანამშრომლობის ხელშეკრულების იმპლემენტაციის პროცესში. გაერო საქართველოში იმუშავებს ხარჯეფექტურად, განახორციელებს რა ერთობლივ პროგრამებს და, შეძლებისდაგვარად, გამოიყენებს ერთობლივ ოპერაციებს. კონფიგურაციის გადახედვა მოხდება ყოველწლიურად, თუმცა, გაეროს სააგენტოები იღებენ ვალდებულებას, შეატყობინონ პარტნიორებს გაეროს სააგენტოთა ჯგუფის კონფიგურაციის ნებისმიერი ცვლილების შესახებ, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მათ მიერ შედეგების მიღწევაზე თანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში.

დაფინანსების ჩარჩოს შემუშავება, მდგრადი განვითარების მიზნების საერთო დაფინანსების შესაბამისად, განხორციელდება თანამშრომლობის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ. გაეროს დაფინანსება არის კატალიზური და ის გამოიყენება სხვა ინოვაციური და არატრადიციული წყაროების მობილიზაციისთვის და, ასევე, არის დამხმარე, რამდენადაც ის არის მდგრადი განვითარების მიზნებისთვის არსებული, გაცილებით უფრო მსხვილი ფინანსური წყაროების ნაწილი (საჯარო და კერძო, შიდა და გარე). გაეროს დაფინანსება ასევე დაეყრდნობა სხვა განვითარების პარტნიორების კონტრიბუციის შეფასებას და გამოყენებას.



თავი 3: თანამშრომლობის ხელშეკრულების განხორციელების სქემა



©UNDP/ვლადიმირ ვალიშვილი

3.1 განხორციელების სტრატეგია და სტრატეგიული პარტნიორობა

მრავალმხრივი ჩართულობა

2030 წლისთვის დასახული მიზნების მიღწევა მოითხოვს მრავალმხრივ ჩართულობას. საქართველოში გაეროს ფართომასშტაბიანი თანამშრომლობა აქვს მთავრობასთან, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან, ორმხრივი განვითარების პარტნიორებთან, კერძო სექტორთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან, სამეცნიერო წრეებსა და მედიასთან. როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოში გაეროს მუდმივი კოორდინატორი

არის განვითარების პარტნიორთა საკოორდინაციო ჯგუფის თავმჯდომარე და განვითარების პარტნიორთა ყოველწლიური ფორუმის თანათავმჯდომარე პრემიერ-მინისტრთან და მთავრობის ადმინისტრაციის უფროსთან ერთად, რომელიც მდგრადი განვითარების მიზნების საბჭოს ხელმძღვანელობს. ამდენად, ყველა პარტნიორი ჩართული იქნება სამუშაო პროცესში, რაც ხელს შეუწყობს 2030 წლის დღის წესრიგის სტრატეგიულ კოორდინაციას.

გრძელვადიანი შედეგი ინკლუზიური და მყარი ეკონომიკის თვალსაზრისით, მოითხოვს კერძო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობას და სამუშაო ადგილების შექმნას, ასევე, საზოგადოების პრობლემების გადაჭრისადმი საქმიან მიდგომას. კერძო სექტორისთვის გაუმჯობესებული საინვესტიციო კლიმატის და

მთავრობის მიერ ხელსაყრელი გარემოს შექმნის პირობებში, გაერო შეეცდება დაამყაროს პარტნიორული ურთიერთობა კერძო სექტორთან, საქველმოქმედო ორგანიზაციებთან და ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ზრდა იყოს მეტად ინკლუზიური ქალებისა და მოწყვლადი ჯგუფებისთვის, როგორცაა დევნილები (მათ შორის ეკომიგრანტები) და შშმ პირები. ამის მიღწევა შესაძლებელია კორპორატიული, სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამების ინსტიტუციონალიზაციით და ძლიერი ბიზნეს მაგალითის შექმნით, რომელიც უფრო ინკლუზიური ზრდისთვის კერძო სექტორს ჩართავს ისეთ საკითხებში, როგორცაა ადამიანის უფლებები, გენდერული თანასწორობა, ადამიანური კაპიტალის ინვესტირება (უნარების გამოყენებით), მდგრადი წარმოება და გარემოსდაცვითი მდგრადობა. გარდა ფინანსური რესურსებისა და ინოვაციებისა, კერძო სექტორს შემოაქვს პარტნიორთა (მათ შორის, პოლიტიკის შემქმნელთა) ფართო ქსელი.

ზემოთ აღინიშნა, რომ განვითარების ბევრი პარტნიორი იმყოფება თანამშრომლობისა და მხარდაჭერის სტრატეგიის შემუშავების პროცესში ან უკვე შემუშავებული აქვს ამგვარი სტრატეგია. ეს შესაძლებლობა გამოყენებულია შენიშვნებისა და ინფორმაციის გაცვლისთვის, რაც უზრუნველყოფს მხარდაჭერის ორმხრივ ხელშეწყობას. მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი გაეროს სააგენტოთა ჯგუფის წევრები არიან. 2019 წლის მეორე ნახევარში კი სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიც შეუერთდნენ განვითარების პარტნიორთა კოორდინაციის ჯგუფს. ეს ექვსი თემატური/სექტორული სამუშაო ჯგუფი, რომელთა თანათავმჯდომარეები არიან ერთი, შესაბამისი სამინისტრო და განვითარების პარტნიორთა ერთი წარმომადგენელი, სექტორებს შორის კოორდინაციისა და თანამშრომლობის ბრწყინვალე მექანიზმია, რომელიც ქმნის სინერგიას და საშუალებას იძლევა თავიდან ავიცილოთ დუბლირება.

მდგრადი განვითარების მიზნების საბჭოს (SDG საბჭო) (რომლის თანათავმჯდომარეები არიან მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი და გაეროს მუდმივი კოორდინატორი) აქტიური მონაწილეობა ასევე გაამდიდრებს 2030 წლის დღის წესრიგს და ხელს შეუწყობს მდგრადი განვითარების მიზნების მნიშვნელოვან პროგრესს, მათ შორის, იმითაც, რომ განვითარების პარტნიორები თანამშრომლობის საკუთარ სტრატეგიულ სფეროებს მთარგმნენ მდგრადი განვითარების მიზნებს.

სამოქალაქო საზოგადოება უკვე დიდი ხანია თანამშრომლობს გაეროსთან საქართველოში და



©UNDP/ვლადიმერ ვალიშვილი

ეს თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდება. სამოქალაქო საზოგადოებას შეეძლება შესაძლებლობა, გააძლიეროს თავის როლი ცვლილებების ადვოკატირების საქმეში და თვალყური მიადევნოს ადამიანის უფლებების დაცვას და სოციალურ-ეკონომიკურ რეფორმებსა და პოლიტიკას. სამოქალაქო საზოგადოების სიახლოვე ხალხთან და მოპოვებული ნდობა, ასევე ადგილობრივი თავისებურებების ცოდნა გამოყენებულ იქნება მეტი ინკლუზიურობის მისაღწევად. საქართველოში სამოქალაქო საზოგადოება გაეროს ბუნებრივი პარტნიორია და ის გთავაზობს მუშაობის ინკლუზიურ ფორმებს. მას ასევე ეფექტურად შეუძლია წინ წამოწიოს პრინციპი „არავინ დარჩეს განვითარების პროცესის მიღმა“. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ხშირად მუშაობენ საზოგადოების მარგინალიზებულ სემენტებთან, რომლებიც ამ თანამშრომლობის გემის მთავარ სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ. მათი მხარდაჭერა ჯანდაცვის, განათლების და სოციალური დაცვის მომსახურების უზრუნველყოფის საქმეში ძალზე მნიშვნელოვანი იქნება. სამოქალაქო საზოგადოებას ასევე საკმარისად მყარი პოზიცია აქვს იმისთვის,

რომ მთავრობა უფრო ანგარიშვალდებული გახადოს, ხოლო ადგილობრივი ადმინისტრაცია კი — უფრო გამჭვირვალე და გულისხმიერი. გაერო იმუშავებს სამოქალაქო საზოგადოებისთვის შესაძლებლობების შექმნაზე და გააფართოებს სამოქალაქო სივრცეს მათ ორგანიზაციებთან თანამშრომლობისას, რათა ხელი შეუწყოს დიალოგს და საერთო ძალისხმევით მოხდეს ცვლილებების ადვოკატირება.

გაეროს საქართველოს ოფისი უზრუნველყოფს მიუკერძოებელ დასანდო პლატფორმას განვითარების

დისკურსის ორგანიზებისთვის სტრატეგიული საკითხების გარშემო სხვადასხვა პარტნიორობთან, მათ შორის, სამეცნიერო წრეებსა და მედიასთან და დაეხმარება მთავრობას დასახული განვითარების მიზნების მიღწევაში. იმისათვის, რომ გაეროს მუშაობა უფრო ეფექტური და წარმატებული იყოს იგი არა მხოლოდ გაეროს შიდა კოორდინაციას შეუწყობს ხელს, არამედ — სხვებსაც. გაეროს მუდმივი კოორდინატორი განაგრძობს განვითარების პარტნიორობებს შორის (მათ შორის გაეროს) და განვითარების პარტნიორობებსა და მთავრობას შორის კოორდინაციის ფასილიტაციას.



©UNDP/ვლადიმირ ვალიშვილი

3.2 ერთობლივი სამუშაო გეგმები

ერთობლივი სამუშაო გეგმები (JWP) არის მექანიზმი, რომელიც აუცილებელია თანამშრომლობის გეგმის ოპერირებისთვის. ეს გეგმები მრავალწლიანია და მოიცავს დაგეგმილ აქტივობებს და რესურსების კონტრიბუციას გაეროს სააგენტოების მხრიდან, რაც ხელს შეუწყობს მოკლევადიანი შედეგების მიღწევას და, შესაბამისად, წვლილს შეიტანს გრძელვადიანი შედეგების მიღწევაში. ერთობლივი სამუშაო გეგმა შეიცავს ინფორმაციას მოკლევადიანი შედეგების,

მიზნებისა და იმ დაფინანსების შესახებ, რომლიც ხელმისაწვდომია ან რომლის მობილიზებაც აუცილებელია მოკლევადიანი შედეგების მისაღებად. სააგენტოებს არ ევალებათ ცალკე სამუშაო გეგმების მომზადება და ერთობლივი სამუშაო გეგმა ჩაანაცვლებს თითოეული სააგენტოს სამუშაო გეგმას.

ერთობლივი სამუშაო გეგმა არის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი, რამდენადაც მისი მეშვეობით შესაძლებელია დუბლირების და ფრაგმენტული მიდგომის თავიდან აცილება და გაეროს მასშტაბით ქვეყნისათვის კოლექტიური პროგრამირების შესაბამისობის უზრუნველყოფა. JWP-ი არ ჩაანაცვლებს


გაეროს სააგენტოების საკუთარ სამუშაო გეგმებს, მაგრამ, ეს ორი გეგმა ერთმანეთის სარკისებრი ანარეკლი იქნება, სააგენტოები გადაიღებენ მოკლედ და გრძელვადიან შედეგებს და შესაბამის ინდიკატორებსა და აქტივობებს JWP-დან.

ერთობლივი სამუშაო გეგმები ასევე ქმნის ეფექტურ საფუძველს წლიური მიმოხილვისა და ქვეყნის შედეგების ანგარიშისთვის. ამ დოკუმენტებს ამზადებს შედეგების ჯგუფები და დაასრულებს გაეროს მუდმივი კოორდინატორის ოფისი, თანამშრომლობის ხელშეკრულების შესაბამისად გაეროს სააგენტოების მიერ აღებული ვალდებულებების საფუძველზე.

ერთობლივი სამუშაო გეგმები, საქართველოს მდგრადი განვითარების მიზნების გეგმის და ეროვნული პრიორიტეტების შესაბამისად, გადაიხდება ყოველწლიურად, რათა მოხდეს პროგრესის შეფასება და შესწორებების შემოთავაზება, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ერთობლივ სამუშაო გეგმებში ასახული მოკლევადიანი შედეგები იმ შუალედური, მოკლევადიანი შედეგების (ან აქტივობების) ერთობლიობაა, რომელიც „სააგენტოების კონტრიბუციას“ წარმოადგენს იმ მოკლევადიანი შედეგებისთვის, რომლებზეც ისინი არიან ანგარიშვალდებული.

ერთობლივი სამუშაო გეგმები ციფრულ ფორმატში აიტვირთება UN INFO-ში. შედეგების ჯგუფები აწარმოებენ ჩანაწერებს, მოამზადებენ ანგარიშებს და, საჭიროებისამებრ, განახლებენ JWP-ებს უშუალოდ UN INFO-ში.

ერთობლივი სამუშაო გეგმები ციფრულ ფორმატში აიტვირთება UN INFO-ში. შედეგების ჯგუფები აწარმოებენ ჩანაწერებს, მოამზადებენ ანგარიშებს და, საჭიროებისამებრ, განახლებენ JWP-ებს უშუალოდ UN INFO-ში.



©UNDP Georgia

3.3. მმართველობა

კოორდინაციის მექანიზმები

საქართველოში გაეროს საერთო საკონტაქტო და მაკოორდინირებელი ორგანო იქნება საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია/პრემიერ-მინისტრის კანცელარია. გაეროს მხრიდან მონაწილე სააგენტოები, ფონდები და პროგრამები (რეზიდენტი თუ არარეზიდენტი) იმუშავებენ თავიანთი შესაბამისი მაკოორდინირებელი ორგანოების მეშვეობით და გაეროს მუდმივი კოორდინატორის საერთო ხელმძღვანელობით.

საქართველოში გაერო იმოქმედებს გაეროს გლობალური რეფორმის შესაბამისად და იმუშავებს თანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში, რომელიც ეფუძნება გაეროს მაკოორდინირებელ ფუნქციას, ხელს უწყობს გაძლიერებულ ანგარიშვალდებულებას საქართველოს და მისი მოსახლეობის წინაშე, ეყრდნობა ეროვნული საკუთრების პრინციპს, ხელს უწყობს რისკის მიმართ მდგრადობასა და მგრძობელობას და

სათავეს იღებს გაეროს ნორმატიულ მანდატში. მისი შემდგომი იმპლემენტაცია და მონიტორინგი შეესაბამება მდგრადი განვითარების ეროვნულ მიზნებს და ინდიკატორებს.

გაეროსა და ქვეყნის ერთობლივი სამეთვალყურეო საბჭო (JSC) იქნება უმაღლესი მმართველი ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს თანამშრომლობის გეგმის სტრატეგიულ მიმართულებას და განახორციელებს საერთო საქმიანობისა და პროგრესის მონიტორინგს და მიმოხილვას. საბჭოს თანათავმჯდომარეები იქნებიან პრემიერ-მინისტრი²⁴ და გაეროს მუდმივი კოორდინატორის საქართველოში — გაეროს ოფისის სახელით. მთავრობასთან კონსულტაციის საფუძველზე, ერთობლივი სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში შევლენ ძირითადი განვითარების პარტნიორები, როგორ-

²⁴ პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია მიავლინოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი თავის წარმომადგენლად ერთობლივი სამეთვალყურეო საბჭოს შეხვედრებზე.

რიცაა ევროკავშირი, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები, ორმხრივი განვითარების პარტნიორები/დონორები ან კერძო სექტორის და სამოქალაქო საზოგადოების, მათ შორის, საჭიროებისამებრ, მოსახლეობის კონკრეტული ჯგუფების წარმომადგენლები.

JSC შეიკრიბება მინიმუმ წელიწადში ერთხელ, რათა განიხილოს პროგრესი თანამშრომლობის გეგმის ფარგლებში, ერთობლივი სამუშაო გეგმის საფუძველზე და ანგარიშები პროგრესის შესახებ, რომლებსაც მოამზადებს გაეროს სააგენტოთა ჯგუფი. მუდმივი კოორდინატორი კი წარადგენს გაეროს წლიური შედეგების ანგარიშს, რომელიც მოიცავს გაეროს სააგენტოთა ჯგუფის მიღწევებს, გამოწვევებს, შესაძლებლობებს, მიგნებებს და ადაპტირების ზომებს თანამშრომლობის გეგმის ფარგლებში. ერთობლივი სამეთვალყურეო საბჭო პერიოდულად განიხილავს გაეროს სააგენტოთა ჯგუფის კონფიგურაციასაც.

გაეროს სააგენტოთა ჯგუფი (UNCT)

გაეროს სააგენტოთა ჯგუფი არის გადაწყვეტილების მიმღები და მაკოორდინირებელი უმაღლესი ორგანო ქვეყანაში, რომელიც შედგება რეზიდენტი და არარეზიდენტი სააგენტოების, ფონდებისა და პროგრამებისგან. მისი თავმჯდომარე არის გაეროს მუდმივი კოორდინატორი და ის უზრუნველყოფს 2030 დღის წესრიგის და გაეროს საკოორდინაციო საკითხების ტექნიკურ ხელმძღვანელობას. UNCT-ი აჯამებს პროგრესს, ხელმძღვანელობს და მიმართულებას აძლევს შედეგების, თემატურ და პროგრამის მხარდაჭერის (მათ შორის OMT) ჯგუფებს. ორმაგი ანგარიშვალდებულების სისტემა იძლევა იმის გარანტიას, რომ ქვეყნის წარმომადგენლები სრულად ანგარიშვალდებული იქნებიან მათი შესაბამისი უწყებების წინაშე ინდივიდუალური მანდატებით, ხოლო მუდმივი კოორდინატორს წარუდგენენ პერიოდულ ანგარიშებს საკუთარი საქმიანობისა და იმის შესახებ, თუ რა წვლილი შეიტანეს გაეროს განვითარების სისტემის საქმიანობაში 2030 დღის წესრიგის მიღწევის მიმართულებით ქვეყნის დონეზე გაეროს მდგრადი განვითარების თანამშრომლობის ხელშეკრულების საფუძველზე („თანამშრომლობის ხელშეკრულება“).

მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) საბჭო

მდგრადი განვითარების მიზნების უწყებათაშორისი საბჭო (SDG საბჭო), რომლის თანათავმჯდომარეები არიან გაეროს მუდმივი კოორდინატორი და მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი, ისევე, როგორც საბჭოსთან არსებული ოთხი თემატური სამუშაო ჯგუფი, წარმოადგენს თანამშრომლობის გეგმის იმპლემენტაციის მნიშვნელოვან ნაწილს. საბჭო პასუხისმგებელია SDG მიზნებსა და ინდიკატორებზე, პროგრესის შესახებ ანგარიშებისთვის სტატისტიკური მონაცემების შეგროვებაზე (მათ შორის, ნებაყოფლობითი ეროვნული მიმოხილვა), SDG-ის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე, განვითარების დაგეგმვასა და პოლიტიკის შემუშავებაში SDG-ის ჩართვაზე, მისი იმპლემენტაციის წარმართვასა და მონიტორინგზე და იმპლემენტაციასთან დაკავშირებული საკითხების მონიშვნაზე. თანამშრომლობის ხელშეკრულების იმპლემენტაციის პროცესში მდგრადი განვითარების საბჭოსთან თანამშრომლობა გააუმჯობესებს სექტორის კოორდინაციას და ხელს შეუწყობს მდგრადი განვითარების ურთიერთდაკავშირებული მიზნების მნიშვნელოვან წარმატებას.

გაეროს შედეგების ჯგუფები

შედეგების ჯგუფები „თანამშრომლობის ხელშეკრულების“ მმართველობის სტრუქტურის განუყოფელი ნაწილია, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის იმპლემენტაციის თანამიმდევრულობას, რელევანტურობასა და ეფექტურობას. ეს არის ერთობლივი სამუშაო ჯგუფები, რომლებიც იქმნება გაეროსა და მთავრობის მიერ. ყოველი გრძელვადიანი შედეგის სფეროსთვის იქმნება ერთი შედეგების ჯგუფი. რამდენადაც არსებობს გრძელვადიანი შედეგების 5 სფერო, გაეროს სააგენტოთა ჯგუფი შექმნის ხუთ შედეგების ჯგუფს, რათა ხელი შეუწყოს თანამშრომლობის ხელშეკრულების იმპლემენტაციას შემდეგი მიმართულებებით:



©UNDP/ვლადიმირ ვალიშვილი

1. ეფექტური, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული ინსტიტუციები;
2. თანაბარი და ინკლუზიური წვდომა ხარისხიან სერვისებზე;
3. ინკლუზიური ეკონომიკა და ადამიანური კაპიტალის განვითარება (სამუშაო ადგილები/საარსებო სახსრები);
4. ადამიანის უსაფრთხოება და მედეგობა,
5. გარემოს დაცვა და კლიმატის ცვლილება.

შედეგების ჯგუფების წევრები არიან: გაეროს მონაწილე სააგენტოების, ფონდების და პროგრამების (რეზიდენტი და არარეზიდენტი) და მთავრობის წარმომადგენლები. დამატებითი, გარეშე წევრები შეიძლება შეუერთდნენ ჯგუფებს საჭიროებისამებრ. ყოველი შედეგების ჯგუფის თავმჯდომარე ან თანათავმჯდომარე იქნება გაეროს სააგენტოს ხელმძღვანელი ან დანიშნული ზემდგომი წარმომადგენელი.

ეს ჯგუფები იმუშავებენ, როგორც ტექნიკური ჯგუფები და კოორდინაციას გაუწევენ მოკლე და გრძელვადიანი შედეგების მიღწევასთან დაკავშირებულ საქმიანობას. მუდმივი კოორდინატორის მხარდაჭერით, ისინი აღწევენ პროგრესს, გამოწვევებს, შესაძლებლობებსა და მიგნებებს და თავის მოსაზრებებს მიაწვდიან ერთობლივ სამეთვალყურეო საბჭოს. მათ ეკისრებათ გარანტიორის ფუნქცია გაეროს სააგენტოთა ჯგუფის, განვითარების საზოგადოებისა და ზოგადად ხალხის წინაშე. შედეგების და რისკების მუდმივი მონიტორინგი საუკეთესო პირობებს უქმნის მათ იმისთვის, რომ ერთობლივი სამუშაო გეგმის მეშვეობით რეკომენდაცია გაუწიონ თანამშრომლობის გეგმის კურსის კორექციას. გაეროს მუდმივი კოორდინატორის ხელმძღვანელობით და მისი ოფისის დახმარებით, შედეგების ჯგუფები მო-

აზალებენ და ზედამხედველობას გაუწევენ ერთობლივ სამუშაო გეგმას და შეიკრიბებიან წელიწადში მინიმუმ ორჯერ, საჭიროებისამებრ, ორგანიზებულ შეხვედრებზე.

ასევე, ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციისა და მუდმივი კოორდინატორის ოფისის მხარდაჭერით, შედეგების ჯგუფები მოამზადებენ საქმიანობის წლიურ მიმოხილვას ერთობლივი სამეთვალყურეო საბჭოს შეხვედრებისთვის. ისინი ითანამშრომლებენ მონიტორინგის, შეფასებისა და სწავლების გეგმის (MEL) ჯგუფთან და მონაწილეობას მიიღებენ მისი გეგმის განხორციელებაში. მთავარ შედეგებს ჯგუფები გაუზიარებენ გაეროს კომუნიკაციების ჯგუფს (UNCG) ერთობლივი კომუნიკაციისა და ადვოკატირებისთვის. ისინი განსაზღვრავენ სააგენტოებს შორის თანამშრომლობის გაუმჯობესების შესაძლებლობებს, მათ შორის, ერთობლივი პროგრამების განხორციელებით. შედეგების ჯგუფები შეეცდებიან თავიანთი საქმიანობა შეუსაბამონ სხვა არსებული სექტორული ჯგუფების მუშაობას, მაგალითად, მთავრობის მიერ შექმნილ ჯგუფებს და ექვს ერთობლივ სექტორულ სამუშაო ჯგუფს, რომლებსაც შექმნიან განვითარების პარტნიორები. შედეგების ჯგუფები წარმოადგენენ მნიშვნელოვან პლატფორმას სახელმძღვანელო პრინციპების, მათ

შორის, „არავინ დარჩეს განვითარების პროცესებს მიღმას“ (LNOB) შემდგომი გათვალისწინებისთვის და გაეროს სააგენტოების მიერ ამ პრინციპების ერთიანი და თანმიმდევრული დაცვისთვის.

გაეროს თემატური და პროგრამის მხარდაჭერის ჯგუფები

გაეროს საქართველოს ოფისმა შექმნა შემდეგი თემატური და პროგრამის მხარდაჭერის ჯგუფები თანამშრომლობის გეგმის იმპლემენტაციის ხელშეწყობად:

გაფართოებული გენდერის თემატური ჯგუფი (GTG) მოიცავს გენდერის სფეროს ყველა საკონტაქტო პირს სააგენტოებიდან, ასევე განვითარების პარტნიორების ძირითად საკონტაქტო პირებს, რომლებიც მუშაობენ გენდერულ თანასწორობაზე და ქალთა გაძლიერებაზე. GTG-ის თავმჯდომარეობს გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women). გენდერის თემატური ჯგუფი მოქმედებს, როგორც გაეროს პროგრამებში გენდერული სა-

კითხების გათვალისწინების ტექნიკური მხარდაჭერის ჯგუფი, მოთხოვნების შესაბამისად ზრდის პერსონალის შესაძლებლობებს გენდერის სფეროში და კოორდინირებას უწევს სააგენტოების მონაწილეობას გენდერული თანასწორობის და ქალთა გაძლიერების მიმართულების მუშაობაში. ის ასევე ხელმძღვანელობს გაეროს სისტემის სამოქმედო გეგმის (UNSWAP) ანგარიშის მომზადებას, რომელიც აფასებს თუ რამდენად ითვალისწინებს გაერო გენდერული თანასწორობას სხვადასხვა პროგრამულ დოკუმენტებსა და ოპერაციებში. გენდერის თემატური ჯგუფი კოორდინაციას უწევს გაეროს სააგენტოების მონაცემების შეტანას გაეროს სააგენტოთა ჯგუფის მიერ ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტისათვის (CEDAW) წარსადგენ ანგარიშში.

აივ/შიდს-ის ერთობლივი ჯგუფი უზრუნველყოფს გაეროს მონაწილეობას და მის ეფექტურ წვლილს აივ/შიდს-ზე ეროვნული რეაგირების პროცესში. მისი მანდატი გულისხმობს აივ/შიდს-ის პრევენციის, მკურნალობის, მზრუნველობისა და მხარდაჭერის საყოველთაო ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას.



©FAO/გოგა ჩანადირი



©UN/ ვლადიმირ ვალიშვილი

ადამიანის უფლებების თემატური ჯგუფი აზიარებს ინფორმაციას საქართველოში ადამიანის უფლებათა სფეროში მიმდინარე მოვლენების შესახებ; მას გაეროს სააგენტოთა ჯგუფთან ერთად წვლილი შეაქვს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმების (ხელშეკრულების ორგანოები, UPR) შემუშავებაში; განიხილავს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) სახელმძღვანელო ორგანოების კომენტარების შესაძლო გავლენას გაეროს მუშაობაზე და რეკომენდაციას უწევს გაეროს მუდმივ კოორდინატორს ადამიანის უფლებების ადვოკატირებისა და სტრატეგიის საკითხებში.

სტიქიური უბედურებების მართვის გუნდის (DMCT) მიზანია, ხელი შეუწყოს სააგენტოების სტიქიურ უბედურებებზე რეაგირების მზაობას; და მხარი დაუჭიროს მთავრობას სტიქიურ უბედურებებზე რეაგირების მზაობის საქმეში, სტიქიური უბედურებების მართვაში მისი წამყვანი როლის აღიარებით. გაეროს მუდმივი კოორდინატორი საქართველოში (DMCT-ის თავმჯდომარე) და საქართველოს მთავრობა გეგმავენ ურთიერთგაგების მემორანდუმის განახლებას, რათა გააუმჯობესონ

თანამშრომლობა საგანგებო ვითარებისთვის მზაობისა და მასზე რეაგირების სფეროში, ასევე ინფორმაციის გაცვლა და კოორდინაცია სტიქიურ უბედურებაზე რეაგირებისას.

გაერო მხარს უჭერს ეროვნულ სამთავრობო უწყებების მიერ ეფექტური ჰუმანიტარული რეაგირების საკოორდინაციო სტრუქტურის შექმნას და ჰუმანიტარული დახმარებისა და განვითარების ურთიერთკავშირის აქტუალური საკითხების, მათ შორის, საჭიროებების ჰარმონიზებული შეფასების მექანიზმების ამოქმედებას. სტიქიური უბედურებების მართვის გუნდი თავისი კოლეგებისთვის, შესაბამისი სამთავრობო უწყებებიდან, უზრუნველყოფს საგანგებო ვითარებაზე რეაგირების სწავლების რეგულარულ შესაძლებლობებს.

ახალგაზრდობის განვითარების თემატური ჯგუფი აძლიერებს კოორდინირებულ მუშაობას გაეროს სისტემაში, რათა ხელი შეუწყოს ახალგაზრდობის განვითარებაზე ორიენტირებული საქართველოს ეროვნული და საერთაშორისო ვალდებულებების, მათ შორის, გაეროს გლობალური სტრატეგიის — „ახალგაზრდობა 2030 საქართველოში“ — განხორციელებას; ის მხარს უჭერს და ხელს უწყობს პარტნიორობის პლატფორმის შექმნას, რათა მოიზიდოს ინვესტიციები და მიმართოს ისინი ახალგაზრდობასთან დაკავშირებული პროგრამებისკენ.

გაეროს მონიტორინგისა და შეფასების (M&E) ჯგუფი შედგება გაეროს სააგენტოების მონიტორინგისა და შეფასების დარგში მომუშავე სპეციალისტებისგან. მისი ამოცანაა თანამშრომლობის გეგმის განხორციელებაში მიღწეული პროგრესის მონიტორინგი იმ ინდიკატორების მიხედვით, რომლებიც თანამშრომლობის ხელშეკრულების შედეგების მატრიცაშია მოცემული. ჯგუფი მჭიდროდ ითანამშრომლებს შედეგების ჯგუფთან და მოამზადებს პროგრესის პერიოდულ ანგარიშებს გაეროს მუდმივი კოორდინატორის, მთავრობისა და უფრო ფართო აუდიტორიისთვის.


გაეროს კომუნიკაციების ჯგუფი (UNCG) მუშაობს გაეროს საქმიანობის შედეგების გავრცელებასა და განვითარების ცვლილების ადვოკატირებაზე. ამ ჯგუფის წევრები არიან გაეროს სააგენტოების კომუნიკაციების სფეროს სპეციალისტები. ჯგუფი უზრუნველყოფს საკვანძო საკითხების ერთობლივი განხილვების ორგანიზებას და აქტიურად ამზადებს გაეროს შესაბამისი დღეების აღნიშვნისთვის სხვადასხვა ღონისძიებას ცნობიერების ამაღლებისა და თვალსაჩინოებისათვის. UNCG-ს ხელმძღვანელობს

მუდმივი კოორდინატორის ოფისი, რომელიც ანგარიშვალდებულია გაეროს სააგენტოთა ჯგუფის წინაშე.

ოპერაციების მართვის გუნდის (OMT) შემადგენლობაში შედიან საკონტაქტო პირები ოპერაციების დარგში. შეთანხმებული ბიზნეს ოპერაციებით გუნდი ეხმარება UNCT-ს ოპერაციების ეფექტურობის გაზრდაში. ის, შეძლებისდაგვარად, შეისწავლის დამხმარე მომსახურების გამოყენების

შესაძლებლობებს და მათი ხარჯეფექტურობის გაუმჯობესების შესაძლებლობებს საერთო შესყიდვების, პერსონალის დაქირავების, ლოგისტიკის, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და სხვა სერვისებისთვის.

ქვემოთ იხილეთ ერთობლივი სამეთვალყურეო საბჭოს თანამშრომლობის გეგმის განხორციელების და იმპლემენტაციის სხვა მექანიზმებთან მისი კავშირის ორგანიგრამა:



3.4 ფული და სახსრების გადარიცხვის მეთოდები

გაერომ და მთავრობამ წამოიწყეს პროცესი, რომელიც აუცილებელი იყო ფულადი სახსრების გადარიცხვის ჰარმონიზებული მიდგომის (HACT) დასამკვიდრებლად. ქვემოთ მოყვანილი დებულებები ეხება გაეროს სააგენტოებს – UNDP, UNICEF და UNFPA, რომლებიც აწარმოებენ ფულადი სახსრების პირდაპირ გადარიცხვას განმახორციელებელი პარტნიორებისთვის.

განმახორციელებელ პარტნიორებთან ფულადი სახსრების ყველა გადარიცხვა ემყარება განმახორციელებელ პარტნიორსა და გაეროს სააგენტოებს შორის შეთანხმებულ სამუშაო გეგმებს.

სამუშაო გეგმებში დეტალურად გაწერილი აქტივობებისთვის ფულის გადარიცხვა გაეროს სააგენტოებს შეუძლიათ შემდეგი მეთოდებით:

1. თანხის გადარიცხვა პირდაპირ განმახორციელებელი პარტნიორისთვის;
2. აქტივობების დაწყებამდე (პირდაპირი გადარიცხვა), ან
3. აქტივობების დასრულების შემდეგ (ანაზღაურება);
4. პირდაპირი გადახდა მომწოდებლის ან მესამე მხარისთვის, განმახორციელებელი პარტნიორის მიერ აღებული ვალდებულებებისთვის,

5. პირდაპირი გადახდა მომწოდებლის ან მესამე მხარისთვის, გაეროს სააგენტოს მიერ აღებული ვალდებულებებისთვის, განმახორციელებელ პარტნიორთან შეთანხმებული აქტივობების მხარდასაჭერად.



©UN Women/ტარა მილუტისი



©UN Women/ელიშერ მკავანაძე

პირდაპირი გადარიცხვების მოთხოვნისა და განხორციელების ვადა არ აღემატება სამ თვეს და მოხდება პროგრამის იმპლემენტაციის პერიოდისთვის. აღრე ნებადართული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა და გადახდა მოხდება კვარტალურად ან აქტივობის დასრულების შემდეგ.

გაეროს სააგენტოები არ იქნებიან ვალდებული ანაზღაურონ განმახორციელებელი პარტნიორის მიერ გაწეული ხარჯები, რომლებიც აღემატება წინასწარ შეთანხმებულ თანხას. ნებისმიერი აქტივობის დასრულების შემდეგ, თანხის სხვაობა შეივსება ან მოხდება მისი პროგრამირება განმახორციელებელ პარტნიორსა და გაეროს სააგენტოს შორის ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე.

ფულადი სახსრების გადარიცხვის მეთოდები, გადარიცხვების მოცულობა, აქტივობების მასშტაბი და სიხშირე, სამთავრობო განმახორციელებელი პარტნიორის შემთხვევაში, შეიძლება დამოკიდებული იყოს ფინანსური მენეჯმენტის შესაძლებლობების საჯარო განხილვის მიგნებებზე, ან გაეროს განმახორციელებელი პარტნიორის შემთხვევაში, ფინანსური მენეჯმენტის შესაძლებლობების შეფასების მიგნებებზე. კვალიფიცირებული კონსულტანტი, როგორცაა გაეროს სააგენტოს მიერ შერჩეული საჯარო საბუღალტრო ფირმა, განხორციელებს აღნიშულ შეფასებას, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს განმახორციელებელი პარტნიორი. განმახორციელებელ პარტნიორს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს კონსულტანტის შერჩევაში.

ფულადი სახსრების გადარიცხვის მეთოდები, გადარიცხვების მოცულობა და აქტივობების მასშტაბი

და სიხშირე შეიძლება გადაიხედოს პროგრამის იმპლემენტაციის მსვლელობისას პროგრამის მონიტორინგის, ხარჯების მონიტორინგის და ანგარიშგების და აუდიტების მიგნებების საფუძველზე.

თანხის პირდაპირი გადარიცხვის ან გადახდის შემთხვევაში, გაეროს სააგენტომ უნდა შეატყობინოს განმახორციელებელ პარტნიორს, თუ რა თანხა დაამტკიცა გაეროს სააგენტომ და გადაურიცხოს თანხა განმახორციელებელ პარტნიორს 30 დღეში.

მომწოდებლის ან მესამე პირისთვის განმახორციელებელი პარტნიორის ოფიციალური წარმომადგენლის ხელმოწერილი მოთხოვნის საფუძველზე განმახორციელებელი პარტნიორის მიერ აღებული ვალდებულებებისთვის; ან მომწოდებლის ან მესამე პირისთვის განმახორციელებელ პარტნიორთან შეთანხმებული აქტივობების მხარდასაჭერად გაეროს სააგენტოს მიერ აღებული ვალდებულებებისთვის პირდაპირი გადახდის შემთხვევაში, გაეროს სააგენტომ გადახდა უნდა განახორციელოს 30 დღის განმავლობაში.

გაეროს სააგენტოს არ ექნება რაიმე პირდაპირი ვალდებულება განმახორციელებელ პარტნიორსა და მესამე პირს შორის დადებული საკონტრაქტო შეთანხმების მიმართ.

როდესაც გაეროს სააგენტოები უხდის ფულს ერთსა და იმავე განმახორციელებელ პარტნიორს, პროგრამის მონიტორინგი, ფინანსური მონიტორინგი და აუდიტი განხორციელდება ერთობლივად ან გაეროს სისტემის ამ სააგენტოებთან კოორდინაციით.

განმახორციელებელი პარტნიორი თანახმაა ითანამშრომლოს გაეროს სააგენტოებთან ყველა იმ აქტივობის მონიტორინგისთვის, რომლისთვისაც გადაირიცხა თანხა და ის უზრუნველყოფს წვდომას შესაბამის ფინანსურ დოკუმენტაციასთან და

პერსონალთან, რომელიც პასუხისმგებელია გაეროს სააგენტოებიდან მიღებული ფულადი სახსრების ადმინისტრირებაზე. ამ მიზნისთვის: განმახორციელებელი პარტნიორი თანახმაა, რომ ჩატარდეს:

1. მისი ფინანსური ჩანაწერების პერიოდული განხილვები ადგილზე და შერჩევითი შემოწმებები გაეროს სააგენტოს ან მისი წარმომადგენლების მიერ საჭიროებისამებრ, და იმ ფორმით, როგორც მათი ჩართულობის დოკუმენტების/გაეროს სააგენტოსთან კონტრაქტების შესაბამის მუხლებშია აღწერილი;
2. აქტივობების პროგრამული მონიტორინგი გაეროს სააგენტოების ობიექტზე ვიზიტის და სავალე მონიტორინგის სტანდარტების და სახელმძღვანელო პრინციპების დაცვით; და
3. რიგგარეშე ან დაგეგმილი აუდიტი. გაეროს თითოეული ორგანიზაცია, გაეროს სისტემის სხვა სააგენტოებთან თანამშრომლობით (სურვილისამებრ და შესაბამისი მაკოორდინირებელ სამინისტროსთან კონსულტაციის საფუძველზე), შეადგენს აუდიტის წლიურ გეგმას, რომელშიც პრიორიტეტს მიანიჭებს იმ განმახორციელებელი პარტნიორის აუდიტს, რომლის საქმიანობისთვისაც გაეროს სააგენტო გამოყოფს დახმარების დიდ თანხას ან რომლის ფინანსური მენეჯმენტის შესაძლებლობები საჭიროებს გაძლიერებას.



©UNFPA/გელა ბედიანაშვილი



©UN Women/ტარა მილუტისი

სტანდარტული ფონდების ავტორიზაციას და ხარჯების დასაბუთების (FACE) ანგარიშს, რომელიც ასახავს სამუშაო გეგმის აქტივობებს, განმხორციელებელი პარტნიორი გამოიყენებს თანხის გადმორიცხვის მოთხოვნის ან იმ შეთანხმების გარანტიად, რომ გაეროს შესაბამისი ორგანიზაცია აანაზღაურებს ან პირდაპირი წესით გადაიხდის დაგეგმილი ხარჯის თანხას. განმხორციელებელი პარტნიორი წარადგენს FACE-ს მიღებული თანხის გამოყენების შესახებ ანგარიშგებისთვის.

განმხორციელებელი პარტნიორი ნიშნავს თავის ოფიციალურ წარმომადგენლებს/წარმომადგენელს, რომელიც უფლებამოსილია წარადგინოს ანგარიშის

დეტალები, მოითხოვოს და დაადასტუროს ფულადი სახსრების გამოყენება. FACE-ის სერტიფიცირებას მოახდენს განმხორციელებელი პარტნიორის მიერ დანიშნული ოფიციალური წარმომადგენელი.

განმხორციელებელი პარტნიორისთვის გადარიცხული თანხა უნდა დაიხარჯოს დაგეგმილი აქტივობის მიზნებისთვის და დროის იმ შუალედში, რომელიც მითითებულია სამუშაო გეგმაში.

მთავრობის ან ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის განმხორციელებელი პარტნიორის მიერ მიღებული თანხა უნდა დაიხარჯოს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მყოფი, არსებული ეროვნული რეგულაციების, პოლიტიკის და პროცედურების შესაბამისად, კერძოდ, გარანტირებული უნდა იყოს თანხის დახარჯვა სამუშაო გეგმაში შეთანხმებული აქტივობისთვის და გარანტირებული უნდა იყოს, რომ მიღებული თანხის გამოყენების შესახებ ანგარიშები წარედგინება გაეროს შესაბამის ორგანიზაციას თანხის მიღებიდან ექვსი თვის განმავლობაში.

იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ეროვნული რეგულაცია, პოლიტიკა ან პროცედურა არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტს, გამოყენებულ იქნება გაეროს სისტემის შესაბამისი სააგენტოს ფინანსური წესები და სისტემის სააგენტოს რეგულაციები.

საერთაშორისო არასამთავრობო/სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის და საერთაშორისო სამთავრობო ორგანიზაციის განმხორციელებელი პარტნიორის შემთხვევაში, მიღებული თანხის გამოყენებამონდება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რათა თანხა გარანტირებულად დაიხარჯოს იმ აქტივობებისთვის, რომლებიც შეთანხმებულია სამუშაო გეგმაში და ყველა მიღებული თანხის სრული გახარჯვის შესახებ ანგარიშები წარედგინება გაეროს შესაბამის ორგანიზაციას თანხის მიღებიდან ექვსი თვის განმავლობაში.



თავი 4: მონიტორინგისა და შეფასების სქემა



©UN/ვლადიმირ ვალიშვილი

4.1 მონიტორინგის, შეფასებისა და სწავლების გეგმა.

თანამშრომლობის ხელშეკრულებისთვის მონიტორინგის, შეფასებისა და სწავლების გეგმის (MEL) შემუშავების მიზნით შეიქმნა უწყებათაშორისი მონიტორინგის, შეფასებისა და სწავლების გეგმის (MEL) ჩგუფი. MEL ჩგუფს ექნება შემდეგი ფუნქციები:

1. განსაზღვროს საბაზო პირობები, ინდიკატორები, მონაცემთა შეგროვების საჭიროებები და ვერიფიკაციის საშუალებები;
2. დაეხმაროს შედეგების ჩგუფს შედეგების რეგულარულ მონიტორინგში M&E ჩარჩოს გამოყენებით;
3. კოორდინირება გაუწიოს სააგენტოს შიდა მონაცემთა შეგროვებას;
4. განახორციელოს პერსონალის შესაძლებლობების ანალიზი და განვითარების აქტივობები;
5. დაეხმაროს UNSDCF-ს რეგულარულ განხილვებსა და ანგარიშგებაში;
6. დაწეროს მონაცემთა შეგროვების ინოვაციური საშუალებები, როგორცაა მობილური / ციფრული ტექნოლოგიები, საჭიროების შემთხვევაში, რეალურ დროში მონაცემთა შეგროვებისთვის.

MEL ჯგუფი ეყრდნობა გაეროს სააგენტოების გამოცდილებას, რომელთა მონიტორინგისა და შეფასების გეგმები გამომდინარეობს და სინქრონიზებული იქნება UNSDCF MEL-ის გეგმასთან. გენდერის თემატური ჯგუფი (GTG) დამატებით დახმარებას გაუწევს ჯგუფს გენდერული თანასწორობის აქტივობების შედეგების მონიტორინგის განხორციელებაში.

თანამშრომლობის ხელშეკრულების საქმიანობის მონიტორინგისა და ანგარიშებისთვის მონაცემების შეგროვება მოხდება სხვადასხვა წყაროებიდან, როგორცაა, სტატისტიკის სახელმწიფო სამსახური, MICS, ნებაყოფლობითი ეროვნული მიმოხილვის ანგარიშები, ეროვნული ანგარიშები ადამიანის უფლებათა მექანიზმისთვის (ხელშეკრულების

ორგანოები, UPR, სპეციალური პროცედურების რეკომენდაციების ცვლილებები), გაეროს ხელშეკრულების ორგანოების დასკვნითი დაკვირვებები, UPR-ის სამუშაო ჯგუფის ანგარიშები, გაეროს სააგენტოების მიერ ჩატარებული სხვადასხვა კვლევების ანგარიშები და გლობალური ანგარიშები და ინდექსები.

მონიტორინგი ჩატარდება რეგულარულად და მისი მიზანი იქნება, თვალყური მიაღვენოს დაგეგმილი შედეგების მიღწევის პროგრესს და გამოიტანოს გაკვეთილები და, საჭიროებისამებრ, მთავრობასთან კონსულტაციის საფუძველზე, შეიტანოს ცვლილებები ერთობლივ სამუშაო გეგმებში.

თანამშრომლობის ხელშეკრულების მონიტორინგის ძირითადი ელემენტებია:

1. თანამშრომლობის ხელშეკრულების წლიური განხილვისა და ანგარიშის მომზადება. აქ წამყვან როლს ასრულებს (UNCT) — MEL ჯგუფი. იგი ახდენს შედეგების ჯგუფებისა და UNCT-ისგან მონიტორინგის შესახებ მიღებული ინფორმაციის კონსოლიდირებას და უზრუნველყოფს მონაცემებს წლიური ანგარიშისთვის, რომელიც უნდა მოამზადოს მუდმივი კოორდინატორის ოფისმა ერთობლივი სამეთვალყურეო საბჭოს წლიური განხილვისთვის.
2. გაეროს კონკრეტული უწყებების მონიტორინგისა და შეფასების აქტივობები მათ შუალედურ მოკლევადიან შედეგებსა და რესურსებთან

- მიმართებაში (სააგენტოს კონტრიბუცია) — აღნიშნულთან დაკავშირებით გაეროს შესაბამისი უწყება აწარმოებს ჩანაწერებს უშუალოდ UN INFO-ში.
3. გაეროს ერთობლივი პროგრამებისა და პროექტების ერთობლივი მონიტორინგი.
4. გაეროს შედეგების ჯგუფების შეხვედრები ექვს თვეში ერთხელ — პროგრესის რუტინული მონიტორინგისა და განხილვისათვის, რათა თვალყური მიეღვენოს UNSDCF-ის გრძელვადიანი შედეგების მიღწევის პროგრესს (მინიმუმ ორი შეხვედრა იქნება სრულ UNCT-ისთან ერთად, რომელთაგან ერთი ჩატარდება წლის ბოლოსთვის დაგეგმილ წლიურ განხილვამდე).

4.1.1 რისკები და შესაძლებლობები

ძირითადი რისკები მოიცავს პოლიტიკურ რისკებს, რომლებიც შეიძლება გამომდინარეობდეს ეროვნული პრიორიტეტების ცვლილებიდან; კონფლიქტის ესკალაციის რისკი; საჯარო სამსახურების ადმინისტრაციული შესაძლებლობების სიმწირე — კადრების ხშირი ცვლა და ინსტიტუციური მექანიზმების ნაკლებობა; გარეშე რისკები, მაგალითად, პანდემიის, სტიქიური უბედურების ან ეკონომიკური შოკის შედეგად წარმოქმნილი რისკები; დაგეგმილი დონორული დაფინანსების ხელმისაწვდომობის არ არსებობა ან დონორის პრიორიტეტების, ან გაეროს სისტემის მხარდაჭერისადმი მთავრობის ინტერესის ცვლილება; და სოციალური ან გარემოსდაცვითი ზიანის რისკი.

ამ რისკების მართვა მოხდება რისკების მართვის სისტემის შემუშავებით; UNSDCF-ის ეროვნულ პრიორიტეტებთან, მათ შორის, ევროინტეგრაციის

დღის წესრიგთან შესაბამისობაში მოყვანით; სამთავრობო ხარჯების გაზიარების წახალისებით; გაძლიერებული პარტნიორობით დაინტერესებულ მხარეებთან და განვითარების კოორდინაციით; გაეროს მოქნილობით, შეძლოს საკუთარი თავის პოზიციონირება და სწრაფი რეაგირება კონტექსტის ცვლილებასა და ახალ პრიორიტეტებზე; UNSDCF-ის შედეგების მატრიცის გადახედვით და ეროვნული პრიორიტეტების შეცვლის განხილვით; და „არ ავნო“ პრინციპის დაცვით, განსაკუთრებით, როდესაც აქტივობები ხორციელდება კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში და სოციალური და გარემოსდაცვითი სტანდარტების დაცვით.

ძირითადი შესაძლებლობები მოიცავს წვდომას, თუმცა შეზღუდულს, რომელიც გაეროს გააჩნია აფხაზეთთან (და, შესაძლოა, მომდევნო ციკლის დრო ექნება სამხრეთ ოსეთთანაც) და მის კავშირს დაზარალებულ მოსახლეობასთან უშუალოდ და სამოქალაქო საზოგადოების მეშვეობით; მდგრადი

დი განვითარების მიზნების დღის წესრიგის გაერთიანებას ევროინტეგრაციასთან; მდგრადი განვითარების მიზნების ძლიერ ერთგულებას, მათ ფართო ნაციონალიზაციას და მონიტორინგის მექანიზმს (მაგალითად, SDG საბჭო); ერთობლივ ძალისხმევას SDG-ისთან დაკავშირებული დისაგრეგირებული მონაცემების გაუმჯობესებისათვის; ერთობლივი პროგრამირების ადვოკატირებას; და ფართო ინოვაციურ პარტნიორობას, მათ შორის, კერძო სექტორთან, მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად.

4.1.2 თანამშრომლობის ხელშეწყობის შეფასება და ანგარიშგება

გაეროს ქვეყნის შედეგებს მინიმუმ ერთხელ წელიწადში განიხილავს ერთობლივი სამეთვალყურეო საბჭო, პრემიერ-მინისტრის²⁵ და გაეროს მუდმივი კოორდინატორის თანათავმჯდომარეობით. JSC-ი განხორციელებს წლიურ განხილვას გაეროს ქვეყნის შედეგების წლიური ანგარიშის საფუძველზე, რომელსაც მოამზადებს მუდმივი კოორდინატორის ოფისი (შედეგების და M&E ჯგუფებთან ერთობლივი მუშაობით) JSC-ის შეხვედრამდე. წლიური ანგარიშის მომზადება მნიშვნელოვანი სამუშაოა. მასში აისახება მიღწეული პროგრესი და თანამშრომლობის ხელშეწყობა შესატანი შუალედური შესწორებები, რომელთა აუცილებლობა გამოვლინდა ახალი მტკიცებულებების საფუძველზე. მას ასევე გააჩნია მნიშვნელოვანი ანგარიშვალდებულების ფუნქცია. განსაკუთრებით ახლა, როდესაც საგანგებო ვითარებაა და განსაკუთრებული ყურადღება უნდა გავამახვილოთ განვითარებაზე.

სამეთვალყურეო საბჭოსთვის წარსადგენი ეს წლიური ანგარიში მოიცავს იმ გამოწვევებსაც, რომელთა წინაშეც დგას თანამშრომლობის ხელშეწყობის განხორციელება. ანგარიშში აღწერილია მიღწეული მოკლევადიანი შედეგები, რომლებზეც უშუალოდ პასუხისმგებელია გაეროს სააგენტოები და, ასევე, ის მოკლევადიანი შედეგები, რომელთა მიღწევამაც გაეროს სისტემა ერთ-ერთი მონაწილეა. შედეგებზე ამგვარი ანგარიშგება დაკავშირებული იქნება SDG მიზნებსა და ეროვნულ პრიორიტეტებთან. ანგარიში მთავრობის მონაცემთა სისტემის ნაწილი იქნება და ინფორმაციას მიაწვდის იმ ექვს სამუშაო ჯგუფს, რომელიც შექმნილია დონორთა კოორდინაციისთვის მთავრობის ადმინისტრაციისა და ნებაყოფლობითი ეროვნული ეროვნული მიმონილვების ფარგლებში.

²⁵ პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია მიავლინოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი თავის წარმომადგენლად მმართველი კომიტეტის შეხვედრებზე.

4.2 შეფასების გეგმა

თანამშრომლობის ხელშეწყობის შეფასება განხორციელდება დამოუკიდებლად თანამშრომლობის ხელშეწყობის ციკლის ბოლო წინა წელს. გაეროს სააგენტოები თავად განხორციელებენ საკუთარი პროგრამების შეფასებას. ასევე მოხდება ერთობლივი პროგრამების შეფასება, თანამშრომლობის ხელშეწყობის შეფასებისთვის ინფორმაციის მოპოვება მოხდება ამ შეფასებებიდან, ხოლო შეფასების პროცესები იქნება ურთიერთდაკავშირებული და ორმხრივად ხელშემწყობი და არ მოხდება ძალისხმევის დუბლირება. თანამშრომლობის ხელშეწყობის შეფასება მთავარი ინსტრუმენტია, რომელიც უზრუნველყოფს გაეროს სისტემის ანგარიშვალდებულებას სისტემის ფარგლებში, დონორების, მთავრობის და ხალხის წინაშე.

თანამშრომლობის ხელშეწყობის შეფასება მოხდება გაეროს შეფასების ჯგუფის (UNEG) ნორმებით და სტანდარტებით. UNCT-ი და მთავრობა შეიმუშავენ მონიტორინგის, შეფასებისა და სწავლების (MEL) გეგმას, რომელიც მოიცავს გაეროს სისტემის და ცალკეული სააგენტოების მიერ პროგრამის ციკლის ფარგლებში დაგეგმილ ყველა შეფასებას. თანამშრომლობის ხელშეწყობის შეფასებამოხდება მთავრობის და სხვა ეროვნული პარტნიორობის სრული ჩართულობით და ამ პროცესში მოხდება მისი აქტუალურობის, შედეგიანობის, ხარჯეფექტურობის და მდგრადობის შეფასება. ასევე გაკეთდება კომენტარები პარტნიორობასა და სხვა საერთო თემებზე. მიუხედავად იმისა, რომ ზემოქმედების შეფასება თანამშრომლობის ხელშეწყობის იმპლემენტაციის დასრულების წინა წელს რთული იქნება, განისაზღვრება სავარაუდო ზემოქმედების მიმართულება.

შეფასება იქნება მონაწილეობითი პროცესი და ის გაზომავს თანამშრომლობის ხელშეწყობის ზეგავლენას ადამიანების ცხოვრებაზე, განსაკუთრებით, მოწყვლად ჯგუფებში, რომლებიც ამ პროგრამის სამიზნე ჯგუფებია და რომელთა გამოკითხვაც მოხდება შეფასების პროცესში. შეფასებისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სახელმძღვანელო პრინციპების, კერძოდ, „არავინ დარჩეს განვითარების პროცესებს მიღმას“ (LNOB) დაცვის ხარისხს და იმას, თუ რა სარგებელი მიიღეს პროგრამისგან მოწყვლადმა ჯგუფებმა.



დანართი 1: თანამშრომლობის ხელშეკრულების შედეგების მატრიცა

განვითარების ეროვნული პრიორიტეტები: განვითარების ოთხი ეროვნული პრიორიტეტია: 1 / უსაფრთხოება, 2 / ეკონომიკური განვითარება და სამუშაო ადგილები, 3 / განათლება და ადამიანური კაპიტალი და 4 / ღია მმართველობა, რაც ითვალისწინებს: ა) სიღარიბის აღმოფხვრას ინკლუზიური მდგრადი და რაციონალური ეკონომიკური განვითარების გზით; ბ) ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლებისა და სოციალური უზრუნველყოფის განვითარებას; გ) საჯარო სამსახურის რეფორმას; დ) გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრას საზოგადოების ყველა ფენაში; ე) რეგიონულ განვითარებას, სოფლის მეურნეობას და გარემოს დაცვას; ვ) საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის გაძლიერებას და ძირითად ეკონომიკურ რეფორმებს; ზ) ადამიანური კაპიტალის გაზრდას; თ) კონფლიქტების პრევენციას და მათი მოგვარების ეფექტური მეთოდების განსაზღვრას.

რეგიონალური ჩარჩო: ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება (ასოცირების შესახებ ხელშეკრულება ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის თანამეგობრობას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და საქართველოს შორის), ევროკავშირთან დრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ შეთანხმება, ევროსაბჭოს წევრი და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (OSCE)

მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs) და ამოცანები: საქართველომ მიიღო მდგრადი განვითარების 17 მიზანი და ეროვნული პრიორიტეტები მიუსადაგა 93 გლობალურ ამოცანას. SDGs ნაციონალიზაციის შედეგად გამოიყო 200 ეროვნული ინდიკატორი.

სტრატეგიული პრიორიტეტი: ადამიანის კეთილდღეობის, შესაძლებლობებისა და თანასწორუფლებიანობის გაზრდა საქართველოში 2030 წლისთვის.

	<p>3.3.7 სამუშაოს მაძიებელთა რაოდენობა, მათ შორის, დაბრუნებული მიგრანტები და VET-ის კურსდამთავრებულები, რომელთაც მიიღეს მხარდაჭერა უნარ-ჩვევების განვითარებაში, დასაქმებასა და სტაჟირებაში ევროკავშირში, უნარ-ჩვევების პარტნიორობის სქემების და ცირკულარული შრომითი მიგრაციის სქემების საშუალებით და წარმატებით მუშაობენ ადგილობრივ ბაზრებზე და / ან საზღვარგარეთ.</p> <p>NSDG 4.4.1.1 (GT 4.4)</p> <p>მთავარი მომხსენებელი: UNDP</p> <p>პარტნიორი: IOM</p>	2020: 0	2022: 100	UNDP-ის პროექტების ანგარიშები.	<p>დადგენილი ცირკულარული შრომითი მიგრაციის ან / და სტაჟირების სქემების განხორციელება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული პანდემიის გამო შექმნილ სიტუაციაზე.</p>
	<p>3.3.8 ფერმერების რაოდენობა, რომლებმაც გაიარეს პროექტებით მხარდაჭერილი უნარ-ჩვევების განვითარების ტრენინგები და / ან საკონსულტაციო მომსახურებები, სქესის და ასაკის მიხედვით.</p> <p>NSDG 4.3.1 (GT 4.3)</p> <p>პასუხისმგებელი: UNDP,</p> <p>პარტნიორი: FAO, UN Women</p>	0	მინიმუმ 1000 ფერმერი.	პროექტის ანგარიშები.	

პარტნიორები მე-4 შედეგის მისაღწევად	საგარეო საქმეთა სამინისტრო; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი; იურიდიული დახმარების სამსახური; კონსორციუმი სამართლებრივი დახმარება საქართველო; აქცია შიმშილის წინააღმდეგ; გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია; სახალხო დამცველის აპარატი; არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც წარმოადგენენ LNOB ჯგუფებს.
--	--

შედეგები	შესრულების ინდიკატორები (დისაგრეგირება)	საბაზისო (წელი)	ამოცანა (თანამშრომლობის გეგმის დასრულება)	მონაცემთა წყარო/MoV	ვარაუდები	
შედეგი 4 2025 წლისთვის კონფლიქტით დაზარალებულთა თემები ისარგებლებენ ადამიანის უფლებებით და გაძლიერებული უსაფრთხოებითა და შედეგობით.	4.1 მსოფლიო მმართველობის ინდიკატორი პოლიტიკური სტაბილურობისა და ძალადობის / ტერორიზმის არარსებობის შესახებ. პასუხისმგებელი/მთავარი მომხსენებელი: UNDP პარტნიორები: UN Women, UNHCR, UNFPA, FAO, UNODC	პროცენტული მაჩვენებლით რანჟირება 2018; საქართველოს პროცენტული რანჟირება - 30;	საქართველოს პროცენტული მაჩვენებლით რანჟირების გაუმჯობესება.	მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები (WGI); https://info.world-bank.org/governance/wgi/Home/Reports		
	4.2 გლობალური მშვიდობის ინდექსი (GPI). პასუხისმგებელი/მთავარი მომხსენებელი: UNDP პარტნიორი: UN Women; UNHCR, UNFPA, FAO	გლობალური მშვიდობის ინდექსი 2020; საქართველოს გლობალური რანჟირება - 95; საერთო ქულა: 2.116;	საქართველოს გლობალური რანჟირების და/ან საერთო ქულის გაუმჯობესება.		გლობალური მშვიდობის ინდექსი, ეკონომიკისა და მშვიდობის ინსტიტუტი; http://visionofhumanity.org/indexes/global-peace-index/	
	4.3 მშვიდობის დადებითი ინდექსი (PPI) პასუხისმგებელი/მთავარი მომხსენებელი: UNDP პარტნიორი: UN Women, UNHCR, UNFPA, FAO	მშვიდობის დადებითი ინდექსი 2019; საქართველოს გლობალური რანჟირება — 54; საერთო ქულა: 2.7.	საქართველოს გლობალური რანჟირების და/ან საერთო ქულის გაუმჯობესება.		მშვიდობის დადებითი ინდექსი, ეკონომიკისა და მშვიდობის ინსტიტუტი; http://visionofhumanity.org/reports/	
	4.4 ქალების, მშვიდობის და უსაფრთხოების ინდექსი (WPSI) პასუხისმგებელი/მთავარი მომხსენებელი: UNDP პარტნიორი: UN Women;	95/163 WPSI - ინდექსი - 777 კატეგორია 46/166 (2019/2020).	საქართველოს გლობალური რანჟირების და/ან საერთო ქულის გაუმჯობესება.		ჯორჯთაუნის ქალთა, მშვიდობისა და უსაფრთხოების უნივერსიტეტი; https://giwps.georgetown.edu/the-index/chapters/	
შედეგი 4.1 კონფლიქტით დაზარალებულთა თემებს აქვთ გაუმჯობესებული წვდომა ძირითად სერვისებზე, როგორცაა განათლება, ჯანდაცვა, გენდერულ ძალადობაზე (GBV) რეაგირება და იურიდიული დახმარება.	4.1.1. იურიდიული და ფსიქოლოგიური დახმარების / მომსახურების შემთხვევების რაოდენობა, რომელიც მიიღეს კონფლიქტით დაზარალებულმა პირებმა (მათ შორის, გენდერული ნიშნით ძალადობას გადარჩენილთა ჩათვლით), სქესის მიხედვით. პასუხისმგებელი/მთავარი მომხსენებელი: UN Women პარტნიორები: UNDP, UNHCR	UNDP - 1,397 (85% ქალი); UN Women - 417 GBV გადარჩენილთა; (99% ქალი) in 2019 UNHCR - იურიდიული დახმარება: 1,300 ადამიანი (60% ქალი) 2020 წელს.	UNDP - 2,197 GBV (ქალების მინიმუმ 80%); UN Women - 2,500 (95% ქალი) UNHCR - იურიდიული დახმარება: 5,550 (ქალების მინიმუმ 50%).	ნდობის აღდგენისა და ადრული რეაგირების მექანიზმის (COBERM) და მოქალაქეობის არქტონე პირთა შესახებ კონვენციის (CSSP) შუალედური ანგარიშები, ასევე მომავალი პროექტების ანგარიშები GBV-ის შესახებ; UN Women და პარტნიორების შუალედური ანგარიშები; UNHCR და პარტნიორის ანგარიშები;		
	4.1.2 კონფლიქტით დაზარალებული ახალგაზრდებისა და პედაგოგების რაოდენობა (სკოლები, პროფესიული კოლეჯები და უნივერსიტეტები), რომლებსაც აქვთ გაუმჯობესებული წვდომა ხარისხიან საგანმანათლებლო მომსახურებაზე. პასუხისმგებელი/მთავარი მომხსენებელი: UNDP პარტნიორი: UNICEF	ა/UNDP — 20,174 (ახალგაზრდა ქალების დაახლოებით 40%); UNICEF — 5,326; ბ/ UNDP — 350; მომზადებული მასწავლებელი.	ა/UNDP — 31,578 (ახალგაზრდა ქალების მინიმუმ 50%); UNICEF — 8,422; ბ/ UNDP — 750; მომზადებული მასწავლებელი.		UNDP პროექტების (VET Abkhazia, Horizons, COBERM, CSSP) შუალედური ანგარიშები; UNICEF-ის პროექტების ანგარიშები.	

შედეგები	შესრულების ინდიკატორები (დისაგრეგირება)	საბაზისო (წელი)	ამოცანა (თანამშრომლობის გეგმის დასრულება)	მონაცემთა წყარო/MoV	ვარაუდები
	4.1.3 კონფლიქტი დაზარალებული მოსახლეობის რაოდენობა, რომელსაც აქვს გაუმჯობესებული წვდომა პირველადი ჯანდაცვის მომსახურებაზე, მათ შორის სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისებზე. პასუხისმგებელი/ მთავარი მომხსენებელი: UNDP პარტნიორები: UNFPA, UNICEF, WHO	UNDP — 10,886 (ქალების (ქალების დაახლოებით 60%); UNFPA — 18,000 (100% ქალი) 2018 წლის ნოემბერ-დეკემბერში აფხაზეთში ჩატარებული PHC- ის ძირითადი ელემენტების ერთობლივი სწრაფი მიმოხილვა.	UNDP — 16,054 (ქალების მინიმუმ 50%); UNFPA — 30,000 (100% ქალი); ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ჩატარებული ჯანმრთელობის სისტემების შეფასების მისია და პრიორიტეტულ სფეროებში რეკომენდაციების და ანგარიშის წარდგენა.	Horizons-ის და COBERM-ის და CSSP-ის შუალედური ანგარიშები;; UNFPA-ის და პარტნიორების შუალედური ანგარიშები; WHO მისიის ანგარიში და რეკომენდაციები..	ადგილობრივი და ინტერესებული მხარეები იღებენ ვალდებულებას ჯანდაცვის სექტორში ცვლილებების დაწყებასთან და ძირითად მომსახურებაზე გაუმჯობესებულ წვდომასთან დაკავშირებით.
შედეგი 4.2 სოციალურ-ეკონომიკური პირობები, და თემის შედეგობა გაუმჯობესებული პროგრამებით რომელთა ბუნეფიციარები არიან კონფლიქტით დაზარალებული თემები, განსაკუთრებით ის, ვინც განვითარების პროცესს მიღმა დარჩენილი.	4.2.1 წარმატებით განხორციელებული ინიციატივების რაოდენობა კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ რეგიონებში სოციალურ-ეკონომიკური პირობებისა და ადამიანის უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით. მთავარი მომხსენებელი: UNDP პარტნიორები: UN Women, FAO	UNDP — 80; UN Women & FAO — 0.	UNDP - 280 UN Women & FAO -38	Horizons-ის და სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD Abkhazia) ანგარიშები; გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და და პარტნიორების შუალედური ანგარიშები;	
	4.2.2 იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც უშუალოდ იღებენ სარგებელს გაუმჯობესებული სოციალურ-ეკონომიკური პირობებით და გაუმჯობესებული ადამიანის უსაფრთხოებით. მთავარი მომხსენებელი: UNDP პარტნიორები: UN Women, FAO	UNDP - 5,362 UN Women & FAO - 0	UNDP - 14,742 UN Women & FAO - 1000	Horizons and ENPARD Abkhazia შუალედური ანგარიშები; UN Women & FAO შუალედური ანგარიშები;	
	4.2.3 ადამიანების რაოდენობა და თემის გაუმჯობესებული მდგრალობა კლიმატით გამოწვეული და მრავალმხრივი საფრთხის შემცველი სტიქიური უბედურების მიმართ. მთავარი მომხსენებელი: UNDP	საბაზისო მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი.	UNDP — 1,080 (ქალების მინიმუმ 50%).	შუალედური ანგარიშები კლიმატური რისკების (IRCCR) მიმართ თემების მდგრადობის გაუმჯობესების შესახებ.	
შედეგი 4.3 დიალოგისა და მონაწილეობისთვის გაფართოებული სივრცე, რაც აძლიერებს სამოქალაქო საზოგადოებას, თემის შედეგობას, სოციალურ ერთობას და ქალთა, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის განხორციელებას.	4.3.1 ქალთა, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით მიღებული სამოქმედო გეგმა და მისი განხორციელების ინტენსიურობა. მთავარი მომხსენებელი: UN Women	კი, (ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ეროვნული სამოქმედო გეგმა EVAW & DV NAP მოიცავს 2018-2020 წლებს) განხორციელების ინტენსიურობის განსაზღვრა მოხდება 2021 წელს.	კი, განხორციელების ინტენსიურობის 90%.	მთავრობის დადგენილება ეროვნული სამოქმედო გეგმის (NAP) 1325-ის დამტკიცების შესახებ; სახალხო დამცველის აპარატის (PDO) დამოუკიდებელი მონიტორინგის ანგარიში NAP-ის განხორციელების შესახებ.	
	4.3.2 ინიციატივების რაოდენობა ხალხთა შორის პირდაპირი კონტაქტების, ურთიერთკავშირის მხარდასაჭერად (მედიკამენტების ან / და სხვა პირველადი საჭიროების საქონლის მიწოდება) და სხვადასხვა თემებს შორის დიალოგისა და ნდობის ხელშეწყობი გარემოს შესაქმნელად.	UNDP — 121 (COBERM III, დიალოგი II) UN Women — 5 UNFPA — 4	UNDP - 221 UN Women - 10 UNFPA - 6	COBERM ის შუალედური ანგარიშები; გაეროს ქალთა ორგანიზაციის და პარტნიორების შუალედური ანგარიშები; UNFPA-ის და პარტნიორების შუალედური ანგარიშები;	

შედეგები	შესრულების ინდიკატორები (დისაგრეგირება)	საბაზისო (წელი)	ამოცანა (თანამშრომლობის გეგმის დასრულება)	მონაცემთა წყარო/MoV	ვარაუდები
	4.3.3 იმ ადამიანთა რაოდენობა, ვინც სარგებელს იღებს მშვიდობის მშენებლობის ინიციატივებით, რომლებიც უზრუნველყოფენ ნდობის გაძლიერებას კონფლიქტით დაყოფილ თემებში და მათ შორის; პასუხისმგებელი/მთავარი მომხსენებელი: UNDP პარტნიორები: UN Women, UNFPA	UNDP — 26,430 (ქალების 49%); UN Women — 200; UNFPA — 220.	UNDP — 42,000 (ქალების მინიმუმ 50%). UN Women — 500 (ქალების მინიმუმ 50%) UNFPA — 270 (ქალების მინიმუმ 50%)	COBERM-ის შუალედური ანგარიშები; გეროს ქალთა ორგანიზაციის და პარტნიორების შუალედური ანგარიშები; UNFPA-ის და პარტნიორების შუალედური ანგარიშები.	

პარტნიორები მე-5 შედეგის მისაღწევად

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო; გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (მათ შორის, გარემოს ეროვნული სააგენტო, ეროვნული სატყეო სააგენტო, საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტო, სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სააგენტო და გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი), ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური (შინაგან საქმეთა სამინისტრო); დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი; ეროვნული უსაფრთხოების საბჭო / კრიზისების მართვის ეროვნული ცენტრი; საქართველოს პარლამენტი (და საპარლამენტო კომიტეტები), არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც წარმოადგენენ LNOB ჯგუფებს, ადგილობრივი თემები, მენიჯიბალები და ადგილობრივი ხელისუფლება, კვლევითი ინსტიტუტები, საერთაშორისო ორგანიზაციები, პროფკავშირები, დამსაქმებელთა ორგანიზაციები, ბიზნეს საზოგადოება, ქალთა და ასალგაზრდელი ჯგუფები, მასმედია.

შედეგები	შესრულების ინდიკატორები (დისაგრეგირება)	Baseline (year)	ამოცანა (თანამშრომლობის გეგმის დასრულება)	მონაცემთა წყარო/MoV	ვარაუდები
შედეგი 5 2025 წლისთვის საქართველოში თითოეული ადამიანის უსაფრთხოება და მდგრადი უზრუნველყოფილი იქნება დისკრიმინაციის გარეშე, გაუმჯობესებული გარემოსდაცვითი მმართველობის, კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ მიმართული ძალისხმევითა და ბუნებრივი მდგრადი მართვის შედეგად.	5.1: ქვეყნების რაოდენობა, რომლებმაც განაცხადეს ინტეგრირებული პოლიტიკის / სტრატეგიის / გეგმის შემუშავების ან ამოქმედების შესახებ, რაც ზრდის მათ შესაძლებლობას მოახდინონ ადაპტირება კლიმატის ცვლილების უარყოფით ზემოქმედებასთან და ხელი შეუწყონ კლიმატის ცვლილების მიმართ მდგრადობის განვითარებას და სათბურის გაზების ემისიების შემცირებას ისე, რომ საფრთხე არ შეუქმნან კვების პროდუქტების წარმოებას (მათ შორის, ადაპტაციის ეროვნული გეგმა, ეროვნული დონეზე განსაზღვრული წვლილი, ეროვნული კომუნიკაცია, ორწლიანი განახლებული ანგარიში ან სხვა). NSDG ინდიკატორი 13.2.1 (გლობალური ამოცანა (GT) 13.2) მთავარი მომხსენებელი: UNDP პარტნიორები: FAO, UNIDO, UNECE, UNEP	NSDG 13.2.1. საბაზისო: 2015 წელს საქართველომ მოამზადა და მიიღო სათბურის გაზების ემისიების შემცირების ეროვნული დონეზე განსაზღვრული სავარაუდო წვლილის (INDC). ამჟამად მიმდინარეობს შემდეგი დოკუმენტების შემუშავება: 1. კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმა (CAP) 2021-2030 წლებისთვის; 2. სათბურის გაზების ემისიების შემცირების ეროვნული დონეზე განსაზღვრული წვლილი (NDC) 2021-2030 წლებისთვის; დაგეგმილია: 1. ადაპტაციის ეროვნული გეგმა (NAP) 2021-2030 წლებისთვის; 2. დაბალემისიანი განვითარების სტრატეგია (LEDS) 2050 წლისთვის (დოკუმენტზე მუშაობა დაიწყება 2020 წელს); საბაზისო მონაცემები: UNFCCC-ისთვის წარსადგენი მე-3 განახლებული ორწლიანი ანგარიში (BUR) არ არის ხელმისაწვდომი ; საბაზისო მონაცემები: UNFCCC-ისთვის მე-4 ეროვნული შეტყობინება არ არის ხელმისაწვდომი;	მთავრობის მიერ დამტკიცებულია განახლებული ეროვნული დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC) დოკუმენტი და წარდგენილია UNFCCC-ისთვის; 2023 წლისთვის შემუშავდება ენერჯეტიკის სექტორისთვის ადაპტაციის ეროვნული გეგმა (NAP); 2021 წლისთვის დამტკიცდება დაბალემისიანი განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია (LT LEDS) ; 2022 წლისთვის შემუშავდება მე-3 განახლებული ორწლიანი ანგარიში (BUR); 2021 წლის ბოლოსთვის UNFCCC-ისთვის მომზადდება მე-4 ეროვნული შეტყობინება.	საქართველოს ეროვნულად განსაზღვრული წვლილი (NDC); სათბურის გაზების (GHG) ინვენტარიზაცია; მე-3 ორწლიანი განახლებული ანგარიში UNFCCC-ისთვის წარსადგენად; მე-4 ეროვნული შეტყობინება UNFCCC-ისთვის; MoEPA /UNFCCC ვებ-გვერდები; განახლებული NDC 2025 წლისთვის; განახლებული NAP; მე-3 ორწლიანი განახლებული BUR ანგარიში UNFCCC-ისთვის წარსადგენად; მე-4 ეროვნული შეტყობინება UNFCCC-ისთვის.	საქართველოს მთავრობამ აიღო მე-3 BUR, მე-4 ეროვნული შეტყობინების მომზადების ვალდებულება; საქართველოს მთავრობამ აიღო განახლებული NDC-ის და კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმის 2021-2022 განხორციელების ვალდებულება; კლიმატის ცვლილების პოლიტიკა უმჯობესდება; LT LED, BUR და NCs მზადდება და მტკიცდება, აუცილებლობის შემთხვევაში მთავრობის მიერ, გეგმის შესაბამისად . საქართველოს მთავრობა იღებს ვალდებულებას შეიმუშავოს: განახლებული ადაპტაციის ეროვნული გეგმა (NAP) 2021-2030 წლებისთვის; მე-3 განახლებული ორწლიანი ანგარიში (BUR) და მე-4 ეროვნული შეტყობინება.

შედეგები	შესრულების ინდიკატორები (დისაგრეგირება)	საბაზისო (წელი)	ამოცანა (თანამშრომლობის გეგმის დასრულება)	მონაცემთა წყარო/ MoV	ვარაუდები
<p>შედეგი 5.1</p> <p>გაუმჯობესებული გარემოსდაცვითი მმართველობა და ინსტიტუციური შესაძლებლობები შექმნის ბუნებრივი / მიწის რესურსების რაციონალური, თანაზომიერი და მდგრადი გამოყენების შესაძლებლობას, უზრუნველყოფს ეკოსისტემების კონსერვაციას და მოსახლეობის მედეგობას ეკოლოგიური შოკების მიმართ .</p>	<p>5.1.1: ხმელეთის, მტკნარწყლიანი და შავი ზღვის ბიომრავალფეროვნების მნიშვნელოვანი ადგილების წილი, რომლებსაც მოიცავს დაცული ტერიტორიები, ეკოსისტემის ტიპის მიხედვით.</p> <p>მთავარი მომხსენებელი: UNDP</p> <p>პარტნიორები: FAO, IFAD, UNECE, UNEP</p> <p>NSDG 15.1.2 (GT 15.1)</p>	<p>დაცული ტერიტორიების 0 ჰა (2017)</p>	<p>დაცული ტერიტორიების 431,872 ჰა (2023)</p>	<p>გაუმჯობესებული მართვის მქონე არსებული დაცული ტერიტორიის ფართობი (ჰექტარი), MoEPA-ის დაცული ტერიტორიების მონაცემთა ბაზის მიმოხილვის საფუძველზე.</p>	<p>მთავრობა განაგრძობს მიზნობრივი PAs დაფინანსების გაზრდას. გაზრდილი შემოსავალი იძლევა პერსონალის დაქირავების და შენარჩუნების საშუალებას.</p>
	<p>5.1.2: ადგილობრივი თვითმმართველობების წილი, რომლებიც იღებენ და ახორციელებენ კატასტროფის რისკის შემცირების ადგილობრივ სტრატეგიებს, კატასტროფის რისკის შემცირების ეროვნული სტრატეგიის შესაბამისად.</p> <p>მთავარი მომხსენებელი: UNDP</p> <p>პარტნიორები: IOM, UN-DRR, UNICRI</p> <p>NSDG 1.5.4 (GT 1.5)</p>	<p>0 (2020)</p>	<p>მინიმუმ 10 ადგილობრივ მთავრობას აქვს კატასტროფის რისკის შემცირების (DRR) ლოკალური სტრატეგია, მათ შორის, კატასტროფის რისკის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმები, რომლებიც ითვალისწინებს გენდერულ ფაქტორს კლიმატით გამოწვეული კატასტროფისა და მასთან დაკავშირებული მრავალმხრივი საფრთხეებისას. (UNDP)</p>	<p>მზადყოფნისა და რეაგირების გეგმები (UNDP);</p> <p>NDC განხორციელების განახლებული ანგარიშები;</p>	<p>არსებობს პოლიტიკური ნება და მუნიციპალიტეტების ჩართულობა გეგმების შემუშავებაში (UNDP);</p>
	<p>5.1.3: ინიციატივების რაოდენობა, რომელიც მიმართულია მთავრობისა და სხვა დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობების გაძლიერებაზე გენდერული პრიობლემების თვალსაზრისით, კლიმატის ცვლილების ეროვნული პოლიტიკისა და გეგმების შემუშავების, მონიტორინგისა და განხორციელების დროს.</p> <p>მთავარი მომხსენებელი: UNDP</p> <p>პარტნიორი: UN Women</p> <p>NSDG 5.1.1 (GT 5.1)</p>	<p>0 (2020)</p>	<p>5 (2025)</p> <p>1. მინიმუმ 10 მუნიციპალიტეტისთვის შემუშავებულია მრავალმხრივი კლიმატური საფრთხეებისთვის მზადყოფნისა და რეაგირების მუნიციპალური გეგმები, რომლებიც ითვალისწინებს გენდერულ ფაქტორს (UNDP) ;</p> <p>2. შემუშავებულია და გამოიყენება სოციალურ-ეკონომიკური მოწყვლადობის შეფასების მეთოდოლოგია, სადაც გათვალისწინებულია გენდერული ფაქტორი;</p> <p>3. შემუშავებულია მრავალმხრივი საფრთხეების რისკის გათვალისწინების, მზადყოფნისა და რეაგირების გეგმების სტანდარტიზებული მეთოდოლოგიები და სტანდარტული ოპერატიული პროცედურები (SoPs), გენდერული ფაქტორის და მოწყვლადი ჯგუფების გათვალისწინებით;</p> <p>4. გენდერული ასპექტების გათვალისწინებით შემუშავებულია შესაძლებლობების განვითარების გეგმები, ქვეყნის მასშტაბით არსებული მრავალმხრივი საფრთხეების რუკაზე დატანის შესახებ ცოდნის გაზრდის და რისკების შეფასების მიზნით;</p> <p>5. გენდერული ფაქტორის გათვალისწინებით შექმნილია ინსტიტუციონალური და სამართლებრივი ჩარჩოები სტანდარტიზებული მრავალმხრივი საფრთხეების რუკაზე დატანის და რისკების შეფასების მეთოდოლოგიის დასაწერად.</p>	<p>სოციალურ-ეკონომიკური მოწყვლადობის შეფასების მეთოდოლოგია;</p> <p>მრავალმხრივი საფრთხეების რისკის გათვალისწინების, მზადყოფნისა და რეაგირების გეგმების მეთოდოლოგიები და სტანდარტული ოპერატიული პროცედურები (SoPs);</p> <p>შესაძლებლობების განვითარების გეგმები;</p> <p>ინსტიტუციური და სამართლებრივი ჩარჩო მრავალმხრივი საფრთხეების რუკაზე დატანისა და რისკების შეფასების სტანდარტიზებული მეთოდოლოგიისთვის.</p>	<p>დაინტერესებული მხარეები მზად არიან გაითვალისწინონ გენდერული ასპექტები ახალი ინიციატივების, სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოს, ეროვნული პოლიტიკისა და გეგმების განხორციელების დროს.</p>

შედეგები	შესრულების ინდიკატორები (დისაგრეგირება)	საბაზისო (წელი)	ამოცანა (თანამშრომლობის გეგმის დასრულება)	მონაცემთა წყარო/ MoV	ვარაუდები
<p>შედეგი 5.2</p> <p>კლიმატის ცვლილების მიმართ მგრძობიარე, მედეგა და რისკის შესახებ ინფორმირებულმა განვითარებამ, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, AFOLU-ის, ჯანდაცვის, წყლის უსაფრთხოების, მშენებლობის, ენერჯეტიკისა და სურსათის წარმოების სექტორებში უზრუნველყო ადაპტაციის შესაძლებლობების გაზრდა და კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შერბილება</p> <p>LDN-ის შესაბამისად (მიწის ნეიტრალური დეგრადაცია).</p>	<p>5.2.1: ადაპტაციისა და შედეგების შერბილების შესაძლებლობები იზრდება კლიმატის შესახებ ინფორმაციის, პროდუქტებისა და მომსახურების ფართო გამოყენების, ასევე, მრავალი საშიშროების შესახებ წინასწარი გაფრთხილების კარგად შექმნილი სისტემების გამოყენების გზით, მათ შორის თემის დონეზე.</p> <p>მთავარი მომსახურებელი: UNDP</p> <p>პარტნიორები: IOM, FAO, UNOPS, UNEP NSDG 1.5.4 (GT 1.5)</p>	<p>ა/ჰიდრომეტრიული მონიტორინგის ქსელი მოქმედებულია და არ შეესაბამება მოთხოვნებს;</p> <p>ბ/ არ არსებობს საფრთხეების და რისკების ამსახველი რუკები;</p> <p>გ/ მრავალმხრივი საფრთხეების შესახებ წინასწარი შეფასებების სისტემა MHEWS და კლიმატური საფრთხეების პროგნოზირება არ ხდება;</p> <p>დ/ მაღალი რისკის ზონებში არ ტარდება რისკის შემცირების ღონისძიებები, რომლებიც დაფუძნებულია რისკების ამსახველ რუკებზე;</p> <p>ე/ ადგილობრივ დონეზე არ ხდება კლიმატის რისკების მართვა (EWS) .</p>	<p>ა/გაუმჯობესებული ჰიდრომეტეოროლოგიური და აგრომეტეოროლოგიური ქსელი;</p> <p>ბ/ 11 მდინარის აუზისთვის მომზადებულია მრავალმხრივი საფრთხეების ზონების რისკების ამსახველი რუკები;</p> <p>გ/ კლიმატით გამოწვეული საშიშროების პროგნოზირებისა და წინასწარი გაფრთხილების სისტემა შექმნილია და ფუნქციონირებს;</p> <p>დ/ მაღალი რისკის ზონებში რისკების ამსახველ რუკებზე დაყრდნობით, განხორციელებულია რისკის შემცირების ღონისძიებები;</p> <p>ე/ ადგილობრივ დონეზე ხდება კლიმატური რისკების მართვა (EWS) .</p>	<p>მეფასება; ადგილზე დაკვირვება; გარემოს ეროვნული სააგენტოს წლიური ანგარიშები;</p> <p>სახიფათო ზონების და რისკების რუკები;</p> <p>MHEWS-ის და პროგნოზირების მარეგულირებელი ჩარჩო, SOPs, საკომუნიკაციო ოქმები, EWS- ის განხორციელების ინსტიტუციონალური გეგმები.</p> <p>ადგილის დათვალიერება / შემოწმება; NEA-ი ს ანგარიში; დონორთა ანგარიშები;</p> <p>თემის გეგმები კლიმატის ცვლილების მიმართ მედეგობის შესახებ ; დონორთა ანგარიშები;</p>	<p>მთავრობა გამოყოფს საჭირო რესურსებს მონიტორინგის ადჟუვანობის ადევანტური ექსპლუატაციისა და ტექნიკური მომსახურებისთვის (O/M);</p> <p>NEA-ის ვალდებულებათა გამოყენების ერთიანი მეთოდოლოგია და შესაძლებლობები, იმისათვის რომ უზრუნველყოს 11-ვე მდინარის აუზი საფრთხის შემცველი რუკებით.</p> <p>მთავრობას აქვს პოლიტიკური ნება შესაბამისი სამართლებრივი და მარეგულირებელი რეფორმის განსახორციელებლად ეფექტური და ქმედითი MHRM / MHEWS- სთვის;</p> <p>შესაბამისი სამთავრობო უწყებები სრულად ასრულებენ ვალდებულებას კატასტროფის რისკის შემცირების ზომების განსახორციელებლად; თემები აქტიურად მონაწილეობენ CBIEWS-ის შექმნასა და მუშაობაში/ შენარჩუნებაში და რისკების შემცირებასთან დაკავშირებული ზომების განხორციელებაში;</p>
	<p>5.2.2: მიწის წილი, რომელიც დეგრადირებულია მიწის მთლიან ფართობზე.</p> <p>NSDG: 15.3.1 (GT 15.3)</p> <p>Lead Reporter: FAO</p> <p>Contributors: UNDP, IFAD</p>	<p>2015: ფართობის 6.1% - 4071 კმ2.</p>	<p>ა) ადგილობრივი მიწის ფართობი - მინიმუმ 7. 54 კმ2;</p> <p>ბ) ლანდშაფტების ფართობი გაუმჯობესებული მეთოდებით ადგილობრივი მიწის ფართობი, მინიმუმ 200 კმ2;</p> <p>გ) ბუნეფიციართა რაოდენობა, სქესის მიხედვით, რომლებიც სარგებლობენ ადგილობრივი მიწის ერთობლივი გამოყენებით 600 არის;</p>	<p>FAO-ის და UN-DP-ის პროექტების ანგარიშები.</p>	<p>მიწის დეგრადაციის ნეიტრალიტეტთან დაკავშირებული ამოცანების გადაჭრა საქართველოში შეიძლება დეგრადირებული საძოვრების ადგილისა და მდგრადი მართვის გზით.</p>

შედეგები	შესრულების ინდიკატორები (დისაგრეგირება)	საბაზისო (წელი)	ამოცანა (თანამშრომლობის გეგმის დასრულება)	მონაცემთა წყარო/ MoV	ვარაუდები
	<p>5.2.3: მდგრადი და კლიმატის ცვლილებისადმი მედეგი მართვის პირობებში მოქცეული ტყისა და დაცული ტერიტორიების ჰექტრების რაოდენობა, რომლიდანაც სარგებელს იღებს მიზნობრივი სოფლად მცხოვრები მოსახლეობა.</p> <p>მთავარი მომხსენებელი: UNDP პარტნიორები: FAO, IFAD, UNEP NSDG 15.1.2: და 15.2.1 (GT 15.1 და 15.2)</p>	საბაზისო მონაცემები: (2017): 0	ამოცანა: მინიმუმ 420,000 ჰა ტყე და დაცული ტერიტორია; მართვის გაუმჯობესებული მეთოდების გამოყენება მიზნობრივ სოფლებში (2022).	MEPA-ის, დაცული ტერიტორიების სააგენტოს, ეროვნული სატყეო სააგენტოს წლიური ანგარიშები; ეროვნული სტატისტიკა სატყეო მეურნეობებისა და დაცული ტერიტორიების შესახებ; UNDP-ის პროექტის ანგარიშები;	
	<p>5.2.4: წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის (WASH) განახლებული რეგულაციების მიღება სკოლებში და სამედიცინო დაწესებულებებში, მათ შორის მონიტორინგის მექანიზმები, რომელთა შესახებ შეტყობინება ხდება ყოველწლიურად.</p> <p>NSDG: 4.a.1 (GT 4.a) მთავარი მომხსენებელი: UNICEF პარტნიორი: WHO</p>	საბაზისო მონაცემები: არა.	ამოცანა : კი.	შეფასების შესახებ ანგარიში.	WASH-ის დანერგვა მიმდინარეობს NEHAP-2-ის ქვეყნის ვალდებულებების ფარგლებში, სტრატეგიული მიზანი 1.
	<p>5.2.5. საყოფაცხოვრებო და გარემოს ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული სიკვდილიანობა.</p> <p>მთავარი მომხსენებელი: UNICEF პარტნიორი: WHO NSDG 3.9.1 (GT 3.9)</p>	2016: 184 ; - კაცებს შორის - 197; - ქალებს შორის - 172;			<p>ქვეყნის ვალდებულება NEHAP-2-ის ფარგლებში, სტრატეგიული მიზანი 3.</p> <p>შექმნილია გარემოს ჰიგიენაზე ზედამხედველობის სისტემა და ლაბორატორია, სადაც შესაძლებელია სისხლში ტყვიის და სხვა ქიმიური ნივთიერებების შემოწმება, სამიში ქიმიკატების, ჰაერის, წყლისა და ნიადაგის დაბინძურების შედეგად გამოწვეული სიკვდილიანობისა და დაავადებების შემცირების მიზნით.</p> <p>საქართველოს მთავრობის მიერ ხდება ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული გეგმის (NECP) შემუშავება, მიღება და განხორციელება. რაც შეესაბამება განახლებულ NDC და კლიმატის სამოქმედო გეგმას.</p> <p>საქართველოს მთავრობა განახლებადი ენერჯის ეროვნული სამოქმედო გეგმის რეგულარულად განახლებისა და განხორციელების მომხრეა (NREAP).</p>

შედეგები	შესრულების ინდიკატორები (დისაგრეგირება)	საბაზისო (წელი)	ამოცანა (თანამშრომლობის გეგმის დასრულება)	მონაცემთა წყარო/MoV	ვარაუდები
	<p>5.2.6. სისხლში ტყვიის შემცველობის კონტროლის სისტემის არსებობა ეროვნულ დონეზე.</p> <p>NSDG: 3.9.3 (GT 3.9)</p> <p>მთავარი მომხსენებელი: UNICEF</p> <p>პარტნიორი: WHO</p>	არ არსებობს.	სრულად ფუნქციონალური კონტროლის სისტემის არსებობა.	NCDC&PH-ის ანგარიშები	<p>ქვეყნის ვალდებულება, ჯანმო-ს ერთობლივ ინიციატივასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ტყვიის შემცველი საღებავების გამოყენების შეწყვეტას.</p> <p>შექმნილია გარემოს ჰიგიენაზე ზედამხედველობის სისტემა და ლაბორატორია, სადაც შესაძლებელია სისხლში ტყვიის და სხვა ქიმიური ნივთიერებების შემოწმება, საშიში ქიმიკატების, ჰაერის, წყლისა და ნიადაგის დაბინძურების შედეგად გამოწვეული სიკვდილიანობისა და დაავადებების შემცირების მიზნით.</p>
შედეგი 5.3 ინოვაციური და კლიმატისთვის უსაფრთხო ტექნოლოგიების გამოყენება ინკლუზიური, "მწვანე" ეკონომიკის, ენერგოეფექტურობისა და სუფთა ენერჯის წარმოებისათვის, გააუმჯობესებს ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილს და ხელს შეუწყობს დეკარბონიზაციის გრძელვადიან სტრატეგიას.	<p>5.3.1: განახლებადი ენერჯის წილი ენერჯის მთლიან საბოლოო მოხმარებაში და სოფლად მცხოვრები მინამუხრუნეობების რაოდენობა, რომლებიც აუმჯობესებენ ცხოვრების პირობებს ენერგოეფექტურობის გაზრდით და / ან განახლებადი ენერჯის გამოყენებით.</p> <p>მთავარი მომხსენებელი: UNDP</p> <p>პარტნიორები: UNIDO, UNECE, UNEP</p> <p>NSDG 7.2.1 (GT7.2)</p>	NSDG-ს საბაზისო მონაცემები: განახლებადი ენერჯის წილი ენერგეტიკულ ბალანსში შეადგენს დაახლოებით 29.5%.	2030 წლისთვის, განახლებადი ენერჯის წილი (ჰიდრო, გეოთერმული და მზის, ბიოსაწვავი და ნარჩენები) ენერგეტიკულ ბალანსში შეადგენს დაახლოებით 35%.	საქსტატის წლიური სტატისტიკური გამოცემა - საქართველოს ენერგეტიკული ბალანსი; განახლებადი ენერჯის განახლებული ეროვნული სამოქმედო გეგმა; UNDP-ის ქვეყნის პროგრამის მიმოხილვა.	
	<p>5.3.2: დაბალემისიანი განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის (LEDS) შესაბამისად დანერგილია, უმჯობესდება და / ან გამოიყენება ტექნოლოგიური გადაწყვეტილებები / ინიციატივები / პროექტები, რომლებიც გენდერულ ფაქტორს ითვალისწინებს.</p> <p>NSDG ინდიკატორი 13.2.1 (GT 13.2)</p> <p>მთავარი მომხსენებელი: UNDP</p> <p>პარტნიორები: FAO, IFAD</p> <p>UNICE UNIDO,</p>	არა	კი, LT LEDS მინიმუმ 5 გადაწყვეტილება / ინიციატივა / პროექტი — დანერგილია, გაუმჯობესებულია და / ან გამოიყენება;	LT LEDS განხორციელების ანგარიში.	<p>2021 წლისთვის, დაბალემისიანი განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია შემუშავებულია და მიღებულია საქართველოს მთავრობის მიერ;</p> <p>ახალი ინიციატივების დაფინანსება შესაძლებელია LT LEDS-დან.</p>

დანართი 2: თანამშრომლობის ხელშეკრულების სამართლებრივი დანართი

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მთავრობამ (შემდგომში „მთავრობა“) დაამყარა შემდეგი ურთიერთობები:

ა) გაეროს განვითარების პროგრამასთან (შემდგომში „UNDP“) დაიდო საბაზო ხელშეკრულება ქვეყნისათვის UNDP-ის მიერ გაწეული დახმარების მართვასთან დაკავშირებით (დახმარების სტანდარტული საბაზო ხელშეკრულება) (SBAA), რომელსაც ორივე მხარემ მოაწერა ხელი 1994 წლის 1 ივლისს. SBAA-ის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, UNDP-ის მიერ გაწეული დახმარება ხელმისაწვდომი იქნება მთავრობისთვის და მისი მიწოდება და მიღება მოხდება UNDP-ის კომპეტენტური ორგანოების რელევანტური და სათანადო რეზოლუციებისა და გადაწყვეტილებების შესაბამისად და დამოკიდებული იქნება UNDP-ისთვის აუცილებელი ფონდების ხელმისაწვდომობაზე. კერძოდ, UNDP-ის აღმასრულებელი საბჭოს 2005 წლის 28 იანვრის 2005/1 გადაწყვეტილებით დამტკიცდა ახალი ფინანსური რეგულაციები და წესები და მათთან ერთად ტერმინების „აღმასრულებელი“ და „იმპლემენტაცია“ ახალი განსაზღვრებები, რაც საშუალებას აძლევს UNDP-ს, სრულად განახორციელოს ქვეყნის ერთიანი პროგრამირების ახალი პროცედურები, რომლებიც UNDG-ს გამართივებისა და ჰარმონიზაციის ინიციატივის შედეგია. ამ გადაწყვეტილების შედეგად, აღნიშნული UNSDCF-ი, ქვემოთ ხსენებულ სამუშაო გეგმასთან ერთად (რომელიც UNSDCF-ის შემადგენელი ნაწილი იქნება და ასევე ჩართულია წინამდებარე დანართში ბმულის სახით), ქმნის ერთიან საპროექტო დოკუმენტს, როგორცაა ის მოხსენიებულია SBAA-ში [ან სხვა შესაბამის სახელმძღვანელო დოკუმენტში].

ბ) გაეროს ბავშვთა ფონდთან (UNICEF), თანამშრომლობის საბაზო ხელშეკრულება (BCA) დაიდო მთავრობასა და UNICEF-ს შორის 1999 წლის 3 დეკემბერს.

გ) გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატთან (UNHCR), გაფორმდა თანამშრომლობის ხელშეკრულება მთავრობასა და UNHCR-ს შორის 1996 წლის 11 სექტემბერს.

დ) რაც შეეხება გაეროს მოსახლეობის ფონდს (UNFPA), მთავრობასა და UNDP-ს შორის გაფორმებული SBAA ძალაში შევა გარკვეული შესწორების შეტანის შემდეგ.

ე) გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციასთან (UNIDO), სტანდარტული დახმარების საბაზო ხელშეკრულება გაეროს განვითარების პროგრამასა და მთავრობას შორის, რომელსაც ხელი მოეწერა და ძალაში შევიდა 1994 წლის 1 ივლისს, გარკვეული ცვლილებების შემდეგ, გამოყენებულ იქნება საქართველოში UNIDO-ის

პროექტებსა და პროგრამებთან მიმართებაში.

ვ) გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციასთან (FAO), მიმოწერა, რომელიც მოიცავს FAO-სა და საქართველოს მთავრობას შორის ხელშეკრულებას საქართველოში FAO-ის წარმომადგენლობის შექმნის და სპეციალიზებული სააგენტოების პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ 1947 წლის კონვენციის დებულებების FAO-ის წარმომადგენელზე, ორგანიზაციის პერსონალსა და მის აქტივებზე გავრცელების შესახებ, რომელიც მოიცავს შემდეგს: FAO-ის გენერალური დირექტორის 2003 წლის 27 იანვრის წერილი OCD-DG/03/73 საგარეო საქმეთა მინისტრს; საგარეო საქმეთა მინისტრის 2003 წლის 22 მაისის წერილი 10-15/165 FAO-ს გენერალურ დირექტორს; FAO-ის გენერალური დირექტორის 2003 წლის 22 ივლისის წერილი OCD-DG/03/1143 საგარეო საქმეთა მინისტრს; საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის 2003 წლის 10 ოქტომბრის წერილი 10-01/321 FAO-ს გენერალურ დირექტორს; და FAO-ის გენერალური დირექტორის 2003 წლის 7 ნოემბრის წერილი OCD-DG/03/1903 საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს; საგარეო საქმეთა მინისტრის 2004 წლის 5 იანვრის წერილი 10-15/2 FAO-ს გენერალურ დირექტორს.

ზ) გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლეს კომისარიატთან (OHCHR), SBAA საქართველოს მთავრობასა და UNDP-ს შორის.

თ) გაეროს პროექტების მომსახურების ოფისთან (UNOPS), SBAA საქართველოს მთავრობასა და UNDP-ს შორის. არსებობს ასევე 2018 წლის დეკემბრის მიმოწერა და მომსახურების დონის ხელშეკრულება საქართველოს მთავრობასა და UNOPS-ს შორის.

ი) გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან (UN Women), SBAA საქართველოს მთავრობასა და UNDP-ს შორის. არსებობს ასევე 2013 წლის მიმოწერა საქართველოს მთავრობასა და UN Women-ს შორის.

კ) მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციასთან (WHO), საბაზო ხელშეკრულება გაფორმდა საქართველოს მთავრობასა და WHO-ს შორის 1994 წლის ნოემბერში.

ლ) მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (IOM), თანამშრომლობის ხელშეკრულება საქართველოს მთავრობასა და IOM-ს შორის გაფორმდა 1994 წლის 6 სექტემბერს.

მ) შრომის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (ILO), 1947 წლის 21 ნოემბრის სპეციალიზებული სააგენტოების პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ კონვენციისა და მისი 1-ლი დანართის რატიფიკაცია.

ბ) გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროსთან (UNODC), გამოიყენება დახმარების სტანდარტული საბაზო ხელშეკრულების დებულებები, შესაბამისი ცვლილებების შეტანის შემდეგ.

ყველა სააგენტოსთვის: მთავრობისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა სააგენტოს დახმარება და მისი გაწევა და მიღება მოხდება გაეროს სისტემის კომპეტენტური სააგენტოს მმართველი სტრუქტურების რელევანტური და სათანადო რეზოლუციებისა და გადაწყვეტილებების შესაბამისად.

თანამშრომლობის ხელშეკრულება, გაეროს სისტემის ყველა ხელმძღვანელ სააგენტოსთან მიმართებაში, იქნება წაკითხული, ინტერპრეტირებული და განხორციელებული იმ პრინციპების შესაბამისად, რომლებიც თანხვედრაშია მიმღებ მთავრობასა და გაეროს სააგენტოს შორის დადებული საბაზო ხელშეკრულების დებულებებთან.

მთავრობა შეასრულებს თავის ვალდებულებებს თანამშრომლობისა და დახმარების იმ ხელშეკრულებების დებულებების შესაბამისად, რომლებიც გაწერილია ურთიერთობის საფუძვლის შესახებ პუნქტში.

აღნიშნულ ხელშეკრულებებზე გავლენას არ იქონიებს მთავრობის მიერ სპეციალიზებული სააგენტოების პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ კონვენციის („ზოგადი დებულება“) შესაბამისი დებულებების გამოყენება სააგენტოების საკუთრებასთან, ფონდებსა და აქტივებთან, ასევე მათ ოფიციალურ წარმომადგენლებსა და მისი ექსპერტებთან მიმართებაში.

მთავრობა ასევე მიაჩნებს სააგენტოებს და მათ ოფიციალურ წარმომადგენლებს და სხვა პირებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სერვისებს სააგენტოების სახელით, იმ პრივილეგიებს, იმუნიტეტებსა და პირობებს, რომლებიც გაწერილია მთავრობასა და სააგენტოებს შორის გაფორმებულ თანამშრომლობისა და დახმარების ხელშეკრულებებში. გარდა ამისა, იგულისხმება, რომ გაეროს მოხალისეები გაიგივებული არიან სააგენტოების ოფიციალურ წარმომადგენლებთან და მათ ასევე მიენიჭებათ ის პრივილეგიები და იმუნიტეტები, რომლებიც გათვალისწინებულია აღნიშნული ოფიციალური წარმომადგენლებისთვის ზოგადი კონვენციის ან სპეციალიზებული სააგენტოების კონვენციის თანახმად. მთავრობა პასუხისმგებელია, განიხილოს ნებისმიერი პრეტენზია, რომელიც შეიძლება გაუჩნდეს მესამე

მხარეს სააგენტოების, მათი ოფიციალური წარმომადგენლების, ექსპერტებისა თუ სხვა პირების მიმართ, რომლებიც მათი სახელით მოქმედებენ და უზრუნველყოს მათი ხელშეუხებლობა რაიმე პრეტენზიის ან ვალდებულების თვალსაზრისით, რომელიც შეიძლება წამოიჭრას თანამშრომლობისა და დახმარების ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების შედეგად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მთავრობასა და კონკრეტულ სააგენტოს შორის არსებობს ორმხრივი შეთანხმება, რომ აღნიშნული პრეტენზიები და ვალდებულებები წამოიჭრება ამ სააგენტოს, მისი ოფიციალური წარმომადგენლების, მრჩევლების ან სააგენტოს სახელით მოქმედი სხვა პირების მიერ უხეში დარღვევების ან არამართლზომიერი ქმედებების შედეგად.

ზემოხსენებულის საერთო ხასიათზე გავლენას არ იქონიებს ის, რომ მთავრობამ უნდა დააზღვიოს ან გაათავისუფლოს სააგენტოები სამოქალაქო პასუხისმგებლობისგან ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად სააგენტოს მიერ მოწოდებული, მაგრამ, მთავრობის კონტროლის ქვეშ ან სარგებლობაში მყოფი სატრანსპორტო საშუალებები.

წინამდებარე ხელშეკრულება არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს, რომ გაერო ან მისი ორგანიზაციები უარყოფს მათთვის ხელშეკრულებით მინიჭებულ პრივილეგიებსა თუ იმუნიტეტებს ან მათ მიერ ნებისმიერი ქვეყნის სასამართლოს იურისდიქციის აღიარებას წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილ დავებთან მიმართებაში.

არაფერი წინამდებარე დოკუმენტში ან მასთან დაკავშირებით არ ჩაითვლება გაეროს და მისი ქვემდებარე ორგანოების, მათ შორის, WFP-ისთვის 1946 წლის 13 თებერვლის გაეროს პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ კონვენციით თუ 1947 წლის 21 ნოემბრის სპეციალიზებული სააგენტოების პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ კონვენციით მინიჭებული პრივილეგიებისა და იმუნიტეტების გამოხატულ ან ნაგულისხმებ უარყოფად და ამ დოკუმენტების თუ ნებისმიერი ინსტიტუციური კონტრაქტის დებულებები არ იქნება ინტერპრეტირებული ან გამოყენებული ისე, რომ არ შეესაბამებოდეს ამ პრივილეგიებსა და იმუნიტეტებს.

პროგრამის განხორციელება

ეროვნულ დონეზე პროგრამის განხორციელება მოხდება მთავრობის ადმინისტრაციის (მთავრობის მაკოორდინირებელი უწყების) საერთო კოორდინაციით. სამთავრობო სამინისტროები, არასამთავრობო და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები და გაეროს სისტემის სააგენტოები განახორციელებენ პროგრამით გათვალისწინებულ აქტივობებს. თანამშრომლობის ხელშეკრულების ამოქმედება ერთობლივი სამუშაო გეგმ(ებ)ის (JWPs)²⁸ და/ან, საჭიროებისამებრ, სააგენტოს სამუშაო გეგმების და საპროექტო დოკუმენტების შემუშავების გზით, რომლებშიც აღწერილი იქნება კონკრეტული მისაღწევი შედეგები და რომლებიც შეთანხმებულია გაეროს სააგენტოებსა და ყოველ განმახორციელებელ პარტნიორს შორის. გაეროს სააგენტოები და პარტნიორები შეძლებისდაგვარად გამოიყენებენ მინიმალური რაოდენობის აუცი-

²⁸ UNSDG-ის სტანდარტული საოპერაციო პროცედურების (SOPs) შესაბამისად, იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც აღიარებენ „ერთობლივი ქმედების“ მიდგომას.

მგზავრობის ხარჯები

ფულადი დახმარება მგზავრობის, სტიპენდიების, ჰონორარებისა და სხვა ხარჯებისათვის განისაზღვრება ქვეყანაში არსებული ტარიფების შესაბამისად, მაგრამ არ უნდა აღემატებოდეს გაეროს სისტემაში განსაზღვრულ ტარიფებს (როგორც მითითებულია ICSC ცირკულარებში).

ფინანსური გარანტია და აუდიტი

მიუხედავად დაფინანსების წყაროებისა, გაეროს ყველა სააგენტოს ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია თავისი აღმასრულებელი ხელმძღვანელის (ან მმართველი ორგანოს) წინაშე იმ რესურსებზე, რომლებსაც იღებს გაეროს სააგენტო საკუთარი რესურსებიდან და გაეროს კონკრეტული სააგენტოს არსებული ფინანსური რეგულაციებისა და წესების შესაბამისად. გაეროს ყველა სააგენტო ექვემდებარება მხოლოდ გარეშე და შიდა აუდიტორულ პროცედურებს, რომლებიც გაწერილია ამ

ლებელ დოკუმენტებს, კერძოდ, ხელმოწერილ თანამშრომლობის ხელშეკრულებას და ხელმოწერილ ერთობლივ ან სააგენტოს სამუშაო გეგმებს და საპროექტო დოკუმენტებს, რათა განახორციელონ პროგრამის ინიციატივები. თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, საპროექტო დოკუმენტების მომზადებისას, შეიძლება გამოყენებულ იქნას შესაბამისი ტექსტი თანამშრომლობის გეგმიდან და ერთობლივი ან სააგენტოს სამუშაო გეგმიდან და/ან საპროექტო დოკუმენტებიდან²⁹.

²⁹ UNDP-ის შემთხვევაში, მთავრობის მაკოორდინირებელი უწყება დანიშნავს მთავრობის თანამშრომლობის სააგენტოს, რომელიც უშუალოდ პასუხისმგებელი იქნება მთავრობის მონაწილეობაზე UNDP-ის დახმარების ყველა სამუშაო გეგმის განხორციელებაში. „განმახორციელებელი პარტნიორ(ებ)ის“ მოხსენიება გულისხმობს „აღმასრულებელ სააგენტო(ებ)ს“, როგორც გამოყენებულია SBAA-ში. როდესაც სამუშაო გეგმაში გათვალისწინებულია რამდენიმე განმახორციელებელი პარტნიორი, განისაზღვრება მთავარი განმახორციელებელი პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება სამუშაო გეგმით გათვალისწინებული ყველა განმახორციელებელი პარტნიორის თავმოყრაზე, კოორდინირებასა და საერთო (როგორც პროგრამულ ისე ფინანსურ) მონიტორინგზე, რათა უზრუნველყოს მასალების მოწოდება და აქტივობების შესრულება სათანადოდ, რაც სამუშაო გეგმის შედეგების მიღწევას შეუწყობს ხელს.

ორგანიზაციის ფინანსურ რეგულაციებსა და წესებში და პროცედურებში.

აუდიტს შეუკვეთავს გაეროს სააგენტო, ხოლო განახორციელებს — კერძო აუდიტორული კომპანია.

უმაღლესმა აუდიტორულმა ორგანომ შეიძლება განახორციელოს სამთავრობო განმახორციელებელი პარტნიორების აუდიტი. თუ უმაღლესი აუდიტორული ორგანო გადაწყვეტს, რომ არ ჩაატაროს კონკრეტული განმახორციელებელი პარტნიორის აუდიტი იმ სიხშირით, რომელიც მოთხოვნილია გაეროს სააგენტოების მიერ, გაეროს სააგენტოები შეუკვეთავენ აუდიტს კერძო სააუდიტო კომპანიას.

განრიგით გათვალისწინებული და რიგგარეშე აუდიტის ხელშეწყობისთვის, ყოველი განმახორციელებელი პარტნიორი, რომელიც იღებს ფულად სახსრებს გაეროს შესაბამისი ორგანიზაციისგან, უზრუნველყოფს გაეროს სააგენტოს ან მისი წარმომადგენლისთვის დროულ წვდომას შემდეგზე:

- ყველა ფინანსური ჩანაწერი, რომელიც აღრიცხავს გაეროს სააგენტოს მიერ განხორციელებულ გადარიცხვებს, შესაბამის დოკუმენტაციასთან ერთად;

- ყველა შესაბამისი დოკუმენტაცია და პერსონალი, რომელიც დაკავშირებულია განმახორციელებელი პარტნიორის შიდა კონტროლის სტრუქტურის ფუნქციონირებასთან, რომელთა გავლითაც ხდება ფულადი სახსრების გადარიცხვა.

ყოველი აუდიტის დასკვნები გადაეცემა განმახორციელებელ პარტნიორს და გაეროს შესაბამის ორგანიზაციას.

გარდა ამისა, ყოველი განმახორციელებელი პარტნიორი:

- მიიღებს და განიხილავს აუდიტორის მიერ მიწოდებულ აუდიტის ანგარიშს;
- დროულად მიაწვდის ინფორმაციას აუდიტის რეკომენდაციის მიღებისა თუ მიუღებლობის შესახებ გაეროს შესაბამის ორგანიზაციას, რომლისგანაც ის იღებს ფულად სახსრებს, რათა აუდიტორმა შეძლოს ამ ინფორმაციის ჩართვა აუდიტის საბოლოო ანგარიშში, სანამ წარუდგენს მას გაეროს შესაბამის ორგანიზაციას;

- დროულად მიიღებს ზომებს აუდიტის რეკომენდაციების შესასრულებლად; და
- წარუდგენს გაეროს სისტემის შესაბამის სააგენტოს ყოველწლიურ ანგარიშს მიღებული რეკომენდაციების შესრულებისთვის განხორციელებული ქმედებების შესახებ.

დავების მოგვარება

ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში, რომელიც საჭიროებს პროგრამის კომპონენტების მიზნების, ხანგრძლივობისა თუ მოცულობის გადახედვას, მთავრობამ უნდა გაუგზავნოს გაეროს სააგენტოს ფორმალური მოთხოვნა და გამართოს მოლაპარაკება პარტნიორობის სათანადო ცვლილებების შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუ ერთი პარტნიორი ვერ შეასრულებს წინამდებარე პარტნიორობით აღებულ ვალდებულებებს და ეს მხარე არის გაეროს სააგენტო, მთავრობას შეუძლია:

- (i) შეაჩეროს დამრღვევი მხარის მიმართ თავისი ვალდებულებების შესრულება, რის შესახებაც წერილობით აცნობებს დამრღვევ მხარეს; ან
- (ii) შეწყვიტოს პარტნიორული ურთიერთობა დამრღვევ მხარესთან, რის შესახებაც წერილობით აცნობებს დამრღვევ მხარეს სამოცი (60) დღით ადრე.

თუკი დამრღვევი მხარე არის მთავრობა, გაეროს სააგენტოს, რომლის წინაშეც დაარღვია მთავრობამ აღებული ვალდებულებები, მარტო ან გაეროს სხვა სააგენტოებთან ერთად შეუძლია:

- (i) შეაჩეროს დამრღვევი მხარის მიმართ თავისი ვალდებულებების შესრულება, რის შესახებაც წერილობით აცნობებს დამრღვევ მხარეს; ან
- (ii) შეწყვიტოს პარტნიორული ურთიერთობა დამრღვევ მხარესთან, რის შესახებაც წერილობით აცნობებს დამრღვევ მხარეს სამოცი (60) დღით ადრე.

ნებისმიერი დავა მთავრობასა და გაეროს სააგენტოებს შორის უნდა მოგვარდეს ამ ორგანიზაციის მიერ მთავრობასთან დადებული საბაზო შეთანხმების დებულებების შესაბამისად. ნებისმიერი დავა გაეროს სააგენტოებს შორის უნდა მოგვარდეს მხოლოდ და მხოლოდ გაეროს სააგენტოებს შორის იმ მიდგომების გამოყენებით, რომლებიც გაერთიანებულია UNDG-ს მიერ დამტკიცებულ დავის მოგვარების მექანიზმში.

